

178 / 3  
1979



178/3

ISSN 0132-5981

ՆԱԽԻՐԱՄԱՆ


61

ՆԱԽԻՐԱՄԱՆԸ



ԵՐԵՎԱՆ - 1979





# საქართველო საქართველო

№ 4

ივლისი  
აზვისტო  
1979 წელი

შურნალი გამომდის 1926 წლის 1 მარტიდან

**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს,  
კროპუტინისა და უმაღლესი სასამართლოს  
მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი**

## შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში	3
კადრები ჩვენი მუდმივი საზრუნავია	7
ა. ვაზიანი, ი. მილნიკოვა — სამართლებრივი პოპულარიზაციის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საკითხისათვის	11
ვლ. შაუაშვილი — პასუხისმგებლობა მოქმედების თავისუფლების ხელყოფისათვის	16
ბ. კვიციანი — ჯარის იურიდიული ბუნებისათვის სსსრს სამართალში	27
ნ. ზადაგაძე — ქონების კონფისკაციის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა	36
გ. ნადარეჟიანი — მაოიზმი, ძველი ჩინეთის პოლიტიკური იდეოლოგია და მათი რეაქციული არსი	42
შ. მარკოზაშვილი — ილია ჭავჭავაძის და „ვერის“ ზოგადი მოსაზრება მვენე ტრადიციებისა და წესჩვეულებათა შესახებ	51
ოფიციალური მახალა	54



СОДЕРЖАНИЕ

В Центральном Комитете Компартии Грузии	3
Постоянная забота о кадрах	7
А. Габiani, О. Милникова — К вопросу об изучению общественного мнения о правовой пропаганде	11
В. Магашвили — Ответственность за посягательство на свободу действия	16
В. Квирикашвили — О юридической природе штрафа в уголовном праве	27
Н. Бадагдзе — Судебная практика применения конфискации имущества	36
Г. Надареншвили — Маоизм, политическая, идеология древнего Китая и их реакционная сущность	42
III. Маркозашвили — Некоторые соображения Ильи Чавчавадзе и «Иверий» о вредных традициях и обрядах	51
Официальный материал	54



საბეჭდო  
კოლეგია:

- თ. კაციტაძე (მთ. რედაქტორი) ა. შარაბაძე,
- გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლეკვეიშვილი,
- გ. ფვანია, გ. ტყეშელიაძე, ვ. ქვაჩიასია,
- ა. შუშანაშვილი, დ. შენგელია (პ/მგ. მდივანი), თ. წერეთელი,
- ა. ხოქოლავა, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი, თბილისი, კლდბანოვის პრ. 103. ტ. 95.58.87, 95.88.49.

გადაეცა ასაწყობად 3.VIII.79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25 IX.79 წ.  
 ფორმატი 70x108/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი  
 ფურცელი 8,4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87  
 შეკვ. № 2089 ტირაჟი 16.600 უე 06620



# საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტი

სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში, სამართალდაცვლაში  
თა თავიდან აცილებაში მაცნობარების როლის ამაღლებისა და რესპუბლიკის  
კის აღმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის კრძალვების მაცნობარების  
სა და ტექნიკის უახლეს მიღწევებთან დახმარების შესახებ

16937

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ თავის გადაწყვეტალებაში აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებმა სკკ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად განახორციელეს ღონისძიებანი სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და სამართალდაცვლაში თავიდან აცილებაში მეცნიერების როლის ასამაღლებლად, აღმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დასაწერად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კათედრებმა და დამწავლებლობის სოციალოგიის საფაკულტეტო-სოციალისტური ლაბორატორიამ, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსტიტუტის მოძრაობის უსაფრთხოების დარგობრივმა ლაბორატორიამ, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დაცვის ეკონომიკურ-სამართლებრივ პრობლემათა ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის საქართველოს განყოფილებამ შეასრულეს მთელი რიგი ფუნდამენტური ნაშრომები სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და სამართალდაცვლაში თავიდან აცილების საკითხებზე, რომლებსაც დიდი მეცნიერულ-პრაქტიკული ღირებულება აქვთ.

ბოლო ხანს გამოიკა მთელი რიგი ნაშრომები კანონმდებლობის სრულყოფის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, დანაშაულის აღკვეთის საკითხებზე.

ზოგიერთმა აღმინისტრაციულმა ორგანომ განამტკიცა კავშირი სამეცნიერო დაწესებულებებთან. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არბიტრაჟის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ მეცნიერი მუშაკები, რომლებიც კვალიფიციურ დახმარებას უწივენ იურისტებს პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში.

მაგრამ სკკ XXV ყრილობის მიერ პარტიული, საბჭოთა, აღმინისტრაციული ორგანოებისა და სამეცნიერო დაწესებულებების წინაშე დასახული მიზნები, აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე დონე იურიდიულ, კრიმინოლოგიის და სხვა მეცნიერებათა წინაშე აყენებენ ახალ გაზრდულ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტაშიც სერიოზული ნაკლოვანებებია.

მეცნიერთა, განსაკუთრებით კი სწავლული იურისტების, საქმიანობა სუსტად არის დაკავშირებული პრაქტიკასთან, მეცნიერულ კვლევათა თემატიკაში ნაკლებად არის საკითხები, რომლებიც აღმინისტრაციული ორგანოების საჭიროებებს ითვალისწინებდეს.

თითქმის წარმოებს მეცნიერული კვლევა-ძიება მხავრდებულთა ხელახალი აღზრდის ეფექტიანობის ამაღლების, ნარკომანთა მკურნალობისა და აღზრდა-გამოსწორების მეთოდების დახვეწის, არასრულწლოვანთა დამწავლებლობის თავიდან აცილების საკითხებზე. უფრო მეტი სრულყოფა ესაჭიროება აღმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, ორტექნიკის საშუალებების და მართკის ავტომატიზაციის საშუალებათა დაწერას.

კ. შარქიასი, სსრ, საქ. სსრ  
სახელმწიფო სპუბლიკ.  
მინისტროსად





დამაკაყოფილებელი არ არის საჯარო-სატრანსპორტო შემხვევების წინააღმდეგ ბრძოლისათვის კომპლექსურ პროფილაქტიკურ მეცნიერულ ღონისძიებათა შემუშავებისათვის წარმოებული საქმიანობაც. საქმაოდ არ მუშავდება საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს სსრ კანონმდებლობის საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისობაში მოყვანას.

არის აგრეთვე მეთოდოლოგიური ხასიათის ნაკლოვანებანი. იმის მაგივრად, რომ გამოიკვლიონ საზოგადოებრივი პროცესები, რომელთა სამართლებრივი მოწესრიგება აუცილებელია და შეინაწავლონ ამა თუ იმ ნორმების გამოყენების პრაქტიკული შედეგები, ცალკეული მეცნიერები სჭერდებიან კანონის ზეგრძელ კომენტარებს.

საკმარისი ყურადღება არ ეთმობა მეცნიერულ გამოკვლევათა კოორდინაციას, იურისტებს არა აქვთ დამუშავებული სათანადო შემოქმედებითი კონტაქტები ეკონომისტებთან, ფილოსოფოსებთან, უსიქოლოგებთან, მათემატიკოსებთან, კიბერნეტიკოსებთან.

საბჭოთა კრიმინალისტიკის თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება საქართველოს სსრ რუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტაჟის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის საქმიანობა. აქ გამოკვლევები სასამართლო ექსპერტაჟის ცალკეულ სახეობათა დასამუშავებლად დაბალ მეცნიერულ დონეზე წარმოებს. გამოქვეყნებული პროდუქტია უმნიშვნელო და მასაც არა აქვს რამდენადმე მეცნიერული ღირებულება. ლაბორატორიის ექსპერტის მასალების მიხედვით იშვიათად შეაქვს კომპეტენტურ ორგანოებში წინადადებები სამართალდარღვევათა თავიდან აცილების თაობაზე. ამ სამეცნიერო ორგანიზაციაში არც ერთ თანამშრომელს არა აქვს სამეცნიერო ხარისხი. ანალოგიური ნაკლოვანებებია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების მუშაობაშიც.

ადმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაში ნელა იწერება მეცნიერული კვლევის შედეგები, ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებასათვის.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცებასა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებაში მეცნიერების ნაკლები ეფექტურობა იმითაც აიხსნება, რომ სამართალდამცემი ორგანოები ჭეროვან დაინტერესებას არ იჩენენ, რათა თავიანთ მუშაობაში ჩააბან მეცნიერები, დაწერონ პრაქტიკაში მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები. ადმინისტრაციულ ორგანოები ჭეროვან დაინტერესებას არ იჩენენ, რათა თავიანთ მუშაობაში ჩააბან მეცნიერები, დაწერონ პრაქტიკაში მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები. ადმინისტრაციული ორგანოები არ მონაწილეობენ მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის დაგეგმვასა და კოორდინაციაში.

დამაკაყოფილებლად არ წარმოებს ლიტერატურის ვამოცემა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და დანაშაულის თავიდან აცილების საკითხებზე.

საქართველოს სსრ გამოცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი, გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“ — არ უზრუნველყოფენ სახელმწიფოს, სამართლის, კრიმინოლოგიისა და დანაშაულების სოციოლოგიის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი მეცნიერული და მეთოდოლოგიური ლიტერატურის გამოცემას.

ცუდად არის ორგანიზებული მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის მოწინავე გამოცდილების გაზიარება და მეცნიერული ნაშუქვრების დაწერვა. ოცი წლის მანძილზე რესპუბლიკაში მოცწეო მსოფლიდ ერთი საკავშირო კოლოკვიუმი.

სერიოზული ნაკლოვანებებია მეცნიერული კადრების შერჩევისა და აღზრდის საქმეშიც.

სამეცნიერო დაწესებულებათა და ადმინისტრაციული ორგანოების პარტიული ორგანიზაციები საქმარის ყურადღებას არ უთმობენ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ურთიერთთანამშრომლობის და შემოქმედებითი თანამეგობრობის გაუმჯობესებას, არ ზრუნავენ პრაქტიკულ საქმიანობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და ავღა განსაკუთრებულ ყურადღება დაუთმო მსამართლებრივი და სოციოლოგიური კვლევას განვითარებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების საქმეში. ზრუნვა და ყურადღება არ მოაკლონ იმ სამეცნიერო ქვეგანყოფილებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ამ ამოცანათა გადაწყვეტაში. მოაგვარონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის, აგრეთვე სხვა





ონობ ვინაობაში კომიტეტის ცენტრალური კომიტეტი  
სამეცნიერო დაწესებულებების კოორდინაცია და განამტკიცონ მათი შემოქმედებითი კონტაქტები, გააფართოონ მათი საქმიანი კავშირი ქვეყნის წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან და რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებთან.

უფრო ფართოდ დანერგონ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და სამართალდარღვევითა თავიდან აცილების აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური და საკულტურო კონფერენციების, სიმპოზიუმების, თანხიარების მოწყობა.

გამახვილონ ყურადღება იმ სამეცნიერო კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისადმი, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფოსა და სამართლის დამნაშავეობის სოციოლოგიისა და კრიმინოლოგიის დარგში, ფართოდ გამოიყენონ სპეციალისტი-მეცნიერის მომზადებისათვის რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა დაუსწრებელი და დასწრებული ასპირანტურა, აგრეთვე სტაჟირება ქვეყნის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში.

ყოველმხრივ განამტკიცონ მათადამი დაქვემდებარებული იმ სამეცნიერო დაწესებულებების მატერიალური ბაზა, რომლებიც მუშაობენ ზემოთ აღნიშნულ პრობლემებზე, მიიღონ საჭირო ზომები თანამშრომელთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს დაევალი:

შეისწავლოს საკითხი და შეამუშაოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ აკადემიის სისტემაში შექმნას სამართლის, სოციოლოგიისა და დამნაშავეობის თავიდან აცილების ინსტიტუტი;

განისილოს საკითხი ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის კადრებით გაძლიერების შესახებ;

უზრუნველყოს, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გეგმა მთლიანად შეესაბამებოდეს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მოთხოვნებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატს (აშხ. დ. ჩხიკვიფილი) წინადადება მიეცა განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი იურიდიული ფაკულტეტის კათედრების მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გააქტიურებისათვის, მიიღწიოს, რომ ეს მუშაობა მაქსიმალურად შეესაბამებოდეს რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების საჭიროებებს.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს (აშხ. ა. შუშანაშვილს) დაევალი, განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც ზღვს შეუწყობს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მეცნიერულ და პრაქტიკული საქმიანობის გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა განახორციელოს ღონისძიებანი შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების მეცნიერულ-პრაქტიკული საქმიანობის სრულყოფასათვის და მიღებული ზომების შესახებ მოახსენოს საქართველოს კონსტიტუციის ცენტრალური კომიტეტს 1979 წლის 1 დეკემბრამდე.

საქართველოს სსრ პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს დავალებათ გააქტიურონ მუშაობა, რათა გააძლიერდეს საქმიანი კავშირითიერობა რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებთან იმ გზით, რომ ჩააბან მეცნიერები კოლეგების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების მუშაობაში, უზრუნველყონ ისინი მეცნიერული კვლევისათვის საჭირო ინფორმაციით და ფართოდ გამოიყენონ კვლევის შედეგები ყოველდღიურ საქმიანობაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაევალი განახილოს შემდეგი საკითხები:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან არსებული დამნაშავეობის სოციოლოგიის საფაკულტეტთაშორისო ლაბორატორიის კადრებით გაძლიერება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 26 აპრილის დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით;

სპეციალური სახელობითი პრემიის დაწესება, რომელიც კონკურსის ჩატარების შემდეგ 2-3 წელიწადში ერთხელ მიენიჭება სამეცნიერო კოლექტივებსა და ცალკეულ მეცნიერებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, სა-



მართლდარღვევათა თავიდან აცილების აქტუალური პრობლემების დამუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს ამ დარგში სამეცნიერო საქმიანობის აქტივიზაციას;

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოსთან“ სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ლიტერატურის რედაქციის შექმნა და მისი სათანადო ლიმიტით უზრუნველყოფა;

ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის გადამცემა.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა განიხილოს სოციალისტური საკუთრების დაცვის ეკონომიკურ-სამართლებრივ პრობლემათა ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის საქართველოს განყოფილების გაფართოებისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხი.

დადგენილებით დამტკიცებულია უჩინშენლოვანეს სამართლებრივ და კრიმინოლოგიურ პრობლემების ეგზამა, რომლებიც 1980-1985 წლებში უნდა შემუშავდეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილებას დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად შეისწავლოს და შეიტანოს წინადადება იურისტთა რესპუბლიკური საზოგადოების შექმნის შესახებ.



მუდმივად ინახება

## კადრები ჩვენი მუშაობის სუბიექტი

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში დიდი ადგილი დაეთმო კადრებთან მუშაობის სრულყოფის, მათი საქმიანი და პროფესიული მომზადების დონის ამაღლების, კომუნისტური მორალის სულისკვეთებით მუშაკთა აღზრდის საკითხებს. კადრები ჩვენი პარტიის ოქროს ფონდს შეადგენენ. მათი მემკვიდრეობის კომუნისტური პარტია თავის პოლიტიკას და კომუნისტური მშენებლობის გეგმებს. უკანასკნელ პერიოდში საკადრო პოლიტიკას უფრო მეტი ყურადღება ექცევა. იხვეწება კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ფორმები და მეთოდები, იზრდება მომთხოვნელობა ხელმძღვანელი კადრებისადმი, უმჯობესდება მათი ხარისხობრივი შემადგენლობა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მთელი ეს საქმიანობა ამჟამად მეცნიერულ საფუძვლებზე წარმოებს.

სკკპ XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა საანგარიშო მოხსენებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა ის, რომ პროკურატურის, მილიციის, იუსტიციის და სხვა სამართალდამცველი ორგანოები ყოველმხრივ განმტკიცდნენ საქმის მცოდნე, მომზადებული და ღირსეული კადრებით<sup>1</sup>.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში, როდესაც პარტია წყვეტს კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პრობლემას, როცა სულ უფრო მოუთმენელი ხდება კომუნისტური მორალიდან ყოველგვარი გადახვევა და მით უმეტეს დამნაშავეობა, ადმინისტრაციული ორგანოების კადრებთან მუშაობა ახალ შინაარსს იძენს. სასამართლოს, პროკურატურის, მილიციის თითოეული მუშაკი მოვალეა იძვეს კომუნისტური მშენებელთა პირველ რიგებში, მტკიცედ იცავდეს სოციალისტური კანონიერებისა და ცხოვრების საბჭოურა წესის პრინციპებს, უფრო ეფექტიანად იბრძოდეს სახელმწიფოს მოტყუების, წამატების, სოციალისტური საკუთრების დატაცების ფაქტების, კუთხურობის გამოვლინებების წინააღმდეგ და სხვა.

ბოლო ხანს რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა შემადგენლობის გადასახალისებლად, ახალგაზრდა სპეციალისტების დაწინაურებისა და კადრების სათანადო მყარი რეზერვის შესაქმნელად. მაგრამ რაც უფრო წინ მივიწევთ და რაც უფრო დიდ ამოცანებს ვწყვეტთ, მომთხოვნელობა კადრების მიმართ შესაბამისად მაღლდება.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ იმსჯელა, თუ რა საქმიანობას ეწევა რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების მოთხოვნათა შესაბამისად კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის. მიუხედავად მტკიცედ დიდმნიშვნელოვანი დადგენილება, რომელშიც გამოაშკარავებულია სერიოზული ნაკლოვანებანი იუსტიციის დაწესებულებათა და სასამართლო ორგანოების საქმიანობაში და დასახულია ვრცელი ღონისძიებანი ამ დარგში მთელი მუშაობის ძირეული გარ-



დაქმნისათვის. დადგენილება სახელმძღვანელო პარტიული დოკუმენტია არაა მარტო იუსტიციის სამინისტროსათვის, არამედ პროკურატურის, შინაგან საქმეთა და სამართალდამცველი ორგანოებისათვისაც.

როგორც ადმინისტრაციული ორგანოების კადრების შემაღველობის ანალიზი გვიჩვენებს, უკანასკნელ წლებში დაისახა მათი ხარისხობრივი გაუმჯობესების ტენდენცია. ამჟამად წინანდელთან შედარებით გაცილებით მეტი ყურადღება ექცევა კადრების პროფესიული მომზადების და კვალიფიკაციის სრულყოფას. გაიზარდა მომთხოვნელობა ყველა რგოლის მუშაკებისადმი, გააქტიურდა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა. რა თქმა უნდა ყოველივე ამან დადებითი როლი შეასრულა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში.

მაგრამ, როგორც ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაშია აღნიშნული, იუსტიციის სამინისტროს მუშაობა კადრების შერჩევის, განაწილების და აღზრდის დარგში ვერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების მოთხოვნებს.

ამ შეფასებას მთლიანად იმსახურებენ რესპუბლიკის სხვა ადმინისტრაციული ორგანოებიც, სადაც არ წარმოებს სათანადო სისტემატური, მიზანდასახული მუშაობა კადრების იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის, შემოქმედებითი და მომთხოვნელობის სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის.

მხოლოდ კადრებისადმი მომთხოვნელობის შესუსტებით შეიძლება აიხსნას, რომ ამ ორი სამი წლის მანძილზე შვიდი რაიონის მოსამართლე ვადამდე გამოწვეული თანამდებობიდან მინდობილი საქმისადმი უპრინციპო და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, რასაც მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში მოწყვეა სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევები, ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭინაურების, პროტექციონიზმის გამოვლინების გამო და საქციელისათვის, რაც ავტორიტეტს უღაზავს სასამართლოს რესპუბლიკის მშრომელთა თვალში, დისციპლინარული წესით დაისაჯა 22 მოსამართლე, 59 მოსამართლის მიმართ კი გამოტანილია 146 კერძო განჩინება.

სერიოზული ნაკლოვანებები იყო და არის ამ უბანზე პროკურატურის ორგანოების საქმიანობაშიც. ბევრი პროკურორი ორგანიზებულად და მიზანსწრაფულად არ ახორციელებს ზედამხედველობას საბჭოთა კანონების შესრულებისადმი, ყოველთვის ვერ ახდენს აქტიურ ზეგავლენას, რათა თავიდან აიცილონ სამართალდარღვევები. იჩენს უფერვილობას მუშაობაში. ისინი ისე გაბედულად, როგორც ეს პროკურორს შეეფერება, არ აყენებენ უწყებებისა და სამეურნეო ხელმძღვანელების წინაშე კარდინალურ საკითხებს, რაც ხელს შეუწყობს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, დამნაშავეობის პროფილაქტიკას. ყოველივე ეს ხელს უშლის იმას, რომ ჩვენს კადრებს განუვითარდეთ ისეთი თვისებები, როგორიც არის პრინციპულობა, კანონის დარღვევებისადმი შეურიგებლობა, სიბეჯითე და შეუპოვრობა.

დიდი ხანი არ არის რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიამ პროკურატურის ორგანოებიდან დაითხოვა ქობულეთის რაიონის პროკურორი ვ. არუღაშვილი, რომელმაც არსებითად მთელი მუშაობა ჩაშალა. რაიონის პროკურატურამ ვერ შეძლო სათავეში ჩასდგომოდა დამნაშავეობასთან ბრძოლას. იგი ზერეულედ უღვებოდა კვარტალური და პერსპექტიული გეგმების შედგენას, ანალიზს



არ უკეთებდა რაიონში გავრცელებულ დანაშაულობებს და მათ გამომწვევ მიზეზებს, არ ახორციელებდა ღონისძიებებს ჩადენილ დანაშაულთა მიჩქმალვის ფაქტების გამოსავლინებლად და მათ აღსაკვეთად. პროკურატურაში არადამაკმაყოფილებელ დონეზე იდგა საშემსრულებლო დისციპლინა, შრომის ორგანიზაცია. თითქმის არაფერი კეთდებოდა მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდისათვის.

ბოლო ხანს არადამაკმაყოფილებელი მუშაობისა და საბჭოთა კანონების შესრულებისადმი სუსტი კონტროლისათვის სამუშაოდან არიან განთავისუფლებული აგრეთვე ქარელის რაიონის პროკურორი ა. ჯოხაძე, სიღნაღის რაიონის პროკურორი ბ. ვაიტაძე და სხვა პირები.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ რესპუბლიკის პროკურატურა ყოველ დონეს ხმარობს, რათა აამაღლოს კადრების პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე, მიაღწიოს იმას, რომ პროკურატურის ხელმძღვანელი მუშაკებში ორგანულად იყოს შერწყმული ღრმა კომპეტენტურობა, დისციპლინირებულობა და საქმიანადმი ინიციატივანი, შემოქმედებითი მიდგომა. პროკურორი მავალითს უნდა უჩვენებდეს ყველას მუშაობასა და ყოფა-ცხოვრებაში.

პარტია მუდამ მოვეიწოდებს სათუთად და მზრუნველად მოვეიწოდით კადრებს. „მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ კადრების შენარჩუნების საბაზით ხელმძღვანელ პოსტებზე დავტოვოთ ისინი, ვინც, როგორც ამბობენ ვერ ეწევა ჰუბანს, თავს ვერ აართმევს თავის მოვალეობას. მით უმეტეს არ შეიძლება ხელმძღვანელ სამუშაოზე დავტოვოთ ისინი, ვინც უპასუხისმგებლობას იჩენს; ძველი ცოდნის მარაგით ცხოვრობს, ვისაც ჰგონია თანამედრობა თავისთავად უზრუნველყოფს ავტორიტეტსა და პატივისცემას“<sup>2</sup>.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურა მდივნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეცნევის ეს სახელმძღვანელო მითითება, აგრეთვე არაერთი ბრძნული გამონათქვამი კადრებთან მუშაობის შესახებ, რაც მოცემულია მის წიგნებში „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყაშირი“, საფუძვლად უნდა დაედოს რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას კადრების შერჩევის, განაწილების და აღზრდის დარგში.

ამ მიზნისათვის ფართოდ უნდა გამოვიყენოთ აგრეთვე კადრების აღზრდის ისეთი მძლავრი და ნაცადი იარაღი, როგორც არის საქმიანი, პრინციპული კრიტიკა. აუცილებელია ადმინისტრაციული ორგანოების ყოველ კოლექტივში, თითოეულ მის რგოლში შეიქმნას ჯანსაღი, საქმიანი ატმოსფერო, გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოს პირუერობასა და მლიქვნელობას, რაც მეტად უარყოფითს გავლენას ახდენს კადრების ფორმირებაზე, მათ აღზრდასა და წინსვლაზე

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს კადრების მომზადებასა და გადამზადებას, რათა ისინი სისტემატურად იმალეზდნენ თეორიულ დონეს, იღრმავებდნენ ცოდნას, ეუფლებოდნენ მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს, მართვის ორგანიზაციას. ამ საქმეში ყველასათვის ორიენტირად უნდა იქცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურა კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში მკაცრად არის გაკრიტიკებული იუსტიციის მუშაკთა კვალიფიკაციის

<sup>2</sup> სკკპ XXV ყრილობის მასალები.



ამაღლებს მუდმივმოქმედი კურსები, რომლის საქმიანობაშიც აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმი. სამ წელიწადში იუსტიციისა და სსსამართლო ორგანოების მუშაკთა გადამზადების გეგმა კურსებმა შეასრულა 70 პროცენტით, მაშინ როდესაც ბევრი მუშაკი საჭიროებს კვალიფიკაციის ამაღლებას. აუცილებელია უახლეს ხანში განხორციელდეს ღონისძიებანი კურსების საქმიანობის მკვეთრად გარდაქმნისათვის, რათა იგი გადაიქცეს იუსტიციის დაწესებულებათა და სსსამართლო ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების, მათი გადამზადების ნამდვილ კერად.

კადრებთან მუშაობის არასაკმაო ღონე იმითაც არის გამოწვეული, რომ რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმაო ყურადღებას არ უთმობენ აპარატის კომუნისტების აღზრდას პრინციპულობისა და არსებული ნაკლოვანებებისადმი შეუჩივებლობის სულისკვეთებით. აუცილებელია აპარატის პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი პარტიულ-ორგანიზაციული და აღმზრდელო-ზნითი მუშაობის ძირფესვიანი გაუმჯობესებისათვის.

უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციას, საჩივრებისა და განცხადებების განხილვას. ამ საქმეში კი სერიოზული ნაკლოვანებებია. მართო იუსტიციის სამინისტროში განცხადებებისა და საჩივრების 45 პროცენტი შეეხება სსსამართლოს გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობას. ეს სცემს სსსამართლოს გადაწყვეტილებათა ავტორიტეტს და ამის გარდა აღმასრულებლების ცუდ მუშაობაზე მეტყველებს.

კადრებთან მუშაობა უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა. ექვი არ არის, რომ რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, პროკურატურა და უმაღლესი სსსამართლო ვაითვალისწინებენ ამას და ყველაფერს იღონებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების შესასრულებლად, მართებულად გადაწყვეტენ კადრების შერჩევას, განაწილებს და აღზრდის დიდმნიშვნელოვან საქმეს, უზრუნველყოფენ რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის თვისებრივად გაუმჯობესებას.



იურიდიული ცენტრი

# სამართლებრივი პროპაგანდის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საკითხისათვის

ა. გაბიანი,

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ დამნაშავეობის სოციოლოგიის  
ლაბორატორიის ხელმძღვანელი,  
ო. გილნიკოვა,  
თსუ დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის უწყისო მუშაკი, პ. შ. შ. შ.

იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობა ბევრად არის დამოკიდებული პროპაგანდის მეთოდებისა და ფორმების სრულყოფაზე, მის ოპტიმალურ ორგანიზაციაზე. ამით აიხსნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყოველდღიური ზრუნვა პროპაგანდისტული აპარატის საქმიანობის ყოველმხრივი დახვეწისათვის.

საერთოდ პროპაგანდის, კერძოდ კი სამართლებრივი პროპაგანდის წარმატება მნიშვნელოვნად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ითვისებენ იგი ადამიანის სოციალურ, ემოციურ, ზნეობრივ მოთხოვნილებებს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ პროპაგანდა გამუდმებულ შემოქმედებითს ძიებასა და ინიციატივას მოითხოვს.

სოციალისტურ საზოგადოებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები — პრესა, რადიო, ტელევიზია — ასრულებენ პროპაგანდისტულ, აღმზრდელობითსა და სხვა უმნიშვნელოვანეს ამოცანებს. მათი მეშვეობითვე ხორციელდება სამართლებრივი პროპაგანდა, რომლის მიზანია მშრომელთა მართლშეგნების ამაღლება, მოქალაქეთა აღზრდა საბჭოთა კანონების პატივისცემისა და მათი განუხრელი შესრულების სულისკვეთებით.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში უაღრესად სერიოზული ყურადღება ეთმობა დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლას. დიდ როლს ამ საქმეში ასრულებს სამართლებრივი პროპაგანდა, რომლის ეფექტიანი წარმართვა მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ერთ-ერთი ფაქტორია.

ითვისებენ რა ამას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივი აზრის საბჭოსთან ერთად გარკვეულ მუშაობას ეწევა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის გზით სამართლებრივი პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემის მეცნიერული გააზრებისათვის.

საზოგადოებრივი აზრი — ეს არის ადამიანთა გარკვეული სოციალური ერთობის დასკვნა ამა თუ იმ ფაქტის თუ მოვლენის შესახებ. ამასთან იგი არ არის სხვადასხვა ინდივიდთა შეხედულებების უბრალო ჯამი და ინარჩუნებს ყოველივე იმას, რაც საერთო, დამახასიათებელი და განმეორებადი ინდივიდუალური შეხედულებათა მისაში. იგი კოლექტიურია და უკუგავლენას ახდენს





ცალკეულ ინდივიდთა შეხედულებასზე. ამიტომ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის გზით ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრას დიდი მეცნიერული მნიშვნელობა ენიჭება.

საზოგადოებრივი აზრი დაფუძნებულია შეგნების სხვადასხვა ფორმათა (პოლიტიკურ, ზნეობრივ, სამართლებრივ და ა. შ.) მთელ კომპლექსზე. სამართლებრივი იდეოლოგია, სამართალშეგნების ფსიქოლოგიური სფერო, სამართლის განხორციელების ფორმები უაღრესად დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ჩვენი კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევა მიზნად ისახავს საქართველოს რადიოთი და ტელევიზიით გადაცემული, აგრეთვე რესპუბლიკის გაზეთებში გამოქვეყნებულ სამართლებრივი თემატიკის ირგვლივ მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის შესწავლას. იმის დადგენა, თუ რამდენად აკმაყოფილებს მოსახლეობას სამართლებრივი პროპაგანდა, რომელსაც ეწევიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ხელს შეუწყობს მის უკეთესად წარმართვას, ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გამოვლენას და საერთოდ სამართლებრივი პროპაგანდის გაუმჯობესებას.

გამოკვლევის კონკრეტულ ამოცანებში იგულისხმება:

— საქართველოს რადიოთი და ტელევიზიით გადაცემული და რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნებული სამართლებრივი ხასიათის მასალების გამოყენების ინტენსიურობის დადგენა;

— რესპუბლიკურ და ცენტრალურ გაზეთებში გამოქვეყნებული, საკავშირო რადიოთი და ცენტრალური ტელევიზიით, აგრეთვე რესპუბლიკური რადიოთი და ტელევიზიით გადაცემული სამართლებრივი ხასიათის მასალების მოხმარების ინტენსიურობას შორის შეფარდების გამოვლენა;

— შედარებითი ანალიზის გზით იმის შესწავლა, თუ რამდენად აკმაყოფილებს რესპონდენტებს რესპუბლიკის გაზეთებში სხვადასხვა რუბრიკით გამოქვეყნებული და საქართველოს რადიოთი და ტელევიზიით გადაცემული მასალები სამართლებრივ თემებზე;

— ასეთ გადაცემებსა და პუბლიკაციებში იმ თემების დადგენა, რომელთა მიმართაც რესპონდენტები მეტ ინტერესს იჩენენ

— სამართლებრივ თემებზე რადიოს და ტელევიზიის გადაცემების, აგრეთვე საგაზეთო პუბლიკაციების ყველაზე პოპულარული ფორმების დადგენა;

— შედარებითი ანალიზის გზით ინფორმაციის იმ წყაროების (ტელევიზია, რადიო, რესპუბლიკის გაზეთები) დაზუსტება, რომელთაც რესპონდენტები უპირატესობას ანიჭებენ.

კვლევის მიზნებისა და ამოცანების საფუძველზე საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ყველაზე მისაღებ მეთოდად ჩვენ ანკეტური გამოკითხვა მივიჩნით. კვლევის დასაწყის სტადიაშივე ინფორმაციის თითოეული წყაროსთვის დამუშავდა კითხვარები, რომლებიც ვარგისია მიღებული მონაცემების შემდგომი ავტომატიზებული დამუშავებისათვის. კითხვარები უპირატესად შედგება დახურული კითხვებისაგან, ე. ი. კითხვებთან ერთად მოცემულია პასუხების თითქმის ყველა შესაძლებელი ვარიანტი. კითხვები იმგვარად არის ფორმულირებული, რომ შეესაბამება მიღებული შედეგების შეპირისპირებადობის მოთხოვნებს.





ვინაიდან საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სამართლებრივ თემებზე გადაცემათა შესახებ კითხვარები თითქმის იდენტურია, ხოლო სავაზეთო პუბლიკაციების კითხვარი მათგან არსებითად განსხვავდება, ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნით ამ უკანასკნელის ცალკე განხილვა.

კითხვარები ტელევიზიისა და რადიოსათვის საშუალებას ვვაძლევს განვსაზღვროთ სამუშაო, დასვენების და სადღესასწაულო დღეების ის პერიოდები, როცა მოსახლეობა უფრო ხშირად უყურებს და უსმენს ტელე და რადიოგადაცემებს. ეს შესაძლებელს გახდის ვურჩიოთ კომიტეტის ხელმძღვანელობას, რომ სამართლებრივ თემებზე გადაცემები მოაწყონ იმ დღეებსა და საათებში, როცა მოსახლეობა უფრო მეტად არის განწყობილი ამ გადაცემების მოსმენისა და ყურებისათვის.

კვლევისათვის მნიშვნელობა აქვს იმ მონაცემებს, თუ გამოკითხულებს ამ თემატიკის რომელი გადაცემის ნახვა და მოსმენა აქვთ წინასწარ განზრახული, აგრეთვე იმას, თუ რომელი წყაროებიდან იგებენ ისინი ამ გადაცემების დროს. ეს საშუალებას მოგვცემს შევიფიქროთ რეკომენდაციები, რათა ფართოდ იქნეს გამოყენებული სავარაუდო გადაცემათა შეტყობინების უფრო ეფექტური წყაროები, რაც გაზრდის მუდმივ მაყურებელთა და მსმენელთა რიცხვს.

შეკითხვების ერთი ჯგუფის საშუალებით დადგინდება თუ როგორ აფასებენ გამოკითხულები სამართლებრივი ხასიათის გადაცემებში დასმულ პრობლემებს სიმწვავის, აგრეთვე განხილული ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის სიღრმის თვალსაზრისით. საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს მიერ გადაცემულ ოპერატიულ, აქტუალურ, კონკრეტულ ინფორმაციას შეუძლია უშუალო გავლენა მოახდინოს სამართლებრივი პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლებაზე.

გარდა ამისა კითხვარი საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ, როგორ აფასებენ რესპონდენტები სამართლებრივ თემაზე გადაცემებს იურიდიული ცოდნის შექენის თვალსაზრისით.

არის შეკითხვები, რომელთა მეშვეობითაც გაირკვევა რესპონდენტთა ასრის საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სამართლებრივი ხასიათის კონკრეტულ გადაცემებზე, რათა განვსაზღვროთ, რომელია მათში ყველაზე უფრო პოპულარული, რომელთა ნახვა და მოსმენა რესპონდენტებს წინასწარ აქვთ განზრახული.

სამართლებრივი პროპაგანდა საბოლოო ანგარიშით ემსახურება სამართალდარღვევების წინააღმდეგ მოსახლეობას სოციალური აქტიურობის ამაღლებას, ამიტომ ასეთ გადაცემებს მაღალი მოთხოვნები უნდა წავუყენოთ და მეტი ყურადღებაც დავეთხოთ. საჭიროა გადაცემები შეეხებოდეს სავარაუდო საკითხებს, ინფორმაცია იყოს მართალი და დამაჯერებელი, ფაქტებისა და მოვლენების ანალიზი — ღრმა და საფუძვლიანი. ერთი სიტყვით, უნდა ამაღლდეს სამართლებრივი ხასიათის მასალების ინფორმაციულ-პროპაგანდისტული დონე.

რესპონდენტებს ვაძლევთ კითხვას, უჩნდებათ თუ არა ასეთი გადაცემების ნახვის ან მოსმენის შემდეგ უარყოფითი დამოკიდებულება სამართალდარღვევებისა და სამართალდამრღვევებისადმი. პასუხის მიხედვით შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, უპასუხებს თუ არა გადაცემები მათს წინაშე აღმდგენ ამოცანებს.

რესპუბლიკის მოსახლეობის უფრო მეტი უყურებს და უსმენს სამართლებრივ



თემებზე ცენტრალური ტელევიზიისა და საკავშირო რადიოს გადაცემებს მიმსახურებს, რომ დადგინდეს, რამდენად პოპულარულია ეს გადაცემები ჩვენს ანალოგიურ გადაცემებთან შედარებით, რესპონდენტებს დაუვსვიო შესაბამისი კითხვები.

არის კითხვა, იმის გასარკვევად, თუ ინფორმაციის რომელ წყაროს (რადიო, ტელევიზია, გაზეთი) ანიჭებს გამოკითხული უპირატესობას.

კვლევის შედეგებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იქნება რესპონდენტთა აზრი თუ რა მონაცემების საფუძველზე ყალიბდება მათი შეხედულებები სამართალსა და მართლმსაჯულებაზე (საგაზეთო მასალა, რადიო და ტელეგადაცემა, ლექციები სამართლებრივ თემაზე, მხატვრული ლიტერატურა, პირადი დაკვირვებები, საუბრები ამხანაგებთან და ა. შ.). ეს საშუალებას მოგვცემს შევიდეთ საფუძვლიანად გარკვეული რეკომენდაციები, თუ რა წყაროები უნდა იქნეს გამოყენებული და როგორ, რათა ამადღეს სამართლებრივი პროპაგანდის ეფექტიანობა.

რესპუბლიკის მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრი საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს მიერ გადაცემული სამართლებრივი ხასიათის მასალებზე წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს სამართლებრივი პროპაგანდის ეფექტიანობის დონის განსაზღვრისა და მისი სრულყოფის გზების დასახვისათვის. ამიტომ, პრობლემის სრული, ღრმა გააზრებისათვის აუცილებელია მიღებული შედეგების არა მარტო მთლიანი, არმედ ფაქტორული ანალიზი — რესპონდენტთა სქესის, ასაკის, ეროვნების, სოციალური კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პარტიულობისა და საქმიანობის მიხედვით. ეს საჭიროა იმიტომ, რომ ქალებისა და მამაკაცების, ახალგაზრდებისა და ხანში შესულების, მუშებისა და მოსამსახურეთა შეხედულებები ამ საკითხზე არ შეიძლება განსხვავებული არ იყოს. კვლევის შედეგების შედარებითი ანალიზი ამ პარამეტრებით მდიდარ დამატებით მასალას მოგვცემს რეკომენდაციათა შესამუშავებლად.

როგორც ზემოთ ითქვა, გამოკვლევა ითვალისწინებს მოსახლეობის აზრის შესწავლას საგაზეთო პუბლიკაციაზეც. პირველ ყოვლისა, ვადგენთ, რამდენად ინტენსიურად კითხულობენ რესპონდენტები გაზეთებს „კომუნისტს“, „ზარია ვოსტოკის“, „სოფლის ცხოვრებას“, „ახალგაზრდა კომუნისტს“, „მოლოდიოე გრუზიას“, „თბილისს“, „ვეჩერნი ტბილისს“, რომლებიც აქტიურ სამართლებრივ პროპაგანდის ეწვეიან. ვითვალისწინებთ კონკრეტულად, როგორ არჩევენ მკითხველები საკითხავ მასალას, რომელი გვერდიდან იწყებენ კითხვას. პასუხს კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცემა ვურჩიოთ რედაქციებს სამართლებრივ თემაზე მასალები შეძლებისდაგვარად დაბეჭდონ იმ გვერდებზე, საიდანაც ჩვეულებრივ რესპონდენტები იწყებენ კითხვას, აგრეთვე გაითვალისწინონ საკითხავი მასალის შერჩევის პრინციპი (სათაური, ავტორის მითითება, მასალის დასაწყისი და ა. შ.).

გაზეთში სამართლებრივი პროპაგანდის ეფექტიანობა დამოკიდებულია პირველად ყოვლისა თვით რედაქციის კოლექტივების მოღვაწეობაზე, კორესპონდენტთა პროფესიულ მომზადებაზე, მათ უნარზე განაშუქონ აქტუალური საკითხები.

მიღებული მონაცემებით ჩვენ შეიძლება დავადგინოთ სამართლებრივი პროპაგანდის დონე რესპუბლიკურ პრესაში. კერძოდ, რომელი გაზეთი უფრო ეფექტიანად ეწევა სამართლებრივ პროპაგანდას, რომელი გაზეთის მასალები





ინ მოსწონთ მკითხველებს უფრო მეტად. ამის საფუძველზე შევიმუშავეთ რეკომენდაციებს ცალკეული გაზეთებისათვის. არის კითხვები, რომელთა მეშვეობითაც დავადგენთ სამართლებრივ მასალათა შეფასებას რესპონდენტების მიერ გაშუქებული საკითხების სიმწვაისა და განხილული ფაქტებისა თუ მოვლენების ანალიზის სიღრმის მიხედვით. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის გაზეთებში სამართლებრივი პროპაგანდის სრულყოფის გზების ძიებისათვის.

ერთ-ერთი მთავარი ადგილი კითხვარში ეთმობა იმის დადგენას, თუ რომელი თემები უფრო პოპულარულია მკითხველთა შორის, რა უფრო აინტერესებთ, რომელი ფორმები უფრო მისაღებია მათთვის. ეს საშუალებას მოგვცემს მივაწოდოთ რედაქციებს საჭირო რეკომენდაციები.

რესპუბლიკის გაზეთების ფურცლებზე სამართლებრივი პროპაგანდის დონის შესწავლის ამოცანამ აუცილებელი გახდა გარკვეულიყო, იწვევს თუ არა სამართლებრივი საკითხებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები მოსახლეობაში უარყოფით დამოკიდებულებას სამართალდარღვევებისა და სამართალდამრღვევებისადმი. მიღებული პასუხის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რამდენად აღწევს სამართლებრივი პროპაგანდა თავის ერთ-ერთ მთავარ მიზანს — მოსახლეობა აღზარდოს სოციალისტური კანონიერების დარღვევებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

რესპუბლიკური და ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებული სამართლებრივი თემების შესახებ მოსახლეობის აზრის შესწავლით დავადგენთ, თუ რომელი გაზეთების მასალები უფრო მოსწონთ რესპონდენტებს და რატომ.

გაზეთის თითქმის ყველა მკითხველი ამავე დროს უყურებს და უსმენს ტელე და რადიო გადაცემებს. ამიტომ კითხვარშიც მთელი რიგი პუნქტებია იმის დასადგენად, თუ მასობრივი ინფორმაციის რომელი საშუალებები უფრო სრულად და საფუძველიანად ეწევიან სამართლებრივ პროპაგანდას.

იმ მიზნით, რომ გამოკითხვის შედეგები რეპრეზენტატიული იყოს, ესე იგი სწორად ასახავდეს რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის აზრს საქართველოს რადიოთი და ტელევიზიით გადაცემული, აგრეთვე რესპუბლიკის გაზეთებში გამოქვეყნებული სამართლებრივი ხასიათის მასალების შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიაში პირველად იქნა გამოყენებული შერჩევის კვლევითი მეთოდი.

ჩვენ აქ არა გვაქვს შესაძლებლობა დაწვრილებით ვისაუბროთ კვლევით შერჩევის უპირატესობის შესახებ. მივუთითებთ მხოლოდ, რომ ამ მეთოდის შესაბამისად გენერალურ ერთობლიობას შეადგენენ 17-დან 59 წლის ასაკამდე ორივე სქესის პირები ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ყველა ძირითადი ერთეულებისა და სოციალური ჯგუფის ჩათვლით. სულ, ინფორმაციის თითოეული წყაროს მიხედვით გამოკითხული იქნება ოთხი ათასზე მეტი კაცი.

ეს გამოკვლევა პირველი ცდაა მეცნიერულად გავიზაროთ სამართალდარღვევათა თავიდან აცილების და მასთან ბრძოლის სრულყოფაში სამართლებრივი პროპაგანდის როლი. ამგვარი გამოკვლევა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ კავშირშიც პირველად ტარდება, ამიტომ მიღებული შედეგები იქნება ერთი და პრაქტიკული თვალსაზრისით საინტერესო უნდა იყოს.



# ქართული ენის მოქმედების თავისუფლების ხელყოფისათვის

პლ. გაყავიძე

პირადი თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთი უძვირფასესი სიკეთეა. ყოველი ადამიანი ამა თუ იმ ზომით გრძნობს პირადი თავისუფლების, უფრო ზუსტად, საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით მოქმედების ზნეობრივ და სოციალურ ღირებულებას. პიროვნება რომ ყოველმხრივად განვითარდეს, მისი ზნეობრივი ხასიათი და თავისთავადობა რომ განმტკიცდეს, ინციატივობა და დამოუკიდებლობა გაიზარდოს, მას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს თავისუფლად განაგოს საკუთარი ყოფაქცევა და იძულებული არ იყოს იმოქმედოს საკუთარი ნების წინააღმდეგ.

სსრ კავშირის კონსტიტუცია და მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში მთელ რიგ თავისუფლებებს ითვალისწინებენ (სიტყვის, პრესის, კრიტიკის თავისუფლება, სინდისის თავისუფლება და სხვ.) და უზრუნველყოფენ მათი განხორციელების შესაძლებლობას. თავისუფლებანი, რომელთაც განსაკუთრებით დიდი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ, კონსტიტუციურ რანგამდეა აყვანილი და ძირითადი კანონი თვით უკრძალავს თანამდებობის პირებს და მოქალაქეებს მათ დარღვევას.

პრინციპულად, მოქმედების თავისუფლად განკარგვის ანუ საკუთარი სურვილის მიხედვით რაიმე საქმიანობის არჩევის ან რაიმე საქმიანობისაგან თავის შეკავების ყოველგვარი ხელყოფა საზოგადოებრივად საშიშია და ზნეობრივ გაიცხვას იმსახურებს. საბჭოთა ადამიანის ზნეობრივი გრძნობა და სამართლებრივი შეგნება ვერ ურიგდება და მეტად მწვავე რეაგირებას ახდენს იძულების ყოველგვარ ფაქტზე: მაგალითად, ვინმეს იძულება — მოსპოს წერილი ან დოკუმენტი, რომელიც მოძალადის გამაწილებელ ცნობებს შეიცავს, ან გაწყვიტოს კავშირი თავის სატრფოსთან ან დაქორწინდეს განსაზღვრულ პირთან, ან დაუწეროს დაუმსახურებელი მაღალი ნიშანი სტუდენტს და ა. შ., იძულება შეიძლება მიმართული იყოს რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავებაზეც. მაგალითად, ვინმეს იძულება, რომ არ მიიღოს მონაწილეობა ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში, ან იძულება არ აცნობოს სათანადო ორგანოებს ჩადენილი დანაშაულის, მაგალითად, გაუბატოურების ფაქტი და სხვ.

ყველა თანამედროვე სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს იძულების სპეციალურ სახეებს, როდესაც იძულება გამოყენებულია როგორც რაიმე განსაზღვრული სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი ან პირადი ინტერესის ხელყოფის საშუალება. ამ მხრივ, ტიპიურია გაუბატოურება, რომლის დროსაც ქალი იძულების გამო მოკლებულია შესაძლებლობას განაგებდეს თავის სქესობრივ თავისუფლებას, ან გამოძალვა, როდესაც დაზარალებული, მისთვის ან მისი ახლობლებისათვის მომავალში მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების





მუქარით, იძულებულია გადასცეს მაიძულებელს რაიმე ქონება ან დაუთმოს ქონებრივი უფლება თუ ქონებრივი გამოჩენა. იძულების სპეციალური შემადგენლობაა აგრეთვე მოწმის იძულება, რომ მართლმსაჯულების ორგანოებს მისცეს ცრუ ჩვენება და სხვ.

ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა უფრო შორს მიდის და დანაშაულის იმ შემადგენლობების გარდა, რომლებშიც იძულება ამა თუ იმ მნიშვნელოვანი ინტერესის ხელყოფის საშუალებას წარმოადგენს, ითვალისწინებს იძულების ზოგად შემადგენლობას. ასეთი შემადგენლობის შეტანა სისხლის სამართლის კოდექსებში გამოწვეულია იმით, რომ, ერთი მხრივ, კანონმდებელს არ ძალუძს ვითვალისწინოს იძულებას სისხლის სამართლის წესით დასასჯელი ყველა შემთხვევა, ხოლო მეორე მხრივ იმით, რომ ყოველგვარი იძულება, იმისდა მიუხედავად, თუ ადამიანის საქმიანობის რომელ სფეროს ეხება და რა ინტერესებს არღვევს, თავისთავად საზოგადოებრივად საშიშია. ამასთანავე იძულების საერთო შემადგენლობას სათანადოგო ხასიათი აქვს: იგი გულისხმობს ისეთ იძულებას, რომელიც არ მოიცავს სპეციალური სახის იძულების ნიშნებს.

იძულების საერთო შემადგენლობა გათვალისწინებულია საზღვარგარეთის სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში. მაგალითად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 129-ე პარაგრაფში ნათქვამია: „ვინც ძალადობის გამოყენებით ან სერიოზული ზიანის მიყენების მუქარით კანონსაწინააღმდეგოდ აიძულებს ადამიანს ჩაიდინოს განსაზღვრული ქმედობა, დაისჯება თავისუფლებას აღკვეთით ორ წლამდე ვადით, ან პირობითი. მსჯავრით, ან ჯარიმით, ან საზოგადოებრივი გაკიცხვით“.

იძულების ზოგადი შემადგენლობა გათვალისწინებულია სხვა სოციალისტური ქვეყნების კოდექსებშიც — პოლონეთისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკების, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსებში.

იძულების საერთო შემადგენლობას ითვალისწინებს აგრეთვე მთელი რიგი ბურჟუაზიული ქვეყნების, მაგალითად, შვეიცარიის, დანიის, ავსტრიის, ფინეთის, იაპონიის და სხვ. სისხლის სამართლის კოდექსები. ასეთი შემადგენლობა იყო რევოლუციამდელი რუსეთის 1903 წლის სისხლის სამართლის სჯულდებაშიც მას ითვალისწინებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შედარებით ახალი, 1975 წლის სისხლის სამართლის კოდექსი. თვალში საცემია სანქციები, რომლებიც აღნიშნული კოდექსით დადგენილია ამ დანაშაულისათვის. „განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში“ იძულებისათვის შეიძლება დანიშნულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე ვადით.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, მისი განვითარების მთელ მანძილზე არასდროს არ ითვალისწინებდა იძულების ზოგად შემადგენლობას. გამონაკლისია მხოლოდ საქართველოს სსრ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი (1960 წლისა). ეს არის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთი თავისებურება, რომელიც განასხვავებს მას სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებისაგან. ამ კოდექსის 135-ე მუხლში ნათქვამია: „ძალდატანებით ან დასასჯელი მუქარით სხვა პირის იძულება, რომ შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, ისჯება თავისუფლების

2. საბჭოთა სამართალი № 4.

16497

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ  
სახელმწიფო ბიბლიოთეკა



ალკვეთით ვადით ერთ წლამდე, ან გამასწორებელი საინჟინერო-მშენებლობითი სამსახურით ან ვადით, ან კარით ან მანეთამდე“<sup>1</sup>.

როგორც 135-ე მუხლის ტექსტიდან ჩანს, სხვა პირის ნებისყოფასა და ყოფაქცევაზე ყოველგვარი ზემოქმედება კი არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, არამედ მხოლოდ ისეთი, როდესაც პირი ამას შერბობს გარკვეული საშუალებების — ფიზიკური ძალადობის ან მუქარის გამოყენებით. თუ პირი ადამიანზე ზემოქმედების სხვა საშუალებებს მიმართავს, იძულების შემადგენლობა გამორიცხულია. კერძოდ, 135-ე მუხლით ადამიანზე ზემოქმედება არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს მისი მოტყუების ანუ შეცდომაში შეყვანის შემდეგობით (მაგალითად, პირის გამოძახება სხვა ქალაქში დეპეშით, რომელიც შეიცავს ყალბ ცნობას ახლობელი ადამიანის სიკვდილის შესახებ), ან სხვა ადამიანის სამსახურებრივი, მატერიალური ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით.

ფიზიკურ ძალადობას, როგორც იძულების შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს, ითვალისწინებს ყველა სისხლის სამართლის კოდექსი, რომელშიც შეტანილია იძულების ზოგადი შემადგენლობა. ეს ნიშანი გულისხმობს ფიზიკური ძალის გამოყენებას დანაშაულის ჩადენის საშუალებად (მაგალითად, დარტყმით, ჩხლეტით, ან დაწვით ფიზიკური ტკივილის მიყენება, რათა ადამიანს ხელი მოაწერინონ დოკუმენტზე, მგზავრის ძალით გადმოთრევა მანქანიდან, რათა მას არ ჰქონდეს ტრანსპორტის გამოყენების საშუალება და სხვ.). ძალადობა, როგორც ზემოქმედების საშუალება, შეიძლება მიმართული იყოს არა მარტო იმ პირის წინააღმდეგ, ვისაც აიძულებენ რაიმე ქნას ან არ ქნას, არამედ მისი ახლობლების წინააღმდეგაც. ასეთ შემთხვევაში დაზარალებული ფიზიკურ ძალადობას სხვა პირების წინააღმდეგ ისე განიცდის, თითქოს თვით იგი იყოს ძალადობის უშუალო ობიექტი (მაგალითად, ცოლის ცემა ქმრის თანდასწრებით, რათა ამ გზით ქმარი აიძულოს რაიმე მოქმედებისათვის). ფიზიკური ზემოქმედების უშუალო საგანი შეიძლება იყოს ნივთი, თუ ამით აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ პიროვნებაზე, აიძულებენ მას ესა თუ ის მოქმედება ჩაიდინოს ან არ ჩაიდინოს (მაგალითად, ცივ ზამთარში ფანჯრის მინების ანადრება, რათა ამით აიძულოს პირი გამოვიდეს ეს ამ ოთახიდან, ან ავტომანქანის გაფუჭება, რათა აიძულოს მისი მფლობელი დაიგვიანოს მატარებელზე).

თუ იძულების საშუალებად გამოყენებულ ფიზიკურ ძალადობას სხეულის დაზარება მოჰყვა, დამნაშავის ქმედობა კვალიფიცირებულ უნდა იქნეს დანაშაულთა ერთობლიობის წესით როგორც იძულება (მუხ. 135-ე) და შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სხეულის დაზარება.

იძულების საშუალება, კანონის მიხედვით, შეიძლება იყოს აგრეთვე მუქარა, მაგრამ არა ყოველგვარი, არამედ მხოლოდ დასჯადი მუქარა, ე. ი. ისეთი, რომელიც თავისთავად იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ასეთი მუქარა გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კო-

<sup>1</sup> გ. კოსტროვის აზრით, — საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზი — იძულების საერთო შემადგენლობის გაუთვალისწინებლობა — შეესებოდა მხოლოდ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში. „საკანონმდებლო საქმიანობის ეს გამოცდილება, — წერს გ. კოსტროვი, — შეჰქველავ იმსახურებს ყურადღებას“ ახ. Г. Костров. Нужен общий состав об ответственности за принуждение. «Советская Юстиция», 1976, № 2).



დექსის 136-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც კანონსაწინააღმდეგოდ და დას-  
ჯადად ითვლება „მოკვლის ან სხეულის მძიმე დაზიანების, ან საყოველ-  
თაოდ საშიში საშუალებით ქონების დაზიანების“ მუქარა. მამასადამე, თუ პირი  
იძულების მიზნით იყენებს სხვაგვარი ხასიათის მუქარას, ეს გერ მოგვცემს  
135-ე მუხლით გათვალისწინებული ძალადობის შემადგენლობას, თუნდაც პირი  
საკმაოდ მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებით იმუქრებოდეს (მაგალითად, გაუბა-  
ტიურებით, ცემით, ტყუილი გამაწილებელი ცნობების გავრცელებით და სხვ.).  
ქონების დაზიანების ყოველი მუქარა კი არ ჩაითვლება იძულების დანაშაულის  
საშუალებად, არამედ მხოლოდ საყოველთაოდ საშიში საშუალებით (ცეცხლის  
წყაიდებით, აფეთქებით, წყლის მიშვებით და სხვ.) ქონების დაზიანების ან გა-  
ნადგურების მუქარა. დამნაშავე შეიძლება იმუქრებოდეს, რომ ზიანს მიაყენებს  
არა მარტო იმ პირს, ვისაც იგი იძულებს რაიმე მოქმედების ჩადენას, არამედ  
მის ახლობლებსაც.

მუქარის შინაარსის გარდა, კანონსაწინააღმდეგო მუქარის ცნება მეორე  
მნიშვნელოვან მომენტსაც შეიცავს; სახელდობრ, უნდა არსებობდეს საკმაოდ  
საფუძველი, რომ მუქარა ნამდვილად განხორციელდება; მამასადამე, მუქარას  
სერიოზული ხასიათი უნდა ჰქონდეს, იგი უნდა ქმნიდეს შთაბეჭდილებას, რომ  
მეტად თუ ნაკლებად მოკლე ხანში იგი სინამდვილად გადაიქცევა.

მუქარის, როგორც იძულების საშუალების, საკითხი სხვადასხვა სისხლის  
სამართლის კოდექსებში სავსებით ერთგვაროვნად როდი წყდება. საქართველოს  
სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 135-ე მუხლის კონსტრუქციას ამ საკითხში  
უახლოვდება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექ-  
სის ფორმულა. ამ კოდექსის 167-ე მუხლში ნათქვამია, რომ მუქარა, როგორც  
იძულების საშუალება, უნდა იყოს „კანონსაწინააღმდეგო“. მაგრამ თვით „კა-  
ნონსაწინააღმდეგო“ მუქარის ცნება, რომლის განსაზღვრება მოცემულია პო-  
ლონეთის კოდექსის 166-ე მუხლში, უფრო ფართოა. ვიდრე საქართველოს  
სსრ სს კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული მუქარის ცნება. სახელ-  
დობრ, მას მიეკუთვნება დამუქრება ნებისმიერი დანაშაულის ჩადენით დაზარა-  
ლებულის ან მისი ახლობლების საზიანოდ. გერმანიის დემოკრატიული რეს-  
პუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ლაპარაკია „სერიოზული ზიანის მი-  
ყენების მუქარაზე“ (§ 129). მამასადამე, აქ მუქარა შეიძლება დაკავშირებული  
არ იყოს სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედობასთან. ზოგიერთი კანონ-  
მდებლობა პირდაპირ მიუთითებს მუქარაზე, როგორც იძულების საშუალე-  
ბაზე და არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა ხასიათი უნდა ჰქონდეს მუქარას. ასე-  
თია, მაგალითად, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 143-ე მუხლის კონსტ-  
რუქცია, რომლის მიხედვით ყოველგვარი მუქარა საკმარისია იძულების ზო-  
ვადი შემადგენლობის არსებობისათვის.

ჩვენი აზრით, იძულების დანაშაულთან უფრო ეფექტიანად ბრძოლისათ-  
ვის საჭიროა ერთგვარად გაფართოვდეს მუქარის ცნება, რომელსაც იყენებს  
საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი. შეუძლებელია დაუსჯელად  
დატოვოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც დამნაშავე ემუქრება დაზარალებულს  
გაუბატიურებით, ან დაზარალებულისა თუ მისი ახლობლების თაობაზე მათი  
გამაწილებელი ცრუ ცნობების გავრცელებით, ან ისეთი ნამდვილი თუ მოგო-  
ნილი ფაქტების გამოყენებით, რომლებიც დაზარალებულის ინტიმურ ცხოვ-



რებას ეხება, და ასეთი მუქარის საშუალებით სურს აიძულოს დაზარალებული იმოქმედოს გარკვეული მიმართულებით.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იძულებისათვის დასაბუთებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც იძულებას მართლსაწინააღმდეგო ხასიათი აქვს. თუ პირი უფლებამოსილია აიძულოს სხვა ადამიანი, თუ მას უფლება აქვს მიმართოს იძულების კანონიერ საშუალებებს, ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა გამორიცხულია. ამიტომ არ შეიძლება პასუხი აგოს იძულებისთვის იმ პირმა, ვინც დანაშაულის ჩადენის ადგილზე დააკავა დანაშავე და ფიზიკური ძალა გამოიყენა იმისათვის, რომ იგი მილიციისათვის ჩაებარებინა.

სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი იძულება არ არის აგრეთვე ის შემთხვევა, როდესაც პირი ძალდატანებით ან მუქარით შეასრულებინებს ადამიანს მოვალეობას, რომელსაც მას კანონი აკისრებს (მაგალითად, აიძულებს მას გადაიხადოს ვალი, აღიმენტი ან უკან დააბრუნოს ნიუთი, რომელიც ეკუთვნის მაიძულებელს) ასეთ შემთხვევაში ვერ ვიტყვი, რომ შეზღუდულია პირის მოქმედების თავისუფლება, ვინაიდან პირი, მართლწესრიგის მოთხოვნათა საფუძველზე ვალდებული იყო შეესრულებინა სწორედ ის მოქმედება, რომელსაც მისგან მოითხოვს ის, ვინც მასზე შემოქმედება მოახდინა. აქ შეიძლება საკითხი შეეხოს მხოლოდ იმას, ხომ არ უნდა აგოს მოძალადემ პასუხი საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით, ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობისათვის ან თვითნებობისათვის, რამდენადაც იგი ახორციელებს თავის უფლებას თვითნებურად, კანონით დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ, და არა იძულებისათვის.

ცოტა სხვაგვარად წყვეტს ამ საკითხს გ. კოსტროვი. გ. კოსტროვის შეხედულება საინტერესოა იმ მხრივ, რომ ამ შემთხვევების საფუძველზე იგი გამოთქვამს ზოგად, კონსტრუქტიული ხასიათის მოსაზრებებს იძულებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ და ამ მიზნით წინადადებას იძლევა დაუზუსტდეს იძულების ის ზოგადი შემადგენლობა, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი. აღსანიშნავია, რომ გ. კოსტროვის წერილი საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ერთადერთია, რომელიც სპეციალურად მიეძღვნა იძულების შემადგენლობას. გ. კოსტროვის აზრით, იძულების საერთო შემადგენლობა გათვალისწინებული უნდა იქნეს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში. ეს ნათლად ჩანს უკვე მისი წერილის სათაურიდან — „საჭიროა ზოგადი შემადგენლობა იძულებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“<sup>2</sup>.

გ. კოსტროვი თავის წერილში აღნიშნავს, რომ „მუქარის გამოყენება იმ მიზნით, რათა მეორე პირი იძულებული გახდეს შეასრულოს თავისი მოვალეობა არ შეიძლება გავუთანაბროთ იმ შემთხვევას, როდესაც დამმუქრებელს ჰქონდა უფლება მოეთხოვა ამ მოქმედების შესრულება“<sup>3</sup>. კოსტროვის აზრით, ეს შემთხვევები განსხვავდება ერთმანეთისაგან საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით. პირველ შემთხვევაში, მეორესაგან განსხვავებით, არ ხდება არავითარი სამართლით დაცული ინტერესის დარღვევა, პირს ბკეთებინებენ იმას, რაც მას უნდა გაეკეთებინა. ამგვარად, ასეთი შემთხვევების სხვა-

<sup>2</sup> «Советская юстиция», 1946, № 2.  
<sup>3</sup> გ. კოსტროვი, ციტ. წერილი, გვ. 23.





დასხვაგვარი შეფასება დაკავშირებულია იმ მოქმედებათა ხასიათთან, რომელთა შესრულებას ან შეუსრულებლობას აიძულებენ პიროვნებას. გ. კოსტროვის აზრით, იძულებისათვის პასუხისმგებლობის სიმძიმის ცენტრი სწორედ ის მამენტია, თუ როგორ ურთიერთობაშია ნაიძულები ქცევა პირის სამართლით დაცულ ინტერესთან, რამდენად ღრმად, რამდენად უხეშად არის დარღვეული ეს ინტერესები. გ. კოსტროვის აზრით, დამნაშავე საბოლოო ანგარიშით სწორედ ამ ინტერესებს ხელყოფს, ამიტომ ეს განსაზღვრავს საზოგადოებრივი სამიწროების ხარისხს. აქ, გ. კოსტროვი აყენებს საერთო დებულებას, რომ იძულება უნდა იწვევდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ, როდესაც მნიშვნელოვნად დარღვეულია დაზარალებულის ინტერესები. ხოლო თუ ეს დამატებითი მომენტი — დაზარალებულის სამართლით დაცული ინტერესების არსებითი დარღვევა — არ არსებობს, ე. ი. თუ საზოგადოებრივი სამიწროების ხარისხი არ სცილდება იძულებისათვის გამოყენებული საშუალებების საზოგადოებრივი სამიწროების ხარისხს, საკმარისია ქმედობა და ისაჯოს როგორც ძალადობა ან მუქარა თავისდათავად და არ არის საჭირო იძულების შემადგენლობის გამოყენება.

ამის საფუძველზე გ. კოსტროვი წინადადებას იძლევა იძულების საკანონმდებლო განსაზღვრებაში შეტანილ იქნეს მითითება, რომ პირი ძალადობისა და მუქარის მეშვეობით მოითხოვს მეორე ადამიანისაგან რაიმე მოქმედების შესრულებას ან შეუსრულებლობას, რითაც „არსებითად ირღვევა დაზარალებულის სამართლით დაცული ინტერესები“<sup>4</sup>.

გ. კოსტროვის წინადადება ჩვენ არ მიგვაჩნია მართებულად. ჩვენი აზრით, ამგვარი დამატება კანონში საჭირო არ არის, თუ პირი ძალდატანებით შესრულებინებს სხვა პირს ისეთ მოქმედებას, რისი შესრულება მას ისედაც ევალებოდა, აქ სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი იძულების შემადგენლობა არა გვაქვს, ვინაიდან არ არსებობს ხელყოფის ობიექტი, პირის მოქმედება არ არღვევს ადამიანის მოქმედების თავისუფლებას: მას არ ჰქონდა სხვაგვარად მოქმედების ალტერნატივა, კანონი მოითხოვდა მისგან იმ მოქმედებას, რომელიც მას შესრულებინეს. ამიტომ, იმისათვის, რომ გამოვიციხოთ პასუხისმგებლობა იძულების ასეთი შემთხვევებისათვის, სრულიადაც არ არის საჭირო იძულების განსაზღვრებაში გ. კოსტროვის მიერ შემოთავაზებული დანუსტების შეტანა. ხოლო იმ შემთხვევისათვის, როდესაც მოძალადე უფლებანოსილი არ არის მოითხოვოს დაზარალებულისაგან ის მოქმედება, რომელიც მან შესრულებინა, გ. კოსტროვის მიერ შემოთავაზებული შეზღუდვა ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, პრინციპულად ადამიანის პირადი თავისუფლების ყოველგვარი მართლსაწინააღმდეგო, ძალმომრეობითი დარღვევა უნდა შეფასდეს როგორც პიროვნების თავისუფლების სერიოზული შელახვა. მაგალითად, მომღერალს ძალმომრეობით აიძულებენ იმღეროს განსაზღვრული სიმღერა. არ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სიმღერა არღვევდეს მომღერლის რაიმე არსებით ინტერესს: ძალდატანება რომ არ ყოფილიყო, სიმღერა რომ მომღერალს საკუთარი ნება-სურვილით შეესრულებინა, მას შეიძლება ამით ესთეტიკური სიამოვნებაც მიეღო. მდგომარეობა არსებითად იცვლება, როდესაც მომღერალს აიძულებენ იმღეროს საკუთარი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ: ამით ზიანდება პიროვნების ერთ-ერთი უძვირფასესი უფლება — თვითგამორ-

<sup>4</sup> გ. კოსტროვი. ციბ. წერილი, გვ. 23.



კვების თავისუფლება. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს მთელი პიროვნების ღრმა შელახვას. ამიტომ საჭიროა მართლწესრიგის რეაგირება იძულების შემთხვევებზე იმისდა მიუხედავად, თუ რა დამოკიდებულებაშია იძულებითი შოქმედება დაზარალებულის სამართლებრივად დაცულ ინტერესებთან. ამავე დროს, ბუნებრივია, რომ ამ გარემოებას შეიძლება ქონდეს მნიშვნელობა ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის განსაზღვრისათვის და მხედველობაში იქნეს მიღებული მოსამართლის მიერ სასჯელის დანიშვნისას; ზოგჯერ კი ამან შეიძლება გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების დანიშვნა.

იძულება არ არის საზოგადოებრივად საშიში და მართალსაწინააღმდეგო, თუ იგი გამოყენებულია როგორც აუცილებელი საშუალება უფრო ძვირფასი სიკეთის გადასარჩენად, ვიდრე საკუთარი მოქმედების განკარგვის პირადი თავისუფლებაა. მაგალითად, ვინმე ძალადობის გამოყენებით ხელს უშლის ადამიანის თვითმკვლელობას. ამ შემთხვევაში პირის მოქმედების თავისუფლება, რა თქმა უნდა, შეზღუდულია, მაგრამ სამაგიეროდ, ამით გადაარჩინენ ისეთი მაღალი ღირებულების სიკეთეს, როგორცაა ადამიანის სიცოცხლე. მოძალადე ასეთ შემთხვევაში განთავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან უკიდურესი აუცილებლობის საფუძველზე (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლი).

ძალადობა შეიძლება შეეხოს ადამიანის საქმიანობის ყოველგვარ სფეროს. იძულების შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა მოქმედებას ჩაადენინებენ ძალმომრეობით დაზარალებულს. ამ მოქმედებას შეიძლება ჰქონდეს იურიდიული მნიშვნელობა (დაზარალებულს აიძულებენ წერილობითი თანხმობა განაცხადოს განქორწინებაზე) ან იგი იურიდიული თვალსაზრისით შეიძლება იყოს სავსებით ინდიფერენტული (მთვრალი ახალგაზრდები, თავის გაართობის მიზნით, აიძულებენ ხანში შესულ ქალს იცეკვოს მათ წინაშე).

იძულების შემადგენლობა მაშინაც გვექნება, როდესაც პირს აიძულებენ ჩაიდინოს ისეთი მოქმედება, რომელიც ზნეობრივი თვალსაზრისით გასაკიცხი არ არის, მაგალითად, აიძულებენ მატერიალურად დაეხმარონ გაჭირვებულ ადამიანს. ეს შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება.

თუ დამნაშავემ ფიზიკურ ძალმომრეობის ან მუქარის მეშვეობით ჩაადენინა სხვას დანაშაული, ასეთი ქმედობა შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს 135-ე მუხლით, ე. ი. როგორც იძულება, მხოლოდ მაშინ, როდესაც, დანაშაული, რომელიც დაზარალებულს ჩაადენინეს, იწვევს ნაკლებად მძიმე ან ისეთსავე სასჯელს, რაც გათვალისწინებულია იძულებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავემ შეიძლება პასუხი აგოს სხვა დანაშაულის წაქეზებისათვის. ე. ი. იმისათვის, რომ შეაგულიანა სხვა პირი დანაშაულის ჩასადენად. ხოლო თუ ზემოქმედება იმდენად ძლიერია, რომ საეჭვო პარალიზებული ან ფიზიკური ამსრულებლის ნებისყოფა და იგი გადაიქცა ბრმა იარაღად დამნაშავეს ხელში, ასეთ შემთხვევაში მაიძულებელი ჩაითვლება დანაშაულის შუალობით ამსრულებლად. ის, ვინც პისტოლეტის დამიზნებით აიძულებს ადამიანს ცეცხლი წაუკიდოს სხვის სახლს, პასუხს აგებს არა იძულებისათვის, არა იმისათვის, რომ წააქეზა სხვა პირი ცეცხლი წაეკიდებინა სხვისი სახლისათვის, არამედ სხვისი



შეშვებით ცეცხლის წაქიდებისათვის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის მე-2 ნაწ.).

იძულების სუბიექტური მხარე ეჭვს არ იწვევს. თავისი ბუნებით იძულება გაუფრთხილებლობით შეუძლებელია. თანაც იძულება გულისხმობს პირდაპირ განზრახვას. პირი ითვალისწინებს, რომ ხელყოფს სხვისი მოქმედების თავისუფლებას, აიძულებს მას საკუთარი ნების წინააღმდეგ შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება და სურს ეს. მოტივს, რის გამოც პირმა გადაწყვიტა დანაშაულის ჩადენა, იძულების შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა იგი შეიძლება მიღებულ იქნეს მხედველობაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს.

ის საკითხი, თუ როდის უნდა ჩაითვალოს დამთავრებულად იძულების დანაშაული, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში სხვადასხვაგვარად წყდება. ზოგიერთი კანონმდებლობა იძულებას დამთავრებულად თვლის უკვე იმ მომენტში, როდესაც დანაშაულს გამოიყენა ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობა. ე. ი. ძალმომრეობითი მოქმედების შესრულების მომენტში. ასეთი პოზიცია უკავია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 1969 წლის სისხლის სამართლის კოდექსს. სხვა კოდექსები იძულებას დამთავრებულად თვლიან მხოლოდ იმ მომენტში, როდესაც შესრულდა მოქმედება ან პირიქით, როდესაც ადგილი ჰქონდა იმ უმოქმედებას, რომელსაც მოითხოვდა დაზარალებულისაგან დანაშაული. ხოლო თუ დანაშაული შეჩერდა ფიზიკური ძალადობის ან მუქარის სტადიაზე, მას აკვალიფიცირებენ როგორც იძულების მცდელობას. იძულების ასეთი კონსტრუქცია მოცემულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1968 წლისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 1968 წლის სისხლის სამართლის კოდექსებში. ჩვენი აზრით ლოგიკურ-იურიდიული თვალსაზრისით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს მეორე შეხედულებას. ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა წარმოადგენენ პიროვნების მოქმედების თავისუფლების შეზღუდვის საშუალებას, მაგრამ აღნიშნულ საშუალებათა გამოყენება ჯერ კიდევ არ მოასწავებს იმას, რომ ეს თავისუფლება პირს ნამდვილად წაერთვა. პირის მოქმედების თავისუფლების აღკვეთასთან მამინ გვექნება საქმე, როდესაც დაზარალებული ნამდვილად შეასრულებს ან არ შეასრულებს იმ მოქმედებას, რასაც მისგან დანაშაულს მოითხოვს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 135-ე მუხლი არ იძლევა ზუსტ პასუხს იმაზე, თუ როდის უნდა ჩაითვალოს იძულება დამთავრებულად. ამიტომ მუხლის რედაქცია ამ მხრივ ერთგვარ დაზუსტებას მოითხოვს.

იძულების შემადგენლობა მრავალ სხვა დანაშაულს ენათესავება, მაგრამ ყველაზე მეტად, თავისი ბუნებითაც და შინაარსითაც, მიმოსვლის თავისუფლების აღკვეთას უახლოვდება (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხ.). მაგრამ, თუ იძულება გულისხმობს პიროვნების მხოლოდ ანა თუ იმ მოქმედების შეზღუდვას, მიმოსვლის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის დროს დანაშაულს ხელთ უპყრია დაზარალებულის მთელი პიროვნება; იგი ძალმომრეობით ჩაკეტილი ჰყავთ რაიმე შენობაში ან მას აკავებენ განსაზღვრულ ადგილას.

სასამართლო პრაქტიკა იძულების საქმეებზე არცთუ ისე დიდია. ქმედობის კვალიფიკაცია საქართველოს სსრ 135-ე მუხლით იშვიათად გვხვდება. ეს მართკო იმით როდი აიხსნება, რომ ლატენტური დანაშაულობა ამ სფეროში





დიდია, ესე იგი იძულების მრავალი შემთხვევა არ აღწევს მართლმსაჯულების ორგანიზებამდე, არამედ იმითაც, რომ პასუხისმგებლობა იძულებისათვის კანონში დიფერენცირებული არ არის. კოდექსში არ არის მოცემული ამ დანაშაულის კვალიფიციური შემადგენლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონი ერთნაირად აფასებს იძულების მსუბუქ და მძიმე შემთხვევებს. თანაც კანონით გათვალისწინებული სანქცია (მაქსიმალური სასჯელი — თავისუფლების აღკვეთა წლით ერთ წლამდე) არ შეესაბამება მძიმე შემთხვევებს, როდესაც იძულებას, მაგალითად, თან სდევს სიცოცხლისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის დაუყოვნებლივ გამოყენების მუქარა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სასამართლოები დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ ძალადობას ზოგჯერ აკვალიფიცირებენ არა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 135-ე მუხლით, არამედ სხვა მუხლებით, რომლებიც უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებენ. რა თქმა უნდა, სამართლიანობის გრძნობის გამოვლინების ასეთი ფორმა მიუღებელია. აქ ერთმანეთს უპირისპირდება ორი პრინციპი: კანონიერებისა და მიზანშეწონილობის. მაგრამ შეუწყნარებელია, რომ მოსამართლემ თავისი შეხედულებისამებრ გააფართოს დანაშაულის შემადგენლობა, განსაზღვრული სისხლის სამართლის კანონით, და მიაკუთვნოს მას ისეთი შემთხვევები, რომლებიც არც კანონის სიტყვით და არც მისი აზრით მოცული არ არის. ეს სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევაა.

ამ ხასიათის შეცდომა დაუშვეს საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოებმა: მათ იარაღის გამოყენებით ჩადენილი ხულიგნობის კვალიფიკაცია მისცეს სტუდენტთა მოქმედებას, რომლებმაც იარაღის დამუქრებით დააწერინეს მასწავლებელს კარგი ნიშანი. ამ პირთა მოქმედება ზუსტად შეესაბამებოდა იძულების და არა ხულიგნობის შემადგენლობას, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევას და საზოგადოებისადმი აშკარა უპატივკემულობის გამოვლინებას, რასაც ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ზოგჯერ ასწორებს ასეთ შეცდომებს და ქმედობას სწორად აკვალიფიცირებს. ამ მხრივ დამახასიათებელია ს—ს, ნ—ს, გ—ს და ხ—ს საქმე. მათ ბრალად ედებოდათ, რომ მოვრალეობა ერთმანეთთან წინასწარი შეთანხმებით, სიკვდილის მუქარით აიძულეს დაზარალებული გამოსულიყო თავისი ავტომანქანიდან და დროებითი მოხმარების მიზნით ხელთ იგდეს ეს მანქანა. პირველი ინსტანციის სასამართლომ მათ მოქმედებას კვალიფიკაცია მისცა 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით, როგორც ყაჩაღური თავდასხმა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიამ განაჩინი უცვლელად დატოვა. უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა მიუთითა, რომ ყაჩაღობა გატაცების სახეა და გულისხმობს მითვისების, ე. ი. სხვისი ქონების მისაკუთრების მიზანს. აღნიშნული პირები ამ მიზანს არ ისახავდნენ. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მათ გაიტაცეს მანქანა „მოსკვიჩი“ მხოლოდ დროებითი სარგებლობისათვის. ამასთან დაკავშირებით უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა სავსებით სწორად მიუთითა, რომ განსასჯელთა მოქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს დანაშაულთა ერთობლიობის წესისამებრ, ორი მუხლით: 135-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს იძულებას, რომდენადაც მათ ძალით გადმოიყვანეს დაზარალებული საკუთარი მანქანიდან,





და 243-ე მუხლით, რომელიც სჯის ავტოსატრანსპორტო საშუალების გატაცებას დროებითი გამოყენების მიზნით<sup>5</sup>.

მცდარ კვალიფიკაციათა თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილი იქნება კანონში გათვალისწინებულ იქნეს იძულების კვალიფიციური შემადგენლობები შესაბამისი სანქციებითურთ.

ყოველივე ამის საფუძველზე, მუხლი იძულების შესახებ, ჩვენი აზრით, ფორმულირებული უნდა იქნეს შემდეგნაირად:

იძულება.

იძულება, ე. ი. განზრახი მოქმედება, რომლითაც პირი ძალადობით ან მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების სერიოზული მუქარით შეასრულებინებს პირს რაიმე მოქმედებას ან თავს შეაკავებინებს რაიმე მოქმედებისაგან;

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით სამას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით ან რამდენიმე პირის წინასწარი შეთანხმებით ან დაკავშირებული ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობასთან ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარასთან, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

იგივე ქმედობა, დაკავშირებული სიცოცხლისათვის საშიშ ძალადობასთან ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარასთან, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.

ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კანონმდებლობის გაუმჯობესებისას განხილულ უნდა იქნეს საკითხი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში იძულების საერთო შემადგენლობის შეტანის შესახებ. ჩვენი აზრით, ასეთი შემადგენლობის შემოღება შეესაბამება ახალი კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, რომლებიც ადასტურებენ თანამედროვე საზოგადოებაში პიროვნების სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდას, და კონსტიტუციურ ნორმებს, რომლებიც ითვალისწინებენ პიროვნების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვას. ამ იდეათა თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების თავისუფლების დაცვას და მის ხელყოფასთან ბრძოლას. ამავე დროს, სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ის ღონისძიებანი, რომელთაც იყენებენ ამ ხელყოფათა წინააღმდეგ, აშკარად არასაკმარისია. იმ მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოები, რომელთა სისხლის სამართლის კოდექსებში არ არის გათვალისწინებული იძულების შემადგენლობა, იძულების შემთხვევაში იყენებენ მუხლებს ძალადობის ან მუქარის შესახებ, რადგან სხვა გამოსავალი არა აქვთ. მაგრამ ამ მუხლებით ისჯება ძალადობა ან მუქარა, რომელიც გამოყენებულია როგორც საშუალება ადამიანის პირადი თავისუფლების შეზღუდვისათვის. ეს არ გვაძლევს საშუა-

<sup>5</sup> საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1977 წ. 23 სექტემბრის დადგენილება № 109.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 18 აპრილის ბრძანებულებით „ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ 243-ე მუხლის რედაქცია შეცვლილია: მას დამატა ორი ნაწილი, რომლებშიც გათვალისწინებულია ავტომობილსატრანსპორტო საშუალებათა გატაცება, დაკავშირებული ძალადობასთან ან მუქარასთან. იძულების აღნიშნული სპეციალური შემადგენლობების დაწესების შემდეგ, ბუნებრივია, ასეთი ქმედობები უნდა დაკვალიფიცირდეს არა 135-ე მუხლით, არამედ ახლოდ 243-ე მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილით.



ლებას სწორად შევაფასოთ მთლიანად ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება, რადგანაც ძალადობისა და მუქარის შემადგენლობებში გათვალისწინებული არ არის ძირითადი მომენტი, რომელიც განსაზღვრავს იძულების საზოგადოებრივ საშიშროებას, სახელდობრ, ის, რომ დამნაშავე ამ საშუალებების გამოყენებით ზემოქმედებას ახდენს სხვა ადამიანზე, აიძულებს მას იმოქმედოს თავის ნების საწინააღმდეგოდ: ან შეასრულოს მოქმედება, რომელიც მას არ სურს, ან თავი შეიკავოს მოქმედებისაგან, რომელიც მას სურდა შეესრულებია.

პრაქტიკის მაგალითებიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად უმართებულოა იძულების დასჯა ძალადობისათვის ან მუქარისათვის არსებული მუხლის საფუძველზე, რამდენად შეუფერებელია ზოგჯერ იძულებისათვის ის სასჯელი, რომელიც ამ დანაშაულთათვის არის გათვალისწინებული. მაგალითად, იმ პირის მოქმედება, რომელიც სისტემატურად მოკვლით ემუქრებოდა თავის ყოფილ ცოლს, რათა აეძულებინა იგი გაეთავისუფლებინა მათი საერთო ბინა, კვალიფიცირებულ იქნა რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლით, როგორც მუქარა, რომლისთვისაც სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვს თვემდე. ასევე კვალიფიცირებულია ა.—ს მოქმედება, რომელიც, ეჭვიანობის ნიადაგზე, მოკვლის მუქარით, აიძულებდა თავის ცოლს თავი მოეკლა<sup>6</sup>.

სასამართლოები ზოგჯერ გრძნობენ იმ სასჯელის არასაკმარისობას, რომელიც გათვალისწინებულია ძალადობის ან მუქარისათვის და მეტისმეტად ლმობიერი განაჩენის თავიდან ასაცილებლად იძულებას კვალიფიკაციის აძლევენ სისხლის სამართლის კოდექსის ისეთი მუხლით, რომელიც უფრო მძიმე სასჯელს ითვალისწინებს, მაგალითად, იმ პირთა ჯგუფის მოქმედებას, რომლებმაც მოკვლის მუქარით აიძულეს მანქანის მფლობელი წაეყვანა ისინი გაოთვის სასურველ ადგილას, მიეცა ხულიგნობის კვალიფიკაცია<sup>7</sup>.

ამგვარად, როგორც თეორიულ-კონსტრუქციული და სისხლისსამართლებრივ-პოლიტიკური ხასიათის მოსაზრებები, ისე სასამართლო პრაქტიკის მთხონილება დაუჩინებლად აყენებს ჩვენ წინაშე საკითხს, რომ შეივსოს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში არსებული ხარვეზი და შეიტანონ ამ კოდექსებში იძულების საერთო შემადგენლობა, თანაც თვით კანონში დიფერენცირებულ იქნეს პასუხისმგებლობა იძულებისათვის მისი ჩადენის სხვადასხვა გარემოების შესაბამისად.

6 სასამართლო პრაქტიკის ეს მაგალითები მოყვანილია გ. კონსტროვის ზემოთ დასახული წერილის მიხედვით, იხ. «Советская Юстиция», 1976, № 2, стр. 22.

7 იქვე.





ტონი

# ჯაჩივის იუკიდიდი გუნაგისათვის სისხლის სამართალი

ბ. ჯიბიბაშვილი,

თსუ დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერთანამშრომელი

1. თანამედროვე პირობებში „მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის, კულტურული დონისა და შეგნებულობის ზრდა ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რომ აღმოიფხვრას დამნაშავეობა და საბოლოო ანგარიშით სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებანი შეიცვალოს საზოგადოებრივი ზეგავლენისა და აღზრდის ღონისძიებებით“<sup>1</sup>. ამ ამოცანის გადაწყვეტაში დიდი როლი აკისრია სისხლის სამართლის ისეთ სასჯელებს, რომლებიც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული.

სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ამჟამად როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მოძვე სოციალისტურ ქვეყნებში, ფართოდ გამოიყენება სასჯელის ისეთი ღონისძიებები, რომლებიც არ გულისხმობს პირის იზოლაციას საზოგადოებისაგან.

პროფ. ი. ნენოვის აზრით, „სოციალისტური სახელმწიფოების სისხლის სამართლის პოლიტიკისა და პრაქტიკისათვის დამახასიათებელია ფართოდ გამოყენება სასჯელებისა, რომლებიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. ეს აიხსნება, პირველ რიგში, ჩვენს საზოგადოებაში არსებული დამნაშავეობის სტრუქტურით, რომელშიც სჭარბობს მსუბუქი, ნაკლებად მძიმე დანაშაულები“<sup>2</sup>.

სისხლის სამართლის სასჯელთა შორის, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჯარიმას.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლის თანახმად, „ჯარიმა არის ფულადი გადასახადი სახელმწიფოს სასარგებლოდ, რომელსაც სასამართლო დაადებს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის სახით. სისხლის სამართლის კანონით დადგენილ შემთხვევებსა და ფარგლებში, მაგრამ არანაკლებ ათი მანეთისა“.

ნებისმიერი სასჯელის, მათ შორის ჯარიმის დანიშვნის დროსაც, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი. ამისათვის კი აუცილებელია იმ ზიანის მოცულობა, რომელიც მიადგა დანაშაულის ობიექტს, პირის მონაწილეობის ხარისხი დანაშაულის ჩადენაში, დანაშაულის შეწყვეტის სტადია, დანაშაულის ჩადენის ხერხი, ობიექტური ვითარება, რომელშიც ჩადენილია იგი, ბრალის ფორმა, დანაშაულის მიზანი, მოტივები და ა. შ.

მაგრამ, ერთია ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი, რაც სასჯელის ინდივიდუალიზაციას ედება საფუძვლად,

<sup>1</sup> იხ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბილისი 1971 წ. გვ. 135.

<sup>2</sup> См. И. Ненов. Дифференциация уголовной ответственности. — Правовые исследования. Сб. ст. Тбилиси, «Мецნიереба», 1977, стр. 137.



და სხვა ამა თუ იმ სახის დანაშაულთა ტიპობრივი საშიშროება და მისი ხარისხი, რაც გვარეობითი ფენომენია და სათვალავშია მისაღები კანონმდებლის მხრივ სასჯელთა დიფერენციაციის დროს. აქედან გამომდინარე საინტერესოა, თუ საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის მიხედვით, რომელი ტიპის დანაშაულების მიმართ გამოიყენება ჯარიმა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

თუ გადავხედავთ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სისტემას, ვნახავთ, რომ მასში ჯარიმა გათვალისწინებულია 77 მუხლის — 90 სანქციაში.

მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების შემცველ დანაშაულთა თავებში ჯარიმა სასჯელის სახედ იშვიათად გვხვდება. მაგალითად, სახელმწიფო დანაშაულთა თავში იგი სასჯელის სახედ გვხვდება 1, სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში — 3 და მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში — 1 შემთხვევაში. რაც შეეხება თანამდებობრივ და სამხედრო დანაშაულთა მუხლებს, მათში ჯარიმა სასჯელის სახედ საერთოდ არ არის გათვალისწინებული.

სასჯელის სახედ ხშირად არის გათვალისწინებული სამეურნეო (22 მუხლში, 27 სანქცია), მმართველობის წესისა (18 მუხლში 20 სანქცია) და საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის (17 მუხლში 20 სანქცია) წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავებში.

უდავოა, რომ სამეურნეო, მმართველობის წესის, საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული და აგრეთვე ზოგიერთი ისეთი დანაშაულებანი, როგორც არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება (მუხ. 95), განსაცდელში მიტოვება (129), იძულება (135), მუქარა (136), ცილისწამება (137), შეურაცხყოფა (138), მითვისება (155) და სხვა, სადაც ჯარიმა სასჯელის სახედ არის მოცემული. შედარებით ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში ჯარიმა საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის მიხედვით სისხლის სამართალს კანონში ძირითადად უკავშირდება ისეთ დანაშაულებს, რომლებიც ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენენ სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის.

ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ისეთ მძიმე დანაშაულთა თავებში, როგორც არის სახელმწიფო, თანამდებობრივი, მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებანი და სხვა, რომელთა მიმართ სასჯელის შედარებით მკაცრი ღონისძიებები გამოიყენება, ჯარიმა სასჯელის სახედ იშვიათად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი საერთოდ არ არის გათვალისწინებული.

იმ მიზნით, რომ გაფართოვდეს ჯარიმის გამოყენების სფერო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ჩვენი აზრით, ურიგო არ იქნება, თუ ზოგიერთ ისეთ დანაშაულთა სანქციებში, რომლებიც საზოგადოებრივად ნაკლები საშიშროების შემცველია სასჯელის ერთ-ერთ სახედ ჯარიმა იქნება გათვალისწინებული.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მეხუთე თავში, რომელიც მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს ეხება, ჯარიმა გათვალისწინებულია მხოლოდ 155-ე





მუხლის სანქციაში, თუმცა ამავე თავში მოთავსებულ ზოგიერთი მუხლის სანქციად შეიძლება ჯარიმის გამოყენება. ასეთად ჩვენ მიგვაჩნია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლი „მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება“, ამ მუხლის I ნაწილის სანქცია ითვალისწინებს „გამასწორებელ სამუშაოებს ერთ წლამდე. ან საზოგადოებრივ გაკიცხვას“.

ამ მხრივ კარგია, თუ მოვიშველიებთ მოძმე სოციალისტურ ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოცდილებას.

მაგალითად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 183-პარაგრაფში, ისეთივე ტიპის დანაშაულისათვის, როგორც არის „მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება“, კანონმდებელი სანქციაში საზოგადოებრივი გაკიცხვისა და თავისუფლების აღკვეთის გვერდით სასჯელის სახედ ჯარიმასაც ითვალისწინებს<sup>3</sup>.

ამრიგად საქართველოს სსრ სსკ 157-ე მუხლის I ნაწილის სანქციაში გამასწორებელი სამუშაოებისა და საზოგადოებრივი გაკიცხვის გვერდით — ჯარიმის გამოყენება სავსებით შესაძლებლად შეიძლება ჩაითვალოს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ასეთი მუხლები შეიძლება სხვაც მოინახოს. ამ მუხლების სანქციებში სხვა სასჯელების ალტერნატიულად ჯარიმის გამოყენება ასევე მიზანშეწონილი იქნებოდა.

2. სისხლის სამართლის ნებისმიერი სასჯელის, მათ შორის ჯარიმის ეფექტიანობის შესწავლისათვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენად ხშირად გამოიყენება იგი სასამართლო პრაქტიკაში.

მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის ეს სახე გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სსკ განსაკუთრებული ნაწილის 77-ე მუხლის 90 სანქციაში, საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკაში მისი გამოყენების სფერო ერთობ შეზღუდულია. მაგალითად შეგისწავლეთ რესპუბლიკის უკანასკნელი წლების სასამართლო პრაქტიკა ჯარიმის დანიშვნის დარგში და გაირკვა, რომ სახალხო სასამართლოების მიერ, მსჯავრდებულთა საერთო რიცხვიდან, ჯარიმა, როგორც სასჯელი გამოყენებულია: 1974 წ. 2,09 პროცენტის, 1975 წ. 2,05 პროცენტის, 1976 წ. 2,41 პროცენტის, 1977 წ. 2,40 პროცენტის, 1978 წ.— 2,42 პროცენტის მიმართ.


როგორც ჩანს, რესპუბლიკის სასამართლოები გეროვნად არ აფასებენ სასჯელის ამ სახეს ეფექტიანობას.

სისხლის სამართლის კანონის შესაძლებლობებსა და ჯარიმის გამოყენების პრაქტიკას შორის შეუსაბამობის გარკვევა საგანგებო გამოკვლევას მოითხოვს, რაც სცილდება წინამდებარე სტატიის მიზანს, მაგრამ ასეთი გამოკვლევის გარეშეც თამამად შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკა ერთგვარად მოულოდნელ სურათს წარმოშობს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე პირობებში საბჭოთა კავშირშიც და მოძმე სოციალისტურ ქვეყნებშიც, სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა სასჯელის ისეთი ღონისძიებების გამოყენებას, რომლებიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

სისხლის სამართლის პოლიტიკის ეს ტენდენცია აღინიშნა ვარნის 1977

<sup>3</sup> Уголовный и уголовно-процессуальные кодексы ГДР, «Юридическая литература», 1972, стр. 115.





წლის საერთაშორისო სიმპოზიუმზეც, რომელიც სისხლის სამართლის პოლიტიკისა და სისხლის სამართლის პრობლემებს მიეძღვნა. სიმპოზიუმზე „უნებრეთის სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთ ტენდენციად დასახელეს თავისუფლების აღკვეთასთან დაუკავშირებელი სასჯელების (მაგალითად ჯარიმის) სულ უფრო ფართო გამოყენება“, ხოლო პოლონეთში ყველაზე უფრო დამახასიათებელ ტენდენციად დასახელებულ იქნა „სერიოზული ღონისძიებების გამოყენება საშიში დამნაშავეებისადმი და პირიქით, თავისუფლების აღკვეთასთან დაუკავშირებელი სასჯელების გამოყენება იმათ მიმართ, ვინც მცირე მნიშვნელობის დანაშაული ჩაიდინა“<sup>4</sup>.

სასამართლო პრაქტიკაში სწორია შემთხვევები, როდესაც სასამართლოები ნაკლებად საშიშ დამნაშავეებს უსჯიან ნოკლევადიან თავისუფლების აღკვეთას, ე. ი. თავისუფლების აღკვეთას ერთ წელზე ნაკლები ვადით. პროფ. მ. დ. შარგოროდსკის აზრით, მოკლევადიან თავისუფლების აღკვეთას მთელი რიგი ნაკლოვანებანი ახასიათებს; ერთ-ერთი ასეთი ნაკლი, ის არის, ამბობს იგი, რომ „თავისუფლების აღკვეთის ეფექტიანობა, მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური დადებითი თვისებებით, როგორც არის რეეიმი, შრომა, პოლიტ-აღმზრდებლობითი სამუშაოები და სხვა, მსჯავრდებულის გამოსწორებაზე და ხელახალ აღზრდაზე შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს საკმაო დრო ამ თვისებებების დადებითი ზემოქმედებისათვის, როგორც წესი, ეს დრო ერთ წელზე ნაკლები არ უნდა იყოს“<sup>5</sup>.

აქედან გამომდინარე, სასჯელთა სისტემის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, მ. დ. შარგოროდსკი მიზანშეწონილად თვლის გაფართოვდეს ჯარიმის გამოყენება მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შემცირების ხარჯზე. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: „პრაქტიკულად ჯარიმის გამოყენება იმ შესაძლებლობასთან შედარებით, რომელსაც იძლევა კანონი, ძალზე დაბლა დგას. ჩვენი აზრით, ჯარიმის გამოყენების გაფართოვება მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შემცირების ხარჯზე ხელს შეუწყობს სასჯელთა სისტემის ეფექტიანობის ამაღლებას“<sup>6</sup>.

საერთოდ საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა სიფრთხილით ეკიდება მოკლევადიან თავისუფლების აღკვეთას. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 3 დეკემბრის დადგენილებაში ნათქვამია: „იმ შემთხვევაში, როდესაც კანონის სანქციის თანახმად შეიძლება დანიშნულ იქნეს მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა, სასამართლოებმა, საქმის გარემოებათა და დამნაშავეის პირობების გათვალისწინებით, უნდა იმსჯელონ, ხომ არ არის შესაძლებელი ისეთი სასჯელის დანიშვნა, რომელიც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული...“<sup>7</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის არაეფექტიანობა აღიარებულია არა მარტო საბჭოთა, არამედ უცხოელ სისხლის სამართ-

<sup>4</sup> იხ. მ. გ. უგრეხელიძე „სისხლის სამართლის პოლიტიკა და სისხლის სამართალი“ (ვარნის საერთაშორისო სიმპოზიუმის შესახებ) „საბჭოთა სამართალი“, 1979 წ. № 2 გვ. 50.

<sup>5</sup> См. М. Д. Шаргородский. Наказание, его цели и эффективность. ЛГУ, 1971, стр. 94.

<sup>6</sup> См. «Курс советского уголовного права. т. 2., ЛГУ, 1970, стр. 294.

<sup>7</sup> См. Сборник постановлений Пленума Верховного суда СССР, М., 1974, стр. 271.





თლის მეცნიერთა მიერაც. მაგალითად, ვარნის 1977 წლის საერთაშორისო სიმპოზიუმზე გამოსულმა ბულგარელმა მეცნიერმა მ. პალიკარსკიმ თავის მოხსენებაში სასჯელის სახით მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შეზღუდვა განიხილა, როგორც საერთო ტენდენცია სისხლის სამართლის განვითარებაში. ეს თეზისი განავითარა ბულგარელმა მეცნიერმა ს. ტრაიკოვიმაც. მის მიერ მოყვანილი მონაცემებით ბულგარეთში რეციდივისტებს შორის სამი მეოთხედი პირველი დანაშაულისათვის მსჯავრდებული იყო ექვსი თვის თავისუფლების აღკვეთით<sup>8</sup>.

ამრიგად მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის არაეფექტიანობიდან გამომდინარე, კარგი იქნება, თუ სასამართლოები განაჩენის გამოტანისას, საქმის გარემოებათა და დამნაშავის პიროვნების მიხედვით, როცა კანონი მოკლევადიან თავისუფლების აღკვეთასთან ერთად ჯარიმასაც ითვალისწინებს, ჯარიმას დაენიშნავენ.

3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად სასჯელები განიყოფება სამ ძირითად ჯგუფად: პირველ ჯგუფში შედის სასჯელები, რომლებიც შეიძლება დანიშნოს როგორც მართლოდენ ძირითადი.

მეორე ჯგუფის სასჯელები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელებად, ხოლო მესამე ჯგუფის სასჯელები შეიძლება დანიშნოს მხოლოდ როგორც დამატებითი და არასდროს, როგორც ძირითადი.

ჯარიმა მიეკუთვნება სასჯელთა მეორე ჯგუფს, რომელიც შეიძლება დანიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

ჯარიმა, როგორც ძირითადი სასჯელი, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ ის პირდაპირ არის მითითებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სათანადო მუხლის საწყვიტაში.

„ძირითად სასჯელად ჯარიმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო ნიშნავს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქ სასჯელს (მუხ. 45-ე), ან დანიშნულ სასჯელს ცვლის უფრო მსუბუქი სასჯელთ (მუხ. 54-ე, 55-ე)“<sup>9</sup>. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლი ითვალისწინებს სასჯელის შემსუბუქების ერთ-ერთ ფორმას, რომელიც გამოიხატება შესაბამის საწყვიტასთან შედარებით სხვა უფრო მსუბუქი სახეობის სასჯელის დანიშვნით, მაგალითად, გამასწორებელი სამუშაოების ნაცვლად ჯარიმა და სხვა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლის მიხედვით, „თუ ძირითად სასჯელად დანიშნული ჯარიმის ვადანდევინება შეუძლებელია, სასამართლოს განჩინებით ჯარიმა შეიცვლება გამასწორებელი სამუშაოებით შემდეგი ვანგარიშებით: ჯარიმის ყოველი ერთი მანეთისათვის გამასწორებელი სამუშაოების ერთი დღე, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა“. ერთი შეხედვით, თითქოს აქ სადავო არაფერია, ჯარიმის ყოველი ერთი მანეთისათვის დანიშნება ერთი დღის გამასწორებელი სამუშაოები, მაგრამ თუ ღრმად ჩა-

<sup>8</sup> См. В. С. Ключков. Уголовная политика и Уголовное право. «Социалистическая законность», 1977, № 11, стр. 65.

<sup>9</sup> იხ. „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები“ (ნაწილი პირველი), თბილისი, 1976 წ. გვ. 194.





ვუკვირდებით კანონის არსს, შევამჩნევთ, რომ ეს დებულება ბუნდოვანია, კერძოდ გაურკვეველია, თუ რომელი დღე აქვს კანონმდებელს მხედველობაში, ჩვეულებრივი კალენდარული დღე თუ გამასწორებელ სამუშაოთა დღე, დასვენების დღეთა ჩათვლელად.

თუ კანონმდებელი გულისხმობს ჩვეულებრივ კალენდარულ დღეს, მაშინ ერთი თვის გამასწორებელ სამუშაოებს, უნდა შეესაბამებოდეს ჯარიმა 30—31 მანეთის ოდენობით. თუ კანონმდებელს მხედველობაში აქვს გამასწორებელ სამუშაოთა დღე, დასვენების დღეთა ჩათვლელად, მაშინ სასამართლოები შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარების 30-ე მუხლში მოცემულმა განმარტებამ, სადაც ნათქვამია, რომ „ჯარიმის ყოველი ერთი მანეთისათვის დაინიშნება ერთი დღე გამასწორებელი სამუშაოები, ასე რომ ერთი თვის გამასწორებელი სამუშაო ფარავს 30 მანეთის ოდენობის ჯარიმას“<sup>10</sup>. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ თუ კანონში ნაგულისხმევია მხოლოდ სამუშაო დღეები, მაშინ, რასაკვირველია, ერთი თვის გამასწორებელ სამუშაოებს დაფარავს არა 30 მანეთი ჯარიმა, არამედ ჯარიმა საშუალოდ 22—23 მანეთის ოდენობით, რადგან ამ შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღება თვეში 8 დასვენების დღე.

ასეთმა ორპიროვნობამ სასამართლო პრაქტიკაში შეიძლება ამ კანონის არსის სხვადასხვანაირი ვაგება გამოიწვიოს. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, კარგი იქნება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ეს საკითხი იმგვარად მოწესრიგდეს, როგორც რსფსრ, უკრაინის, ბელორუსიის და ზოგიერთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკის კოდექსებშია, რომელთა მიხედვითაც ჯარიმის ათი მანეთისათვის დაინიშნება გამასწორებელი სამუშაოების ერთი თვე, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა (იხ. შესაბამისად რსფსრ 30-ე, უკრაინის და ბელორუსიის სსკ 32-ე მუხლები).

4. ძირითადი სასჯელის სახით ჯარიმის დანიშვნისას სასამართლომ ყოველთვის უნდა იხელმძღვანელოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპით, ვინაიდან „ერთი და იმავე შემადგენლობის დანაშაული კონკრეტული პირობების მიხედვით, რომლებშიც ისინი ჩადენილია, შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთ-მანეთისაგან საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა და პრალის სიმძიმის მიხედვით, და თვით პიროვნებანიც, რომელთაც ერთი ტიპის დანაშაული ჩადინეს, შეიძლება ერთნაირი საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელნი არ იყვნენ და ამიტომ სხვადასხვანაირ სასჯელს იმსახურებდნენ“<sup>11</sup>.

მართლაც, თუ ჩადენილი დანაშაული ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია, მაგრამ თვითონ დანაშაულის პიროვნება საზოგადოებრივად საშიშია და აღზრდა-გამოსწორებას საჭიროებს, მის მიმართ ჯარიმის გამოყენება, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი არ არის. ასეთი პირების მიმართ ჯარიმის გამოყენება მიზანშეწონილია უწინარეს ყოვლისა იმის გამო, რომ რადგანაც კოლექტივის მიერ მსჯავრდებულის გამოსწორება და ხელახალი აღზრდა გულისხმობს ხანგრძლივ პრიციპს, ამიტომ მათ მიმართ, უპირველეს ყოვლისა, გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი სასჯელი, რომელიც ხანგრძლივ ხა-

<sup>10</sup> იხ. „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები“ (ნაწილი პირველი) თბილისი, 1976, გვ. 195.

<sup>11</sup> იხ. „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები“ (ნაწილი პირველი) თბილისი, 1976, გვ. 211.



სიათს ატარებს, სასჯელის ასეთ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად, რაც შეეხება ჯარიმას, როგორც სასჯელს, იგი ხანგრძლივ პროცესთან არ არის დაკავშირებული და უმთავრესად ერთჯერად აქტს წარმოადგენს.

ჯარიმა სისხლის სამართლის კოდექსში უფრო ხშირად გათვალისწინებულია, როგორც ერთ-ერთი ალტერნატიული ძირითადი სასჯელი.

ერთადერთ ძირითად სასჯელად ჯარიმა იშვიათად გვხვდება. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 95<sup>1</sup> მუხლის სანქციებში ჯარიმა მოცემულია ერთადერთ ძირითად სასჯელად. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ 95<sup>1</sup> მუხლის სანქციას, სადაც ნათქვამია: „ისჯება ჯარიმით გატაცებული ქონების ღირებულების სამმაგ ოდენობამდე“. რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსში ჯარიმა მხოლოდ ერთ შემთხვევაშია გათვალისწინებული ერთადერთ ძირითად სასჯელად. (იხ. რსფსრ სსკ 67 მუხ. I ნაწ.).

6. დანაშაულის ხასიათისა და დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებით, სასამართლოს ყოველთვის შეუძლია ჯარიმის დანიშვნა დამატებითი სასჯელის სახით.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებული ნაწილის მუხლების სანქციებში იგი ძალზე იშვიათად არის გათვალისწინებული როგორც დამატებითი სასჯელი. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მონაცემებს ჯარიმების რაოდენობის შესახებ მოკავშირე რესპუბლიკების სსკ განსაკუთრებული ნაწილის მუხლების სანქციებიდან.

რსფსრ ძირ. სას.	65	დამ. სას.	1	ლიტვის სსრ ძირ. სას.	65	დამ. სას.	0.
ბელორუსიის სსრ	66		0	მოლდავეთის სსრ	68		0
უკრაინის სსრ	55		1	ლატვიის სსრ	72		0
უზბეკეთის სსრ	65		0	ყირგიზეთის სსრ	67		1
ყაზახეთის სსრ	53		2	ტაჯიკეთის სსრ	71		0
საქართველოს სსრ	90		0	სომხეთის სსრ	65		0
აზერბაიჯანის სსრ	68		1	თურქმენეთის სსრ	82		1
				ესტონეთის სსრ	46		0

ამ ცხრილიდან ნათელია, რომ 9 მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებული ნაწილის მუხლების სანქციებში ჯარიმა საერთოდ არ არის გათვალისწინებული დამატებითი სასჯელის სახით, მხოლოდ რსფსრ, უკრაინის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, ყირგიზეთის სსრ და თურქმენეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსების განსაკუთრებული ნაწილის მუხლებში თითოჯერ არის მოცემული დამატებით სასჯელად, ხოლო ყაზახეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსში კი სხვებისაგან განსხვავებით — ორჯერ.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლების სანქციებში ჯარიმა დამატებით სასჯელად საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ამასთან დაკავშირებით დასაზუსტებელია საქართველოს სსრ სსკ კომენტარების დებულება, რომლის თანახმად „დამატებით სასჯელად ჯარიმა გათვალისწინებულია მხოლოდ 225-ე მუხლში“<sup>12</sup>. თუ გავეცნობით სა-

<sup>12</sup> იხ. „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები“ (ნაწილი პირველი). თბილისი, 1976, გვ. 194.





ქართველოს სსრ სსკ 225-ე მუხლს, ვნახავთ, რომ ამ მუხლის სანქციაში ჯარიმა გათვალისწინებულია არა. როგორც დამატებითი სასჯელი, არამედ როგორც ერთ-ერთი ალტერნატიული ძირითადი სასჯელი.

როგორც ზემოთ ითქვა, „ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი სახელმწიფოს სასარგებლოდ, რომელსაც დადებს სასამართლო როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის სახით სისხლის სამართლის კანონით დადგენილ შემთხვევებსა და ფარგლებში, მაგრამ არანაკლებ ათი მანეთისა“. იმის მსგავსად არის ფორმირებული ლატვიის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 29-ე მუხლიც.

მ. ი. ბლუმი წერს: „ეს მუხლები არ შეესაბამება საფუძვლების 27-ე მუხლის ტექსტს და შეიძლება განმარტებულ იქნეს იმდენად, რომ ჯარიმა დამატებითი სასჯელის სახითაც შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“<sup>13</sup>. ვინაიდან არც ლატვიის და არც ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის, კერძოდ კი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლებში ჯარიმა დამატებით სასჯელად საერთოდ არ არის გათვალისწინებული, ამიტომ კანონის ასეთი განმარტება იმ დასკვნამდე მიგვიყვანდა, რომ ჯარიმის გამოყენება დამატებითი სასჯელის სახით დაუშვებელია. ეს კი, რასაკვირველია, ეწინააღმდეგება საფუძვლებს, სადაც დადგენილია, თუ რომელი დამატებითი სასჯელი შეიძლება იქნეს დაინიშნული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. აქედან გამომდინარე მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებს უფლება არა აქვთ შეზღუდონ ჯარიმის გამოყენების შესაძლებლობა დამატებითი სასჯელის სახით. როდესაც საფუძვლები მიუთითებენ, რომ „ჯარიმა სასამართლოს მიერ დაინიშნება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ფარგლებში, რასაკვირველია გულისხმობენ ჯარიმას როგორც მხოლოდ ძირითად სასჯელს“<sup>14</sup>.

ჯარიმა არის ერთადერთი სასჯელი, რომელიც გამოიყენება დამატებით სასჯელად პირობითი მსჯავრის დროს. ი. ვალპერიანის მოსაზრებით „ჯარიმა დამატებითი სასჯელის სახით პირობითი მსჯავრის დადების დროს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიუხედავად იმისა, გათვალისწინებულია თუ არა იგი დამატებით სასჯელად სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის იმ მუხლის სანქციაში, რომლითაც კვალიფიცირდება ბრალდებულის ქმედობა“<sup>15</sup>.

ჩვენი აზრით, ამჟამად მოქმედი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ი. ვალპერიანის მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ. ვინაიდან, თუ სწორად მივიჩნევთ 30-ე მუხლის ფორმულირებას, მაშინ ჯარიმა დამატებით სასჯელად პირობითი მსჯავრის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სისხლის სამართლის კანონით დადგენილ შემთხვევებსა და ფარგლებში, თორემ დაირღვევა კოდექსის ამ ნორმის მოთხოვნა, რაც სრულიად დაუშვებელია. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლის ფორმულირება, რომლის მიხედვით

<sup>13</sup> См. Особенности уголовных кодексов союзных республик. Сб. М., 1963. стр. 340.

<sup>14</sup> «Курс советского уголовного права», т. 2, ЛГУ, 1970, стр. 295.

<sup>15</sup> См. И. М. Гальперин, Ю. Б. Мельникова. Дополнительные наказания современных условиях борьбы с преступностью. «Советское государство и право», 1978, № 7, стр. 93.





თაც, „პირობითი მსჯავრის დადების დროს არ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სასჯელი ვარდა ჯარიმისა“, არც ისე ნათელია. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ერთმანეთს შევადარებთ ამ მუხლსა და 30-ე მუხლს. ანალიზი კვიჩენებს, რომ ჯარიმა პირობითი მსჯავრის დროს შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ სისხლის სამართლის კანონით დადგენილ შემთხვევაში, ე. ი. მაშინ, როდესაც იგა, როგორც დამატებითი სასჯელი, პირდაპირ არის გათვალისწინებული განსაკუთრებული ნაწილის სათანადო მუხლის სანქციებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დებულებას იზიარებენ საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგიერთი მეცნიერები და სასამართლოები<sup>16</sup>. ჩვენი აზრით, აღნიშნული პოზიცია არც ისე ნათელია, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს. საქმე ის არის, რომ რამდენადაც საქართველოს სსრ სსკ განსაკუთრებული ნაწილის სათანადო მუხლის სანქციები ჯარიმას დამატებითი სასჯელის სახით საერთოდ არ ითვალისწინებენ, ჯარიმის დანიშვნა დამატებით სასჯელად პირობითი მსჯავრის დადების დროს განუხორციელებელია.

ამ მოსაზრებათა საფუძველზე, ჩვენი აზრით, ან საჭიროა შეიცვალოს, დაზუსტდეს, ნათელი და სრულყოფილი გახდეს საქართველოს სსრ სსკ 30-ე და 46-ე მუხლების ფორმულირება იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია ჯარიმის, როგორც დამატებითი სასჯელის გამოყენებაზე, ან კიდევ იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას წინააღმდეგობა საქართველოს სსრ სსკ ზოგადი ნაწილის ამ ნორმებსა (30-ე და 46-ე მუხლი) და განსაკუთრებული ნაწილის ნორმებს შორის. უფრო მიზანშეწონილია, თუ მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობაც ამ ნაწილში შეიტანდა დამატებას და გაათავსებდა სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში ჯარიმის, როგორც დამატებითი სასჯელის გამოყენების არეს. საკითხის ასე გადაწყვეტა, ცხადია, სასამართლოებს ჯარიმის დამატებით სასჯელად გამოყენების უფრო ფართო შესაძლებლობას მისცემდა.

<sup>16</sup> См. «Курс советского уголовного права», т. 3. М., 1970, стр. 99; «Комментарий к уголовному кодексу РСФСР», М., 1971, стр. 87, Г. А. Кригер, Назначение наказания и освобождение от наказания по советскому уголовному праву, М., 1961, стр. 20; Ю. М. Ткачевский, Освобождение от отбывания наказания, М., стр. 28 и др.



# ქონების კონფისკაციის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა



## 6. ბაღაბაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

ქონების კონფისკაცია სასჯელის დამატებითი ღონისძიებაა.

საქართველოს სსრ სსკ 34-ე მუხლის შესაბამისად, ქონების კონფისკაცია არის მსჯავრდებულის პირად საკუთრებაში არსებული მთელი ქონებისა ან მისი ნაწილის იძულებითი უსასყიდლო ჩამორთმევა და მისი სახელმწიფო საკუთრებაში ჩარიცხვა. ქონების კონფისკაციის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ამის შესახებ პირდაპირ არის ნათქვამი კანონში, ამასთან კონფისკაცია შეიძლება მიეცეს მხოლოდ მსჯავრდებულის პირად ქონებას და საერთო საკუთრებაში არსებული ქონების მის კუთვნილ წილს. ამ შემთხვევაშიც კანონი ზღუდავს კონფისკაციის ფარგლებს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ნუსხის თანახმად არ შეიძლება იმ საგნების კონფისკაცია, რომლებიც აუცილებელია მსჯავრდებულისა და მის კმაყოფილებაზე მყოფი პირებისათვის, აგრეთვე საცხოვრებელი სახლისა სამეურნეო ნაგებობით ან მისი ნაწილით, თუ მსჯავრდებულის და მისი ოჯახი მუდმივად ცხოვრობენ ამ სახლში და სოფლის მეურნეობას ეწევიან.

ამრიგად ქონების კონფისკაცია ზეღაღებით და შეუზღუდავად არ გამოიყენება. კანონის ეს მოთხოვნები სასამართლოებს ავალებს განსაკუთრებული სიფრთხილითა და გულისყურით მოექიდონ ქონების კონფისკაციას. მისი მცდარი შეფარდება აშკარად არღვევს მოქალაქეთა და სახელმწიფოს ინტერესებს.

სასამართლო პრაქტიკაში ამ საკითხის გადაწყვეტისას სამწუხაროდ მრავალ შეცდომას უშვებენ. ჩვეულებრივ არცერთი სასამართლო განაჩენში არ მიუთითებს თუ რატომ უსჯის ქონების კონფისკაციას, ხოლო როცა არ უფარდება, არ მსჯელობს იმაზე, თუ რატომ მივიდა სასამართლო ამ გადაწყვეტილებამდე. განაჩენში არ ჩანს, ხოლმე, ითვალისწინებს თუ არა სასამართლო დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებას, დანაშაულის ხარისხს და მსჯავრდებულის პიროვნებას.

ქონების კონფისკაციისაგან უნდა განვასხვავოთ დანაშაულის იარაღის კონფისკაცია.

სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული არ არის ერთიანი შეხედულება ამა თუ იმ საგნის დანაშაულის იარაღად და საშუალებად ცნობის შესახებ.

არის შემთხვევები, როცა დანაშაულის იარაღად ცნობილი ნივთმტკიცება მოწმის საკუთრებაა, მაგრამ სასამართლო მას მაინც უკეთებს კონფისკაციას, ანდა პირიქით, საგანი დანაშაულის იარაღად არის ცნობილი. სასამართლო კი მის კონფისკაციას არ ახდენს, თუმცა იგი მსჯავრდებულის კუთვნილებაა და მისი კონფისკაცია პირდაპირ მიითითებულია კანონში.

ზოგჯერ სასამართლოება კონფისკაციას უკეთებენ სასპეკულაციო საგნებს, როცა ისინი მყიდველთა ხელშია და მათ საკუთრებას წარმოადგენს. მოვიტან მაგალითებს იმ დარღვევებიდან, რომლებსაც სასამართლოები უშვებენ პრაქტიკულ საქმიანობაში.

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს 1977 წლის 1 მარტის განაჩენით პ. ხარატივილი, ხ. ჭანტურიძეს და ა. თელიძეს საქართველოს სსრ სსკ



165-ე მუხლის მეორე ნაწილით თავისუფლების აღკვეთასთან ერთად შეეფარდათ ქონების კონფისკაციაც. სასამართლომ განაჩენა არ დაასაბუთა თუ რატომ მოახდინა ქონების კონფისკაცია, თუმცა კანონი პირდაპირ მოითხოვს ამას. ასეთივეა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1953 წლის 29 სექტემბრის № 7 დადგენილების „ქონებზე კონფისკაციის გამოყენების შესახებ“ მე-3 პუნქტის მოთხოვნაც (მასში 1963 წლის 14 მარტს № 1 და 1963 წ. 24 ივნისის № 07 დადგენილებებით შეტანილი ცვლილებებით).

მ. ინაძეს საქართველოს სსრ სსკ 152-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი პუნქტით თავისუფლების აღკვეთასთან ერთად შეეფარდა ქონების კონფისკაცია. სასამართლომ განაჩენა არ მიუთითა არც ერთ მოტივზე, თუ რატომ მივიდა ამ დასკვნამდე, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი პუნქტი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

ასეთივე შეცდომები აქვს დაშვებული ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს 1977 წლის 22 აპრილს მ. ზარგარიანის მიმართ გამოტანილ განაჩენში, აგრეთვე რესპუბლიკის ჰევრი სხვა რაიონის და ქალაქის სახალხო სასამართლოს.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სასამართლოები არ უფარდებენ ქონების კონფისკაციას, თუმცა ამას კანონი ითვალისწინებს, ამასთან არ ასაბუთებენ თუ რატომ მივიდნენ ამ გადაწყვეტილებამდე.

ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ 1977 წლის 28 აპრილის განაჩენით საქართველოს სსრ სსკ 165-ე მუხლის II ნაწილით ე. ბაჩიაშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით, მაგრამ არ იმსჯელა ქონების კონფისკაციის შესახებ, ეს მუხლი კი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ქონების კონფისკაციით ან უამისოდ. ასევე გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ 1977 წლის 2 თებერვლის განაჩენით ა. ნაბიევა სსკ 165 მუხლის II ნაწილით შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა და არ იმსჯელა ქონების კონფისკაციის შესახებ.

ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლომ 1977 წლის 19 დეკემბრის განაჩენით შ. ჩხარაიას საქართველოს სსრ სსკ 252-ე მუხლის I ნაწილით შეუფარდა ორი წელი თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციის გარეშე.

ეს პრაქტიკა მცდარია და დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს, რათა ქონების კონფისკაციის გამოყენების კანონის მოთხოვნა ზუსტად იქნას დაცული.

ზოგიერთი სასამართლო ქონების კონფისკაციას ახდენს პირობითი მსჯავრის დადების დროსაც.

სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლომ ს. ადამიას 1977 წლის 5 მაისის განაჩენით სსკ 165-ე მუხლის მეორე ნაწილით შეუფარდა 2 წლის თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ 46 მუხლის საფუძველზე შეუცვალა პირობითად იმავე ვადით, ამასთან მოახდინა ს. ადამიას პირადი ქონების კონფისკაცია.

სასამართლომ უხეშად დაარღვია საქართველოს სსრ სსკ 46-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის ძალითაც პირობითი მსჯავრის დადების დროს არ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სასჯელი, გარდა ჯარიმისა.

ამასთან პირობითი მსჯავრის შეფარდების დროს აუცილებელია დანამატის იარაღის და სავნის კონფისკაცია, რადგანაც იგი არ წარმოადგენს სასჯელის დამატებით ღონისძიებას.





კანონის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებულის როგორც მთელი ქონების, ასევე ქონების ნაწილის კონფისკაცია. მიუხედავად ამისა არ არის არცერთი განაჩენი რომლითაც კონფისკაცია შეხებოდეს მსჯავრდებულის ქონების ნაწილს.

რესპუბლიკის სასამართლოების პრაქტიკაში დანერგულია ორი ტერმინი — პირადი ქონების კონფისკაცია და ქონების კონფისკაცია. ორივე შემთხვევაში კონფისკაცია ეფარდება მსჯავრდებულის მთლიან ქონებას, რადგანაც ასეთია ამ ორივე ცნების შინაარსი.

ეს პრაქტიკაც მცდარია. ეტყობა, სასამართლოები სათანადო გულისყურით არ ეკიდებიან ამ საკითხის გადაწყვეტას, არ ითვალისწინებენ კონკრეტულ გარემოებებს, დანაშაულის სიმძიმეს, მის საზოგადოებრივ საშიშროებას, დამნაშავეს პიროვნებას, მის ოჯახურ მდგომარეობას და მსჯავრდებულთა კმაყოფიან მყოფი არასრულწლოვანი შვილების ბედს.

წინასწარი გამოძიების პროცესში ზოგჯერ ზერეღედ და ფორმალურად ეკიდებიან ბრალდებულთა ქონების აღწერას, ყურადღებას არ აქცევენ, თუ ვის ქონებას აღწერენ.

მაგალითად, გურჯაანის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების საგამოძიებო ჯგუფმა მსჯავრდებულ მჭედლიშვილის საქმის გამო (დანაშაულია გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსკ 165-ე მუხლის II ნაწილით და 229 მუხლის მეორე ნაწილით), 1978 წლის 23 იანვარს აღწერა მსჯავრდებულის მშობლების ქონება. მსჯავრდებული ქ. თბილისის მუდმივი მცხოვრებია, მშობლები კი ცხოვრობენ გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში, სადაც აღწერილ იქნა მსჯავრდებულის მამის სახელზე აღრიცხული ავტომანქანა „მობედა“ და დედის სახელზე აღრიცხული მაცივარი და გაჭურა.

სასამართლოების მუშაობაში არ არის ერთიანი პრაქტიკა სასპეკულაციო საგნების კონფისკაციის თაობაზე. ზოგიერთი სასამართლო მსჯავრდებულის ბინაში აღმოჩენილ სასპეკულაციო საქონელთან ერთად კონფისკაციას უკეთებს მსჯავრდებულისაგან მყიდველის მიერ შექმნილ ქონებასაც, როცა მყიდველი მას დაეუფლა, როგორც მესაკუთრე.

ეს საგნები წინასწარი გამოძიების დროს ამოღებულია, როგორც ნივთმტკიცება იმის დასადასტურებლად, რომ მყიდველმა იგი შეიძინა დამნაშავესაგან — სპეკულანტისაგან. ასეთ ვითარებაში ნივთები უნდა დაუბრუნდეს მყიდველს, როგორც მისი საკუთრება.

მაგალითად: ქ. ჭიათურის სახალხო სასამართლომ 1977 წლის 29 სექტემბრის განაჩენით საქართველოს სსრ სსკ 165-ე მუხლის მეორე ნაწილით მოაჩინა მსჯავრდებულ ნ. ბარაბაძის ოჯახში აღმოჩენილ სასპეკულაციო სამრეწველო საქონლის და მსჯავრდებულისაგან რამდენიმე თვის წინათ ნ. თაბაგარის, თ. სხირტლაძის, ლ. ფხალაძის და ი. ჩაფიძის მიერ შექმნილ ქონებისაც, რომელიც მათი ბინებიდან იქნა ამოღებული, როგორც ნივთმტკიცება. ეს განაჩენი ძალაში დატოვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ.

ანალოგიური შეცდომა დაუშვა ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლომ გ. დარსაველიძის მიმართ, როცა მას საქართველოს სსრ სსკ 165-ე მუხლის II ნაწილით შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა და კონფისკაცია გაუკეთა არა-



მარტო მის ბინაზე აღმოჩენილ სასპეკულაციო ნივთებს, არამედ შეიღველის მიერ შეძენილ ქონებასაც.

სასამართლომ ამით უხეშად დაარღვია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის პრინციპული მოთხოვნა, რომ კონფისკაცია შეიძლება შეეხოს მხოლოდ იმ ქონებას, რომელიც მსჯავრდებულს ეკუთვნის განაჩენის გამოტანის დროს.

ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლომ ვ. გრიგორიანი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსრ სსკ 165-ე მუხლის მეორე ნაწილით და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით გაძლიერებული რეჟიმის შრომაგასწორების დაწესებულებაში მოხდით. განაჩენით კონფისკაციაქმნილი იქნა საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი მსჯავრდებულ ვ. გრიგორიანის მიერ 1974 წელს შეძენილი და მოქალაქე ა. წერეთელზე გაფორმებული ავტომანქანა (ვაზ-2101), რომელიც შემდგომში მიჰყიდეს მოქალაქე მ. იაკობაშვილს.

სასამართლომ მ. იაკობაშვილი ჩათვალა არაკეთილსინდისიერ შემძენად, რადგანაც მან ვერ მოასწრო მანქანის ყიდვა-გაყიდვის საკომისიო წესით გაფორმება, იმის გამო, რომ მანქანა გამყიდველის საკუთრებაში არ იყო ერთი წლის განმავლობაში.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 147-ე მუხლით არაკეთილსინდისიერ შემძენად ითვლება ქონების ისეთი შემძენი, რომელმაც იცოდა ანდა უნდა სცოდნოდა, რომ პირს, ვისგანაც ქონებას იძენდა არ ჰქონდა მისი გასხვისების უფლება, მოცემულ შემთხვევაში მ. იაკობაშვილმა ავტომანქანა შეიძინა მესაკუთრეებისაგან, რომლებსაც ჰქონდათ ქონების გასხვისების უფლება, მაგრამ ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა საკომისიო წესით ვერ იქნა გაფორმებული, ვინაიდან გამყიდველს საკუთრებაში ეს მანქანა ერთი წლის განმავლობაში არ ყოფილა.

იმავე სასამართლომ ს. შავერდიანს საქართველოს სსრ სსკ 165-ე მუხლის მეორე ნაწილით შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით და მოახდინა კონფისკაცია შავერდიანის მიერ 1974 წლის 13 მაისს ქ. ყაზანში ფ. ზაინულისაგან შეძენილ ავტომანქანა „ვიგელი“ ვაზ-2101-ისა, რომელიც ქ. თბილისში 7900 მანეთად მიჰყიდა მოქ. ი. აფციაურს.

ამ შემთხვევაში სასამართლომ კონფისკაცია უყო ავტომანქანას იმ მოტივით, რომ იგი საკომისიო წესით არ იყო გაფორმებული და აფციაური მანქანის არაკეთილსინდისიერ შემძენად იქნა მიჩნეული. ი. აფციაურმა ავტომანქანა შეიძინა მესაკუთრისაგან, რომელსაც ჰქონდა მისი გასხვისების უფლება, ამიტომ ი. აფციაური ავტომანქანის კეთილსინდისიერი შემძენია. მან მთლიანად გადაიხადა ღირებულება და დაეუფლა მანქანას, მაგრამ ყიდვა-გაყიდვის გაფორმება საკომისიო წესით არ შედგა მხოლოდ იმიტომ, რომ ავტომანქანა ერთი წლის განმავლობაში არ იყო გამყიდველის საკუთრებაში, რასაც საკომისიო წესით გაფორმება მოითხოვს.

ანალოგიურია იმავე სასამართლოს 1975 წლის 17 ნოემბრის განაჩენი ბ. მურმანიშვილის მიმართ.

განაჩენები დატოვებულ იქნა ძალაში თბილისის საქალქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ.

სამივე საქმეზე გაზიარებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამა-



რთლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტი თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის მიერ. პრეზიდიუმის 1977 წლის 27 მაისის დადგენილებით მანქანები ამოირიცხა კონფისკაციიდან და დაუბრუნდა მესაკუთრეებს.

საქართველოს სსრ სსსკ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე კონფისკაცია შეიძლება გაუკეთდეს დანაშაულის მხოლოდ იმ იარაღს, რომელიც ბრალდებულს ეკუთვნის.

კანონის ეს კატეგორიული მოთხოვნა უხეშად დაარღვია დმანისის რაიონის სახალხო სასამართლომ. მან რ. გუსეინოვს საქართველოს სსრ სსსკ 17—105 მუხლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით და ამასთან კონფისკაცია გაუკეთეს თოფს, როგორც დანაშაულის იარაღს, რომელიც მოწმე ალიევს ეკუთვნოდა და მსჯავრდებულის მიერ იქნა გამოყენებული დაზარალებულების წინააღმდეგ.

განაჩენი ძალაში დატოვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისსხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ.

მსგავსი დარღვევები გვხვდება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისსხლის სამართლის სასამართლო კოლეგიაშიც.

როგორც ზემოთ ითქვა, არ არის ერთიანი პრაქტიკა დანაშაულის იარაღის ცნებაში. სასამართლოები დანაშაულის იარაღად მიიჩნევენ ავტომანქანას, როცა იგი გამოყენებულია ნაქურდალი ქონების სწრაფად გადასატანად და მიმალვისათვის.

1977 წლის 24 სექტემბრის განაჩენით ი. სუხიშვილი, ნ. ალექსიშვილი, თ. დათუაშვილი, გ. ოკინაშვილი, გ. პეტრიაშვილი და ა. გზირიშვილი ცნობილი იქნენ დამნაშავედ იმაში, რომ მათ 1977 წლის 4 სექტემბერს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად მოიპარეს საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდის კოლმეურნეობის კუთვნილი 113 მანეთის და 77 კაპიკის 367 კგ ყურძენი ტექნიკური საშუალების — გ. ოკინაშვილის ავტომანქანა „უიგულის“ გამოყენებით.

მსჯავრდებულ გ. ოკინაშვილის მანქანა, რომლითაც მსჯავრდებულები წავიდნენ ვენახში და იქიდან ნაქურდალი ყურძენი წამოიღეს და გადაამალეს, სასამართლო კოლეგიამ ჩათვალა დანაშაულის იარაღად და გაუკეთა კონფისკაცია.

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით სადავოდ არის მიჩნეული ავტომანქანა ასეთ შემთხვევაში წარმოადგენს თუ არა დანაშაულის იარაღს, ტექნიკურ საშუალებას. ზოგი თვლის, რომ მანქანა დანაშაულის იარაღია, რადგან მანქანა რომ არ ყოფილიყო, ისინი ვერ ჩაიდენდნენ ამ დანაშაულს. მათ მანქანის მეშვეობით სწრაფად მოახდინეს დანაშაულის ადგილიდან მიმალვა და დიდ ოდენობის ყურძენის გადატანა. ზოგი თვლის, რომ ასეთ შემთხვევაში მანქანა არ უნდა იქნეს მიჩნეული დანაშაულის იარაღად, რადგანაც იგი მხოლოდ გადაადგილების საშუალებაა და გამოყენებული იყო მხოლოდ მას შემდეგ, როცა დანაშაული უკვე ჩადენილი იქნა. დანაშაულის ობიექტური მხარე შესრულდა უმანქანოდ. დანაშაული დამთავრდა და მანქანას დანაშაულის კვალიფიციისათვის აღარა აქვს მნიშვნელობა.

ჩვენი აზრით მეორე მოსაზრება სწორია, იგი კანონის არსიდან გამომდინარეობს. მანქანა დანაშაულის იარაღი მაშინ იქნებოდა თუ იგი ვენახში შედ-



წევის საშუალებად იქნებოდა გამოყენებული, ე. ი. თუ ვენახის კარი დაკეტილი აღმოჩნდებოდა და მსჯავრდებულებს ვენახში შესვლის საშუალება არ ექნებოდათ, მანქანით გამოგლეჯდნენ ან გააღებდნენ კარს და შევიდოდნენ ვენახში ყურძნის მოსაპარად.

მ. გორდულაძე და რ. ღვინცაძე დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს, შეიარაღდნენ სპეციალურად მომარჯვებული ტექნიკური საშუალებებით — სახრახნისით, ფოლადის წამახვილებული საგნებით, ზურდით, სხვა საგნებით და 1978 წლის 3 ივლისს ღამით მ. გორდულაძის ძმის სახელზე გაფორმებული ვაზ—2103 ავტომანქანით, რომელსაც მ. გორდულაძე მართავდა, მივიდნენ სამტრედიის რაიონის საავადმყოფოსთან, ამოიღეს ფანჯრის მინა, შევიდნენ საავადმყოფოს შენობაში და ზემოთჩამოთვლილი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით გამოანგრიეს მოლარის სამუშაო ოთახის კედელი, გატეხეს სეიფი და ვაიტაცეს 10,443 მანეთის სახელმწიფო ქონება. 1978 წლის 10 ნოემბრის განაჩენით მ. გორდულაძეს და რ. ღვინცაძეს საქართველოს სსრ სსკ 961 მუხლით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით და ქონების კონფისკაციით. საქმეზე არსებული ნივთმტკიცებას ავტომანქანა „უიგული“ ვაზ—2103-ს გაუკეთდა კონფისკაცია, როგორც დანაშაულის ჩადენის იარაღს.

აქაც ავტომანქანა მსჯავრდებულის მიერ გამოყენებული იყო გადაადგილების და არა დანაშაულის საშუალებად. მანქანის მეშვეობით არ შესრულებულა დანაშაულის ობიექტური მხარე, იგი არ ყოფილა გამოყენებული საავადმყოფოს შენობაში შეღწევის საშუალებად. მსჯავრდებულებმა მანქანა გამოიყენეს მას შემდეგ როცა დანაშაული ჩაიდინეს, სეიფი გატეხეს, დაეუფლნენ ფულს და გარეთ გამოიტანეს.

თეთრი წყაროს რაიონის სახალხო სასამართლომ 1978 წლის 24 აპრილის განაჩენით ს. მერტვეცოვს საქართველოს სსრ სსკ 175 მუხლის მე-2 ნაწილით მიუსაჯა ერთი წლის თავისუფლების აღკვეთა სასჯელის საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

განაჩენით მას მსჯავრი დაედო იმაში რომ უკანონოდ იჭერდა თევზს: მოტოციკლეტის აკუმულატორს შეუერთა ამონალი და ისე ააფეთქა იგი წყალში თევზის დაჭერის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული ჩადენილია მოტოციკლეტის საშუალებით, არც წინასწარმა გამოძიებამ და არც სასამართლომ მოტოციკლეტი დანაშაულის იარაღად არ მიიჩნია და არ მოახდინეს მისი კონფისკაცია, რასაც კანონი ითვალისწინებს.

ამ შემთხვევაში სასამართლომ დაუშვა კანონის კატეგორიული მოთხოვნის უხეში დარღვევა, არ იმსჯელა დანაშაულის იარაღის ირგვლივ და არ გაუკეთა მას კონფისკაცია.

ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ სასამართლოები ძირითადად სწორად აყენებენ კანონს ქონების, დანაშაულის იარაღისა და საშუალებების კონფისკაციის შესახებ, მაგრამ ერთდროულად ისინი პრაქტიკულ საქმიანობაში ჯერ კიდევ უშვებენ დარღვევებს. სასამართლოები მოვალენი არიან სასჯელის ან დამატებითი ღონისძიებების შეფარდებისას განუხრებლად დაიცვან კანონის ყველა მოთხოვნა.





# მაოიზმი, კვლევი ჩინეთის პოლიტიკური იდეოლოგია და მათი რეალური პრისი

პროფ. გ. ნაღარავაძე

მაოიზმი, როგორც იდეოლოგიურმა მიმდინარეობამ, განვითარების საკმაოდ გრძელი გზა განვლო და სამოციანი წლების დამდეგისათვის ჩამოყალიბდა როგორც ასე თუ ისე დამოუკიდებელი პოლიტიკური დოქტრინა.

როდესაც მაოიზმზე, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ დოქტრინაზე ვლაპარაკობთ, ეს როდი ნიშნავს, თითქოს იგი ერთი მილიანი, მწყობრი პოლიტიკური მოძღვრება იყოს. არა. მაოიზმი სხვადასხვა, ხშირად დიამეტრალურად საწინააღმდეგო წყაროებიდან აღებულ შეხედულებათა კრელი შენადნობაა, რომლის კარკასსაც დიდმპყრობელური ჰეგემონიზმი შეადგენს.

მაოიზმს გარკვეული მეთოდოლოგია და ეკონომიკური კონცეფცია აქვს, მაგრამ მთავარი მათში, ასე ვთქვათ, მისი სული და გული, მაინც პოლიტიკური იდეოლოგიაა, რომელშიც ამკარად შეიმჩნევა ძველი ჩინეთის პოლიტიკური მოძღვრებების გავლენა.<sup>1</sup>

მაო ძე-დუნის გარდაცვალების შემდეგაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობას არ უარყვია მაოიზმის იდეური არსენალის ფასეულობანი. ჩინეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობაზე 1977 წლის აგვისტოში, ხოლო შემდეგ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლების სესიაზე 1978 წლის თებერვალ-მარტში ოფიციალურად დადასტურდა, რომ ჩინეთის სახელმწიფოს ახლანდელი ხელმძღვანელობა განახორციელებს „მაო ძე-დუნის მიერ შემუშავებულ რევოლუციურ საგარეო-პოლიტიკურ ხაზს“.

1974 წელს მაო ძე-დუნმა წამოაყენა ე. წ. „სამი სამყაროს თეორია“.

მაოს მიერ წამოყენებული „სამი სამყაროს თეორია“ საკანონმდებლო წესით დადასტურდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციაში, რომელიც დამტკიცებული იქნა 1978 წლის მარტში.

ჩინეთის ხელმძღვანელობა, ზემოხსენებული თეორიის შესაბამისად, ჩინეთს „მესამე სამყაროს“ ანუ განვითარებადი ქვეყნების წრეში აქცევს. ამ თეორიის თანახმად ჩინეთმა მოკავშირეები უნდა ეძებოს როგორც „მეორე“ ასევე „პირველი სამყაროს“ ქვეყნებთან განურჩევლად იმისა, რა სახის, რა პოლიტიკური რეჟიმის ქვეყნებთან ექნება მას საქმე. ამ „თეორიით“ არ არის გამოცხადებული და მართებულადაც ითვლება კავშირი კაპიტალისტურ ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს და სახელმწიფოს დიდ საფრთხეს უქადაღის ჩინელ მილიტარისტთა ცდები, რომ ჩაშალონ დაძაბულობის შენელება, არ დაუშვან განიარაღება და შუღლი ჩამოაგდონ სახელმწიფოთა შორის.

მაოისტების და მათთან დაკავშირებული მილიტარისტული ძალების მისწრაფებაა პროვოკაციულად გამოიწვიონ მსოფლიოს ომი და თვითონ კი ხელი მო-

<sup>1</sup> Критика теоретических основ маоизма. М., 1973.



ოთხონ ამით? ასეთ საქციელს არათუ არავითარ კავშირი არა აქვს მარქსიზმთან, ჰუმანიზმისა და მორალის ელემენტარულ ნორმებსაც კი ეწინააღმდეგება.

როგორც სკკპ XXV ყრილობაზე აღინიშნა, „ახლა უკვე ცოტაა იმის თქმა, რომ მაოისტური იდეოლოგია და პოლიტიკა შეუთავსებელია მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებასთან. იგი აშკარად მტრულია მისდამი“. მართალია, ჯუნან-ხაიში, სადაც ჩინეთის სახელმწიფოს უმაღლესი ელიტა ცხოვრობს, ჯერ კიდევ არ არის ბრძოლა ძალაუფლებისათვის დამთავრებული, მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მოკლე ხანში რომელიმე პოლიტიკურმა ჯგუფმა ცენტრალური კომიტეტის შიგნით მთლიანად უარყოს მაოისტური მემკვიდრეობა.

საერთაშორისო მიმომხილველებს შემთხვევითად არ მიაჩნიათ ის გარემოება, რომ ცნობილი ტროცკისტი, ლევ ტროცკის ორტომიანი ბიოგრაფიის ავტორი — ისააკ დეიჩერი კმაყოფილებით წერდა, „მაოისტების შეხედულებებში ბევრი რამ არის საერთო ლევ ტროცკის მოსაზრებებთან“.

ცნობილი რევზიონისტი, ჩინეთის ძველი და ახალი ისტორიის აღიარებული სპეციალისტი, გახმაურებული წიგნის — „აღმოსავლეთის დესპოტიზმის“ ავტორი კარლ ვიტფოგელი მაიზმის პოლიტიკურ დოქტრინაში და მაოისტების პრაქტიკულ საქმიანობაში უხვ მასალას პოულობს თავისი ანტიმარქსისტული დასკვნებისათვის, განიხილავს რა მაოისტებს, როგორც მარქსისტ მოღვაწეებს. მარქსიზმის მტრები კი ჩინეთის მაგალითს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკურ მარცხსა და სიძნელებებს მარქსიზმისათვის სახელის გასატეხად იყენებენ. ეკონომიკის სფეროში „დიდი ნახტომის“ სტრატეგიის წარუმატებლობამ სახელი გაუტეხა მაოისტების ეკონომიკურ პოლიტიკას. ეკონომისტების დაკვირვებით, ჩინეთი იღვრება რჩება ეკონომიკურად ერთ-ერთ ჩამორჩენილ ქვეყნად. ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მხრივ ჩინეთი 1973-1974 წლებში ოცდაათჯერ ჩამორჩებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, ათჯერ — იაპონიას, ხუთჯერ — თურქეთს და ორჯერ — ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას.<sup>3</sup>

ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის ფულადი გამონატულების მხედველობაში მიღებით ჩინეთი იმ განვითარებადი ქვეყნების რიგში დგას, რომლებიც ახლო წარსულში წარმოადგენდნენ ნახევრად კოლონურ და ნახევრად ფეოდალურ საზოგადოებებს. ჩინეთის სოციალურ-ეკონომიკურმა ჩამორჩენილობამ წარსულში გარკვეული დიდი დასვა თვით მაიზმსაც, როგორც პოლიტიკურ დოქტრინას.

როგორც აღვნიშნეთ, მაიზმი ეკლექტიკური ხასიითის მოძღვრებაა. მან ბევრი რამ შეითვისა მონათმფლობელური და ფეოდალური ჩინეთის პოლიტიკური დოქტრინებიდან. ამ მხრივ მაიზმს გარკვეული ხელშესახები კავშირი აქვს ჩინეთის ძველ ისტორიასთან.

უკანასკნელი წლების მანძილზე, განსაკუთრებით 60-იან წლებში და 70-იანა წლების პირველ ნახევარში ჩინეთში გამოვლინდა წარსულის მემკვიდრეობისადმი უპრინციპო კონიუქტურული დამოკიდებულება. ხან საერთოდ უარს

<sup>2</sup> Владимир О. Е. Рязанцев В. И. Страницы политической биографии Мао Цзэ-дуна. М., 1973.

<sup>3</sup> «Проблемы Дальнего Востока», № 4, 1974, стр. 40.



ამბობდნენ წარსულის კულტურულ მემკვიდრეობაზე, ხან კი, პირიქით, ცდილობდნენ მთლიანად შეეთვისებინათ ძველი ჩინეთის პოლიტიკური მოძღვრებანი, რომლებიც მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, სანამ მათ ძე-დუნის უშუალო მითითებით არჩევანი არ გაკეთდა ე. წ. „ლეგისტების“ პოლიტიკური მოძღვრების სასარგებლოდ, ხოლო კონფუცის იგოვე კუნ. ფუძის (551-479 წ.წ ჩვენს ერამდე) შეხედულებები სასტიკი და არაობიექტური კრიტიკის საგნად იქცა.

მართალია, მათ ძე-დუნის მითითებით ჩინეთში განაქიქეს კონფუცის მოძღვრება, მაგრამ მაისტური პრესა ხსენებული იდეოლოგიის მოძღვრებიდან უარყოფისა და ლანძღვის ღირსად თვლიდა მხოლოდ მის ჰუმანისტურ, შედარებით პროგრესულ ნაკადს. მაგალითად, კონფუცისა და მისი მოწაფეების მოძღვრება იმის შესახებ, რომ ადამიანი თავისი ბუნებით კეთილია, რომ იგი მოვალეა სამართლიანი და კაცთმოყვარე იყოს და რომ სამართლიანობა და ჰუმანიზმი უმაღლესი მორალური კატეგორიებია, დაცინვისა და სასტიკი ლანძღვის საგნად იქცა. უარყოფილი იქნა აგრეთვე კონფუცისა და კონფუციანელების შეხედულება სახელმწიფოთა შორის დავის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის უპირატესობის შესახებ. სამაგიეროდ მთლიანად იქნა შეთვისებული კონფუცის მოძღვრების კონსერვატიულ-ნაციონალისტური და რეაქციული ნაკადი.

მათ ძე-დუნის მითითებით ჩინეთში საკმაოდ დიდხანს ქადაგებდნენ კონფუცის მიმდევართა არსენალიდან აღებულ ეთნოცენტრიზმის იდეას, სადაც ჩინეთი წარმოდგენილი იყო, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის ერთადერთი ცენტრი. მაიზიმმა კონფუციდან შეითვისა „ჩინეთცენტრიზმის“ ტრადიციები. კონფუცის მოძღვრების მიხედვით, ჩინეთი როგორც გეოგრაფიულად, ასევე კულტურულად მსოფლიოს ცენტრად განიხილებოდა. ამასთან, ჩინელები ვარემომცველ ბარბაროსებთან შედარებით წარმოგვიდგებოდნენ, როგორც განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე მდგომი ხალხი. ამიტომაც ჩინელების ისტორიული გამოცდილების მნიშვნელობას აბსოლუტურად თვლიდნენ.

ჩინეთის ნაციონალისტური ისტორიოგრაფია ცდილობდა, რადაც უნდა დაჯდომოდა დემიტკიცებინა, რომ ჩინეთი უძველესი დროიდან იყო განუყოფელი და უძლიერესი კერა დიდი კულტურისა, წყარო უმნიშვნელოვანესი კულტურული რადიაციისა და რომ ჩინეთი ამ მხრივ არავისგან არაფრით არ არის დავალებული. ჩინური კულტურის აბსოლუტური ავტოქტონობის იდეას, ცხადია, უფრო მეტი კავშირი აქვს პოლიტიკასთან, ვიდრე მეცნიერებასთან.

ჩინური კულტურა და ცივილიზაცია, ისევე როგორც სხვა ცივილიზაციები, ნაყოფი იყო მულტივი ეკონომიკურ-კულტურული კონტაქტებისა, ურთიერთგავლენისა და ა. შ. ცხადია, მაიზიმს თავისი ჰეგემონისტური მიზნებისთვის ჩინეთის ნაციონალისტური ისტორიოგრაფიის გაზვიადებული დასკვნები ხელს აძლევს. მაიზიმის კავშირი ძველ ჩინურ რეაქციულ ტრადიციებთან აშკარაა.

როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა: „ყველა მკვდარ თაობათა ტრადიცია კომუნიზმით აწევს ცოცხალთა ტენის. და როდესაც ადამიანები თითქოს იმით არიან გართულნი, რომ თავისი თავი და საგნები გარდაქმნან, ჯერ არარსებული შექმნან, რევოლუციური კრიზისების სწორედ ასეთ ეპოქებში ისინი



მოკრძალებით იწვევენ დახმარებისათვის წარსულის სულებს, გადმოიღებენ მათ სახელებს, საბრძოლო ლოზუნგებს, ტანსაცმელს, რათა ძველ საპატიო სამოსელში და ამ ნასესხებ ენაზე მსოფლიო ისტორიის ახალი სცენა დადგან.<sup>4</sup> ახლა ვნახოთ „წარსულის სულებიდან“ თავის მოკავშირედ ვინ შეარჩია მათ ძე-ღუნმა?

ძველი ჩინეთის იდეოლოგიური არსენალიდან მაიზმმა ბევრი რამ შეითვისა. მათ ძე-ღუნს, ჯერ კიდევ პედსასწავლებლის სტუდენტს, დაუწერია მკირე ტრაქტატი — „გონების ენერგია“, რომელსაც კონფუციანელმა და ნეოკონტიანელმა მოაზროვნემ იან ჩან ძიმ მაღალი შეფასება მისცა.

მოგვიანებით, უკვე მომწიფების ასაკში მათმ ტრადიციულ იდეოლოგიურ ფასეულობათა არსენალიდან ყველაზე უხვად მაინც „ლეგისტების“ ანუ ფაძის ფილოსოფიური სკოლის მიმდევრების გავლენა განიცადა.

ლეგიზმის, როგორც პოლიტიკური მოძღვრების მამამთავრად ითვლება გუნსუნ იანი, იგივე შან იანი (390—338 წ.წ. ჩვენს ერამდე). მისი პოლიტიკური თხზულება თარგმნილია მრავალ ენაზე, მათ შორის რუსულზეც.

შან იანი იყო ძველი ჩინეთის შვიდი სამეფოდან ერთ-ერთის — ცინის მეფის სიან გუნის (361—338 წ.წ. ჩვენს ერამდე) მინისტრი. ცინის სამეფოში შან იანმა თავისი მოძღვრების შესაბამისად განახორციელა რეფორმები.

შან იანი კარგად იცნობდა კონფუცის და მო ძის მოძღვრებებს, მაგრამ არ იზიარებდა და სახელმიწფოებრიობის განვითარებისათვის საზიანოდაც კი თვლიდა.

კონფუცის და მისი მიმდევრის მენ ძის (372—288 წ.წ. ჩვენს ერამდე) მოძღვრების მიხედვით, ადამიანში კეთილი საწყისი ჭარბობს. ადამიანი კეთილია. კონფუცის სწავლებაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი სინდისს და კაცთმოყვარობას, რომლებიც ადამიანს ლამპარით უნდა უნათებდნენ ცხოვრების გზას. შან იანს კი სინდისი, როგორც ასეთი, საერთოდ არ აინტერესებდა. შან იანის აზრით, ადამიანი, როგორც ასეთი, ბოროტია და ყოველ საქმეში თავისი ინტერესით ხელმძღვანელობს. ადამიანი, როგორც ბოროტი არსება, შეიძლება მორჩილებაში ვიყოლიოთ ან სასჯელის შიშით ან საჩუქრების მეშვეობით. შიში და პირადი ინტერესი — აი ის ბერკეტები, რომლითაც შეიძლება მართო ადამიანები.

თუ კონფუცის და მენ ძის მიხედვით სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილება ისეთ მაღალ მორალურ პრინციპებს უნდა ემყარებოდეს, როგორცაა ჰუმანიზმი და სამართლიანობა, შან იანის აზრით ხსენებული პრინციპებით ხელმძღვანელობა სახელმწიფოს დაღუპავს.<sup>5</sup>

შან იანმა წამოაყენა იდეა, რომ მეფე და მთავარი აბსოლუტური ძალაუფლებით იყოს აღჭურვილი. მეფის, მთავრის, მმართველის შეუზღუდავი ძალაუფლება საზოგადოების არსებობის უმაღლესი მიზანია.

შან იანის მოძღვრებისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოს გაფეტიშება, მისი თავისებური კულტის აღიარება.

თუ კონფუცის მიმდევარი. მო ძი (479—381 წლები. ჩვენს ერამდე) სახელმწიფოს თვლიდა ისეთ მანქანად, რომელიც საყოველთაო სარგებლობისთვის უნდა გამოიყენოს სახელმწიფოს მესვეურმა, შან იანი პირდაპირ მიუთით-

<sup>4</sup> იხ. კ. მარქსი, ფრ. ენგელსი. რჩეული ნაწერები. ტომი 1, თბ., 1950, გვ. 267.

<sup>5</sup> Книга правителя области Шан. М., 1968.





თებდა, რომ სახელმწიფო უწინარეს ყოვლისა არის მანქანა საკუთარი ხალხის დასამონებლად და დასამორჩილებლად, ხოლო შემდეგ შესაძლებლობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ცისქვეშეთის დასაპყრობად. თუ მო ძი მეფეს ურჩევდა ხელი აეღო აგრესიულ ომებზე, შინ იანი პირიქით, სამეფოს გაფართოებას ომების გზით მართებულად მიიჩნევდა. სახელმწიფო კი არ არსებობს ხალხისათვის, არამედ პირიქით, ხალხი არსებობს სახელმწიფოსათვის. სახელმწიფოს და ხალხს შორის ანტაგონისტური, შეუთრგებელი წინააღმდეგობაა. სახელმწიფოს მიზანია ხალხის დამორჩილება, მისი მოქანცვა ფიზიკურად და მორალურად.

შან იანი სახელმწიფოს მეთაურისთვის აღიარებდა თავისუფალი მოქმედების პრინციპს. პოლიტიკური მოღვაწე თავისუფალია მორალური ნორმებისაგან. მიზანი ამართლებს საშუალებას. დიდი, სახელმწიფოებრივი მიზნის მისაღწევად მკვლელობაც კი დასაშვებია. სახელმწიფო უფლებამოსლია ნებისმიერად მოექცეს ქვეშევრდომი<sup>6</sup>.

შან იანის მოძღვრებაში მოცემულია უკვე დასრულებული მოდელი დესპოტიური სახელმწიფოსი.

არსად, არც დასავლეთში და არც აღმოსავლეთში, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია არ იცნობს არც მონათმფლობელურ, არც ფეოდალურ ხანაში შან იანის ორეულს, რომელსაც ასე აშკარად ხალხის საწინააღმდეგოდ დაემოძღვროს სახელმწიფოს მეთაური. შან იანის აზრით, იქ, სადაც ხალხი სუსტი და დამორჩილებულია, სახელმწიფო ძლიერია. სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანა სწორედ ხალხის დასუსტებაა, ვინაიდან ამას შედეგად სახელმწიფოს გაძლიერება მოჰყვება. ხალხი მხოლოდ საშუალებაა სახელმწიფოს ხელში.

კონკრეტის და მისი ერთგული მიმდევრების აზრით, სახელმწიფო — ეს დიდი ოჯახია და ხელმწიფე, როგორც ოჯახის უფროსი, თავისი ქვეშევრდომებისათვის მზრუნველი მამა უნდა იყოს. შან იანმა კი წამოაყენა ანტიპუმანიტური მოსაზრება, რომ ხალხი მხოლოდ ნედლი მასალაა მმართველის ხელში, რომელსაც უფლება აქვს ნებისმიერად მოექცეს ამ ნედლ მასალას. როგორც მექოთნე თიხის მასისაგან ძერწავს ქოთანს, ისევე ხელმწიფე სასურველ ფორმას აძლევს ხალხს.

შან იანმა თავისი წინამორბედებისაგან შეითვისა შეხედულება, რომ პიროვნება — ეს არის მხოლოდ სახელმწიფო მანქანის კანკიკი. სახელმწიფომ ხალხი უნდა აიძულოს ხელი მოკიდოს მიწათმოქმედებას და სამხედრო საქმეს. ამ გზით სახელმწიფოც გაძლიერდება და მას საშუალება ექნება მიიტაცოს მეზობელ სახელმწიფოთა მიწები.

შან იანის მოძღვრებამ სახელმწიფოს სამხედრო ფუნქციების შესახებ შემდგომი განვითარება პოვა შუა საუკუნეების ჩინეთის დიდი სამხედრო თეორეტიკოსის ლი გოუს (1009—1049) ცნობილ ტრაქტატში — „სახელმწიფოს გამდიდრება, არმიის გაძლიერება, ხალხის დამშვიდება“, რომელიც მან ოცდაათი წლის ასაკში შექმნა. ლი გოუს აზრით, სახელმწიფოს ძლიერი არმია ისევე აუცილებლად სჭირდება, როგორც ბრწყალები და ეშვები ვეფხვსა და ლეოპარდს. თუ ვეფხვს ბასრი ბრწყალები და ეშვები არა აქვს, ხორცს ვერ იშოვის. თუ არმია არ არის ძლიერი, მეფე უბრალო ხალხის მართვასა და დაწყნა-

<sup>6</sup> Needham. Science and civilisation in China vol. 2. Cambridge. 1956, p.p. 545-547.





რებას ვერ შეძლებს. იყენებს რა ჩინური ფილოსოფიისათვის ტრადიციულ ფორმულას მთავარისა და მეორეხარისხოვანის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, ლი გოუ ფიქრობს, რომ არმია ქვეყნის პოლიტიკური მართვა-გამგეობის ზოგად პრინციპებს. უნდა მიესადაგოს. არმია ქვეყნის პოლიტიკური წყობილების პროდუქტია. „ჰუმანიზმი და სამართლიანობა სამხედრო საქმის დეროა, ხოლო ძალა და სამხედრო ხერხი, ხრიკი მისი შტოებია. თუ მთავარსა და მეორეხარისხოვანს ერთმანეთს სათანადოდ შეეუხამებთ და გამოვიყენებთ, მაშინ ჩვენ მტრები არ გვეყოლება“-ო წერდა ლი გოუ.<sup>7</sup>

მაიზმმა ამ მოძღვრების ის მხარე, რომელიც ჰუმანიზმსა და სამართლიანობაზე ლაპარაკობს, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ დატოვა.

რაც შეეხება შან იანის მოძღვრებას იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნქციაა თავისი ტერიტორიის გაფართოება და, მწმასადამე, მეზობელ სახელმწიფოთა მიწების მიტაცება, ეს დებულება კარგად იქნა შეთვისებული მაისტიების მიერ. უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ჩინეთის ხელმძღვანელობამ მეზობელ სახელმწიფოთა მისამართით კოლოსალური მოცულობის ტერიტორიული პრეტენზიები განაცხადა. ნ. სერგეევის და ვ. მიდცევის გამოანგარიშებით. ეს ფართობი ოთხნახევარ მილიონ კვადრატულ კილომეტრს, ანუ თვით ჩინეთის ახლანდელი ტერიტორიის ნახევარს შეადგენს.

ახლა გავიხსენოთ ის გარემოებაც, რომ შან იანის მოძღვრების მიხედვით, ინდივიდს, „ჭანჭიკს“ სახელმწიფოში იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადც სახელმწიფო მანქანის ნორმალურ მუშაობას უწყობს ხელს.

შან იანმა ჩამოაყალიბა ე. წ. „ტილის“ თეორია. სახელმწიფოსა და ხელმწიფისათვის ტილია ყველა, ვინც ხელს არ უწყობს სახელმწიფო მანქანის ნორმალურ ფუნქციონირებას. ასეთი ტილებისაგან კვ სახელმწიფო უნდა გაიწმინდოს. შან იანის აზრით სახელმწიფოსთვის ტილი და მავნებელია, ვინც პოეზიას, ისტორიას ან მუსიკას სწავლობს და ესწრაფვის სათნოებას, კაცთმოყვარეობას, უანგარობას, მჭევრმეტყველებას ან გონებამახვილია და კრიტიკულად უყურებს ჰრსებულ წეს-წყობილებას.

შან იანის ტრაქტატის მეოთხე თავში მითითებულია, რომ, თუ სახელმწიფოს კეთილშობილური სათნოების მეთოდებით მართავენ, ქვეყნად დამნაშავეების რიცხვი მასობრივად გაიზრდება. მდიდარი სახელმწიფო მეფემ ისე უნდა მართოს, თითქოს იგი ღარიბი იყოს. ეს ხალხს ასუსტებს და სახელმწიფოს აძლიერებს.

შან იანის აზრით, ბრძენმა ხელმწიფემ უნდა იცოდეს, რა არის აუცილებელი სახელმწიფოსათვის და ხალხი ამ აუცილებლობას უნდა დაუმორჩილოს. შან იანი მეთოდურად ხაზს უსვამს თავისი პოლიტიკური მოძღვრების ანტიჰუმანიტურ ხასიათს. ხელმწიფე არ უნდა იყოს ჰუმანიტი. კაცთმოყვარე შეიძლება ღარჩეს კაცთმოყვარედ სხვა ადამიანის მიმართ, მაგრამ არ შეუძლია აიძულოს სხვები, რომ მის მიმართ იყვნენ კაცთმოყვარენი. ასევე კაცი სამართლიანი შეიძლება იყოს სხვების მიმართ, მაგრამ ის ამ სხვებს ვერ აიძულებს პირადად მის მიმართ იყვნენ სამართლიანი. კაცთმოყვარეობით და სამართლიანობით სახელმწიფოს იდეალურად ვერ მოვაწყობთ. აქ უფრო მთავარი იქნე-

<sup>7</sup> З. Г. Лапина. Традиционные политические доктрины Китая и военная мысль средневековья. Сб. Китай, М., 1977, стр. 63—64.









ლიტერატურა. ეს იქნებოდა, მისი აზრით, ეფექტიანი საშუალება ე. წ. „ტილებთან“, ე. ი. იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლისა. გარდა ამისა შან იანი მოითხოვდა, რომ ქვეყნის ეკონომიკის საქმეებში აქტიურად ჩარეულიყო სახელმწიფო და დაეწესებინა სახელმწიფო მონოპოლია პურის ვაჭრობაზე, მარილის და რკინის მოპოვებაზე, სურსათით და იარაღით ჯარის მომარაგებაზე. ეს ხელს შეუწყობსო სახელმწიფოს ძლიერებას.

თუ კონფუცი კერძო სკოლებს აარსებდა და პოლიტიკური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი განათლების მომხრე იყო, შან იანი ამ მხრივ უფრო რეაქციულ პოზიციებზე იდგა და უარყოფდა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი სკოლის მიზანშეწონილობას.

შან იანის მოძღვრების მიხედვით, რეფორმების გატარებამ ჩინეთის შვილი სამეფოდან ერთ-ერთს საშუალება მისცა დაეპყრო მეზობელი სამეფოები და ქვეყანა ერთი მეფის განუსაზღვრელი ძალაუფლების ქვეშ გაეერთიანებინა. ამ მხრივ ჩინეთის ისტორიაში ცნობილია იმპერატორი ცინ ში-ხუანდი (259—210 წლები ჩვენს ერამდე), რომელიც 48 წლის ასაკში გარდაიცვალა: მეფობდა 36 წლის მანძილზე, იყო მეტისმეტად სასტიკი, ცბიერი და მოხერხებული პოლიტიკოსი.

ეს ის ცინ ში-ხუანდია, რომელმაც 460 კონფუციის მიმდევარი განათლებული ჩინელი ცოცხლად დაამარხებინა.

1958 წელს მათ ძე-დუნმა საჯაროდ განაცხადა, მართვის პროცესში ერთ-მანეთს უნდა შეეახამოთო კარლ მარქსი და ცინ ში-ხუანდი.

ასეთმა გულახდილობამ „დიდი მესაჭის“ მხრივ გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია მაშინ მაოსტებში. დესპოტი იმპერატორის ცინ ში-ხუანდის აზრდილის განდიდებას, რა თქმა უნდა, არაფერი საერთო არა აქვს მარქსიზმთან და არც საერთოდ თანამედროვე პროგრესულ საზოგადოებრივ აზრთან.

ცინ ში-ხუანდი ცნობილი იყო იმითაც, რომ იზიარებდა შან იანის დებულებას იმის შესახებ, რომ ძლიერი სახელმწიფოს მიზანი იმია. თუ სახელმწიფო არ იმობს, ქვეყნის შიგნით მომრავლდებიან ე. წ. სოციალური „ტილები“ — ხალხის მტრები, რომელთა შხამიც მოწამლავს სახელმწიფოს მოსახლეობას. თუ სახელმწიფო იმობს, ის ჯანსაღდება, შხამისაგან თავისუფლდება, მტრები კი იშხამებიან.

მათ ძე-დუნს ცინ ში-ხუანდის პიროვნებაში იზიდავდა მისი ამოუწურავი დიქტატორული ბუნება, მხეტური სისასტიკე და პრინციპი — მიზანი ამართლებს საშუალებას.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობის მეორე სესიაზე მათ ძე-დუნმა შეაქო ჩინეთის პირველი იმპერატორი ცინ ში-ხუანდი და განაცხადა, რომ მან გადააჭარბა კიდევ ჩინეთის პირველ იმპერატორს: „მე ვამტკიცებ, რომ ჩვენ ცინ ში-ხუანდიზე ძლიერნი ვართ. მან 460 კაცი დაამარხა ცოცხლად; ჩვენ დავმარხეთ 46.000, ჰსკერ მეტი, ვიდრე ცინ ში-ხუანდიმ. მე როგორღაც ვეკამათებოდი ზოგიერთ დემოკრატ მოღვაწეებს. ისინი ჩვენ გვიწოდებენ ცინ ში-ხუანდებს, დესპოტებს. ჩვენ საერთოდ ვღებულობთ მათ ბრალდებას“.

მათ ძე-დუნმა 1971 წლის აგვისტოში წამოაყენა ლოზუნგი — „გამოვიყენოთ ძველი თანამედროვეობისათვის“. ამით მას სურდა ძველი ჩინეთის პოლიტიკური იდეოლოგიის გამოყენება საკუთარი ინტერესებისათვის.

ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობას, რა თქმა უნდა, მზრუნველი



მოპყრობა უნდა. რაც ფასეული და პროგრესულია წარსულის მემკვიდრეობაში, შეთვისებული უნდა იქნეს, მაგრამ მაოიზმისათვის დამახასიათებელია წარსულის მემკვიდრეობიდან მხოლოდ ანტიჰუმანურის და რეაქციულის მიღება. ძველი ჩინური სიბრძნე ამბობს: „ვინც იცნობს ძველს და შეიცნობს ახალს, იგი შეიძლება იყოს სხვების ხელმძღვანელი“-ო. მაოისტებმა თავიანთი ავანტიურისტულ-უტოპიური გეგმებით ქვეყნის შიგნით და ექსპანსიონისტურ-ჰეგემონისტური კურსით საგარეო ურთიერთობის სფეროში დაამტკიცეს, რომ ისინი არც წარსულს იცნობენ საფუძვლიანად, არც აწმყო აქვთ შეცნობილი.

როგორც მოსალოდნელი იყო, სამარცხვინოდ ჩაიშალა მაოისტების ავანტიურისტულ რომანტიკული „დიდი ნახტომის“ გეგმა, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ერთ ხუთწლედში სამრეწველო წარმოება ექვსნახევარჯერ უნდა გაზარდილიყო. ასევე დღე არ ეწერათ ექსპანსიონისტურ გეგმებსაც.

სანამ ჩინეთის ხელმძღვანელობა ანტიჰუმანისტური მიმართულების ძველი ჩინეთის პოლიტიკურ მოძღვრებებში ეძებს ხსნას, ცხადია, თავს ვერ გაართმევს თანამედროვეობის ამოცანებს.



...ბოლომდეცნენ  
...წილი

# ილია ჭავჭავაძის და „ივერიის“ ზოგადი მოსაზრება მაინა ზრდასწავლისა და წესრიგის შესახებ

დიდი ილია სიტყვით, თუ კალმით დაუნდობლად ებრძოდა მანვე, დასავლობა ადამიანებს — მექრთამეობას, ლოთობას, გაუმადრობას, უზნეობას... სამაგიეროდ დიდ პატივს სცემდა სასარგებლო ტრადიციებს — სტუმართმოყვარეობას, შრომისმოყვარეობას, ზომიერების დაცვას ყველაფერში, სხვა ერებთან დახლოებას და სხვ.

ილია ჭავჭავაძე გაუბრუნდა რელიგიური დღესასწაულებში მონაწილეობას და რამდენადაც შეეძლო, ცდილობდა მისთვის სახე შეეცვალა. მან რელიგიური დღე — ელიაობა სახელწოდების დღედ — ილიაობად გადაქცია და სრულიად ახალი, უფრო საინტერესო შინაარსი მინიჭა. ილიას სახელწოდების დღე — ილიაობა საგურამოში ტრადიციულ ზეიმად, ნამდვილ ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა. დროსტარების შემდეგ ილიასთან რჩებოდნენ ქართული კულტურის, განათლების, ლიტერატურის ცნობილი, მოღვაწეები და ბჭობდნენ ქვეყნის საქართველო სკოლებზე.

ი. ჭავჭავაძე ებრძოდა ხალხმრავალ ქვეყნებსა და ღრეობას. 1900 წელს № 94 „ივერიაში“ დაიბეჭდა წერილი გურიის სოფელ აკეთის გლეხების იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომ მოსპობილიყო ქვეყნები და მიცვალებულის პატრონს საღილი გაემართა მხოლოდ იმათთვის, ვინც სხვა სოფლებიდან იყო მოსული. აკეთელებს თავიანთი „განაჩენი“ რომ სისრულეში მოეყვანათ. გადაწყვეტილებაში აღნიშნეს, რომ „წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავე უნდა გადაიხადოს ჯარიმად ხუთი მანეთი“.

„ივერია“ ყურადღებას აქცევდა იმას, როცა მანვე ჩვეულების წინააღმდეგ ილაშქრებდა ცალკეული პიროვნება, როცა იმას ის არა მარტო სიტყვიერად აცხადებდა, არამედ ხალხს პირად მაგალითსაც უჩვენებდა.

1900 წლის № 155 „ივერიაში“ ვკითხულობთ: „ამ უკანასკნელ წლებში გურიის მკვლევართ კარგად შეივსნენ თუ რამდენად

მაზარელებელია მათთვის, განსაკუთრებით ნივთიერად, ძველთაგან გადმოცემული ჩვეულება — „ტირილი“ მიცვალებულის დასაფლავებაზე, სცდილობენ როგორმე გადაადონ და სამაგიეროდ, რაც ხარჯი „ტირილზე“ მოუვთ, ეს რაიმე საზოგადო, საკეთილო საქმეს მოახმარონ“.

ასკანელმა სოლომონ ჭეიშვილმა და მისმა ძმებმა გადაწყვიტეს თავიანთი მოსუცხეული დედა „უტირლად“ დაესაფლავებინათ. ასეც მოქცნენ. როგორც ჩანს ს. ჭეიშვილებს იმ დროის კვადობაზე კარგი შეძლება ჰქონიათ და დედის დასაფლავების შემდეგ თავიანთი ოჯახიდან მაშინვე ორასი მანეთი გაიდეს იმისათვის, რომ იგი „მომავალ ორკლასიან დედას სკოლას“ მოხმარებოდა.

„იმედია ამ კეთილს მაგალითის სხვებიც შეძლებინდავარად მიზნადავენ, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებასაც და მიცვალებულსაც უკვდავ ჰყოფს“ — წერდა ერთი ასკანელი „ივერიაში“.

„ივერიაში“ ფურცლებზე ვკითხულობთ, რომ 1907 წელს სოფ. სტეფანწმინდაში (ყაზბეგში) გამართულა „ხევის ყრილობა“, რომელმაც ხმა აღიმაღლა ქვეყნების წინააღმდეგ და ამის თაობაზე დადგენილება მიიდეს. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, თუ როგორ იბრძოდნენ ამ 70 წლის წინათ მშრომელი გლეხები დრომოქმული წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ.

დიდი ილია დაუნდობლად ებრძოდა მექრთამეობას, კარიერიზმს, მანუვლარობას, იმ მანვე თვისებებს, პატიოსან ადამიანს სიმშვილეს რომ ურდევდა და ხელს უშლიდა შრომაში. ილიას პირადი მაგალითი ამ მხრივაც მისაბაძი იყო. იგი სამსახურში თუ თავის პირად მეურნეობაში ხელქვეითების მიმართ გულისხმიერებას იჩენდა, მართლ და შრომისმოყვარე ადამიანს აფასებდა, ხოლო ცუდლუტებს, ქურდებსა და ცილისმწამებლებს არ აზოგინებდა თავისთან.

ი. ჭავჭავაძის ცხოვრება და პირადი საქ-





ციელი ბეგრ საგულისხმო რამეს ანიშნებდა თავის თანამედროვეებს, რასაც ახლაც არ დაუპარავს მნიშვნელობა. საგულისხმოა ცნობილი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან. თბილისიდან ილია მატარებლით უნდა გამგზავრებულიყო და მოლარეს ბილეთისათვის ფული გაუწოდა, ამ უკანასკნელმა მაშინვე უთხრა:

— რა ვქნა, ბატონო, ხურდა რომ არა მაქვსო.

— არა უშავს, დაველოდები, — მშვიდად უპასუხა ილიამ. იმ დროს მწერალი მის ერთ ნაცნობს შეუნიშნავს, მასთან მისულა, მოწიწებით მისაღმებია და უკითხავს, რისთვის გარჯიხნართ ბატონო ილიაო?

— მოლარეს ხურდა არ მქონდა, ვუცდი, გამოჩნდება ვინმე მგზავრი, ბილეთს შეიძენს და მოლარე ანგარიშს გამისწორებსო, — უპასუხა მწერალმა.

იმ კაცს თურმე ილიას საქციელი დიდად გაჰკვირვებია:

— თქვენი მატარებელი ჭუთ წუთში გადის და როგორ, ორი კაბიკის გულისთვის ბილეთს აუქმებთო?!

ილიამ მაშინვე უყოყმანოდ უპასუხა: გობს მატარებელს ჩამოვრჩე, ბილეთი გავაუქმო, ოღონდ ეს მოლარე არ გაწუწუდეს და სხვის ჭიბეში ხელის ფათურს არ მიეჩვიოსო.

ილია ჭავჭავაძე გლეხებს გულწრფელად ურჩევდა, რომ არ ელოთათ, ლოთობა მავნედ და დამღუპველად მიაჩნდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ილიაობის დღეს თუ ვინმე ზომავს მეტად დაღვედა სასიყლის, მაშინვე უნდა აზღვარიყო და შინ წასულიყო, რომ ილია არ გაენაწყენებინა და სხვებიც არ შეეწუხებინა.

— აი მე ყოველთვის ვსვამ, მაგრამ მთვრალი არასოდეს არა ვარ, რადგან ზომას არ ვაჭარბებო, — ეუბნებოდა ილია გლეხებს.

ყოველთვის, როცა ილია თავის მამულში სამუშაოდ გლეხს აიყვანდა, წინასწარ შედგენილ „პირობის წერილს“ გააცნობდა, რომლის მეშვიდე მუხლში აღნიშნული იყო: „თუ მოვამაგირეს ან ლოთობას შევატუბო, ან ხელმრუდობასა და ზარმაცობას, მე, ჭავჭავაძეს, ნება მაქვს, მაშინვე დავითხოვო და ნაშხაურების ჯამაგირზე ხელი ავადებინო“.

საინტერესოა არაშენდელი გლეხის მიხეილ ივანეს ძე მოძმანაშვილის მოგონება:

„...ილიას მეურნეობაში მე რამდენჯერმე მიმუშავია და მახსოვს ის ცხოვრებული როგორ უხვად უმასპინძლებოდა დაღაღულ გლეხებს. ღვინოს კი მხოლოდ ერთ ან ორ ჯამს დაგვა-

ღვინებდა, მეტს არა. გაბედული გლეხები ეუბნებოდნენ, კიდევ დავაღვლეინე, ასე ცოტაა რა არისო. ილია დიმილთი უპასუხებდა, რაც დალიეთ, ეგ სასარგებლოა, მეტი გაწყენო და თან დაუმატებდა: მე თქვენთვის ღვინო კი არ მშურს, მაგრამ მიწაა, რომ ჭანჭეტ იყოი და ხალხიც გქონდეთო“<sup>1</sup>.

თბილისელი ეკ. გვიმყრელის მეუღლე ალექსანდრე სათავადაზნაურო ბანაკში დიდხანს მუშაობდა ილია ჭავჭავაძესთან ერთად და თავისი შრომისმოყვარეობით ყველას პატივისცემას იმსახურებდა. ილია არაერთხელ უოფილა სტუმრად გვიმყრელის ოჯახში.

ერთ დღეს ილია სტუმრებია ალექსანდრეს. საუბრის დროს „ვეფხისტყაოსანი“ დასკირდა და დიასახლისს სთხოვა. ეკატერინემ სინანულით მოახსენა, ჩვენ ეგ წიგნი არა გვაქვსო. ილია მიუბრუნდა ალექსანდრეს და უსაყუდურა: სირცხვილი არ არის, საშა, რომ ასეთ კარგ ოჯახს „ვეფხისტყაოსანი“ არ გააჩნდესო. მასპინძელმა თავი ჩაღუნა, ხმა ვერ ამოიღო. ეკატერინემ კი გულანდილად მოახსენა: „დედაჩემს ვუვლით ოთხი ქალიშვილი და ერთი ვაჟი. ქალიშვილები ისე გაგვათხოვა, რომ თავისი ნაწილიც „ვეფხისტყაოსანი“ არც ერთს არ გავგატანა, ამბობდა, ერთს რომ მივცე, სხვები დამემღურებანო. ის ძვირფასი წიგნი სახლში დავიტოვა, ამას შინ პატარაძალს დავახვედრებ, თქვენთვის კი თქვენმა დედაშთილემმა იზურსონო. სამწუხაროდ, დედაშთის ეს პოემა ჩემთვის არ მოუცია და დავრჩი ასე „ვეფხისტყაოსნოდ“. მის ნათქვამზე ილიამ თავი გადააქნია და ჩვეული დინჯი ხმით განაცხადა: ყველა ქართველის ოჯახში აუცილებლად უნდა იყოს „ვეფხისტყაოსანი“, ყველამ უნდა იცოდეს მისი შინაარსი. თუ საქაროა, მკითხველი უნდა ტარიელობდეს, ავთანდილობდეს, ნეტანობდეს, თინათინობდეს“<sup>2</sup>...

ილიას მეორე დღესვე მსახურის ხელით გვიმყრელის ოჯახში გაუგზავნია ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც დასურათებული იყო გამოჩენილი უნგრელი მხატვრის მ. ზიჩის მიერ. ამ პოემას გვიმყრელის შემკვიდრები სათუთად ინახავენ, როგორც ძვირფას რელიქვიას.

ილია სიამოვნებით მონაწილეობდა ისეთ ტრადიციულ დღესასწაულებში, რომლებიც ხელს შეუწყობდა სხვადასხვა ერის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას. ერთ ასეთ დღესასწაულად ითვლებოდა „ისპანახობა“. ქარ-

1 მოგონება ინახება ი. ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმში.

2 ვაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1966 № 139.



იბიციანი იმედი

თველი და სომეხი ერების გამოჩენილი ადამიანები უოველი წლის მაისობას ვერის ბაღში მართავდნენ საგაზაფხულო სადღესასწაულო ნადიმს „ისპანახობას“. დღესასწაულის მონაწილენი იხურავდნან იმ დღისათვის სპეციალურად დამზადებულ გვირგვინის მსგავს მაღალ ქუდებს. ნადიმზე გულანდილად საუბრობდნენ ორი მოძვე ერის ძველ და ახალ ლიტერატურაზე, წარმოთქვამდნენ ძმობისა და მეგობრობის სადღეგრძელოებს და ბოლოს სამახსოვრო სურათებს გადაიღებდნენ ხოლმე.

საკაზაფხულო დღესასწაული „ისპანახობა“ ხელს უწყობდა მეზობელი ერების დაახლოებას, მათი შემოქმედებითი კავშირურთიერთობის განმტკიცებას, ამიტომ ილიაც ამ დღისათვის ჭეროვანად ემზადებოდა და სიამოვნებითაც მონაწილეობდა ამ დღესასწაულში.

ილია ჭავჭავაძის ბრძენკაცული პიროვნება კიდევ მეტი პატივისცემით იმოსება ახლა, როცა ჩვენს რესპუბლიკაში წარმოებს მტკიცე

ბრძოლა მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ, ადამიანთა შეგნებაში მავნე გადმონაშთების აღმოფხვრისა და ახლო წარსულში უესვგამდგარ დამახინჯებათა სალიკვიდაციოდ.

ერის დიდი მოჭირნახულე ილია ჭავჭავაძე მადლიერი თაობის ხსოვნაში სამარადისოდ დარჩა როგორც სულით უტეხი, სიმართლისა და კაცთმოყვარეობის ქეშმარიტი მქადაგებელი. მისი ოპტიმიზმითა და მაღალადამიანური ღირსებით შემკული ქმნილებანი გვინერგავენ სიამაყის გრძნობას, შთაგვაგონებენ დავიცვათ ისეთი ტრადიციები, რომლებიც სასარგებლო და სასახელოა და ერთხელ და სამუდამოდ დავგმოდ დრომოკმული და მავნე წესჩვევები.

ზ. მარკოზაშვილი,

ი. ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის უფროსი მეცნიერ მუშაკი



## კ ა ნ ო ნ ი

### საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

#### საქართველოს სსრ ტყის კოდექსის დამატების შესახებ

- საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:
1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ტყის კოდექსი და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1979 წლის 1 მაისიდან.
  2. დავალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს საქართველოს სსრ ტყის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესი და საქართველოს სსრ კანონმდებლობა შეუსაბამოს კოდექსს.
  3. დავალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებები შეუსაბამოს საქართველოს სსრ ტყის კოდექსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი**

თბილისი,  
1978 წლის 21 დეკემბერი

#### საქართველოს სსრ ტყის კოდექსი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად ტყე, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ბუნებრივი სიმდიდრენი, ნაციონალიზებულ იქნა და ხალხის კუთვნილება გახდა. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 27 (14) მაისის დეკრეტმა „ტყის შესახებ“ განსაზღვრა მთელი ხალხის ინტერესებისათვის ტყის გამოყენების მიზნით სატყეო მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები.

სსრ კავშირში, რომლის შემადგენლობაში სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ნებაყოფლობითი გაერთიანებისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე შედის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ტყის სახელმწიფო საკუთრება სატყეო ურთიერთობის, ესე იგი ტყეების გამოყენების, აღწარმოებისა და დაცვის დარგში საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველი და სატყეო მეურნეობის რაციონალური გაძლიერების მთავარი წინამძღვარია.

სსრ კავშირში ტყე დიდ როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებაში, გარემოს გაუმჯობესებაში, ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. იგი მერქანსა და ტყის სხვა პროდუქტებში ქვეყნის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების წყაროა, სასიკეთო გავლენას ახდენს ჰავაზე, ატმოსფეროზე, მდინარეებისა და წყლის სხვა ობიექტების ჰიდროლოგიურ რეჟიმზე, იცავს ნიადაგს ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან, აქვს სხვა სასარგებლო ბუნებრივი თვისებები. ტყეებს სულ უფრო მეტად იყენებენ გამაჯანსაღებელი მიზნებისათვის, მოსახლეობის კულტურული და ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეები და საკოლმეურნეო ტყეები უპირატესად წყალშემნახავ, დაცვის სანიტარიულ-ჰიგიენურ და გამაჯანსაღებელ ფუნქციებს ასრულებენ და აქვთ ვებუღდული საექსპლუატაციო მნიშვნელობა.

ტყის მრავალმხრივი მნიშვნელობა და მისი გაშენების ხანგრძლივობა ტყის სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენების, დაზოგვისა და გამრავლების საქმეს საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანის ხასიათს ანიჭებს.

საბჭოთა ტყის კანონმდებლობა აქტიურად უნდა უწყობდეს ხელს ტყეების მეცნიერულად დასაბუთებულ, კომპლექსურ გამოყენებას, მის გეგმაზომიერ აღწარმოებასა და ეფექტიან





დაცვას ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის, საბჭოთა ადამიანების აღზრდას ტყისადმი, როგორც ჩვენს სამშობლოს ბუნებრივ სიმდიდრეთა მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილისადმი, ყაირათიანი, მზრუნველი დამოკიდებულებისათვის მალაღობისა და პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

**კ ა რ ი I**

**ჯოგადი დებულებანი**

**თ ა ვ ი I**

**ძირითადი დებულებანი**

**მუხლი 1.** საქართველოს სსრ ტყის კანონმდებლობის ამოცანები. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტყის კანონმდებლობის ამოცანებია სატყეო ურთიერთობის რეგულირება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს ტყეების რაციონალური გამოყენება, მათი მოვლა-დაცვა, აღწარმოება და პროდუქტიულობის გადიდება მერქანსა და ტყის სხვა პროდუქტებზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ტყეების წყალშემნახავი, დაცვითი, ჰავის მარეგულირებელი, სანიტარიულ-ჰიგიენური, გამაჯანსაღებელი და სხვა სასარგებლო ბუნებრივი თვისებების გასაძლიერებლად, აგრეთვე საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა უფლებების დაცვა, კანონიერების განმტკიცება სატყეო ურთიერთობის დარგში.

**მუხლი 2.** სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ტყის კანონმდებლობა. საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სატყეო ურთიერთობის რეგულირებენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლები და მათ შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის ტყის კანონმდებლობის სხვა აქტები, ეს კოდექსი და საქართველოს სსრ ტყის კანონმდებლობის სხვა აქტები.

**მუხლი 3.** საადგილმამულო, საწყლო და სამთო ურთიერთობების რეგულირება. საადგილმამულო, საწყლო და სამთო ურთიერთობებს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში რეგულირებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ შესაბამისი კანონმდებლობა.

**მუხლი 4.** ტყის სახელმწიფო საკუთრება. სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ტყე სახელმწიფო საკუთრება — მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილებაა.

სსრ კავშირში ტყე მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაა და მხოლოდ სარგებლობისათვის გაიცემა. ყოველგვარი მოქმედება, რომელიც აშკარად თუ ფარულად არღვევს ტყის სახელმწიფო საკუთრების უფლებას, აკრძალულია.

**მუხლი 5.** ერთიანი სახელმწიფო ტყის ფონდი. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის ყველა ტყე ქმნის ერთიან სახელმწიფო ტყის ფონდს.

ერთიან სახელმწიფო ტყის ფონდში შედის:

- 1) სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეები, ანუ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანიზაციების გამგებლობაში შემავალი ტყეები, ქალაქის ტყეები, მიჩენილი ტყეები და ნაკრძალთა ტყეები;
- 2) საკოლმეურნეო ტყეები, ანუ კოლმეურნეობებისათვის უფადო სარგებლობაში გადაცემულ მიწებზე არსებული ტყეები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებად ითვლება ტყით დაფარული მიწები, აგრეთვე ტყით დაუფარავი, მაგრამ სატყეო მეურნეობის საჭიროებისათვის განკუთვნილი მიწები. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების საზღვრები, რომლებიც მათ სხვა კატეგორიის მიწებისაგან გამოიწვევენ, განისაზღვრება დადგენილ წესით.

**მუხლი 6.** ხე-ბუჩქნარა, რომელიც არ შედის სახელმწიფო ტყის ფონდში. სახელმწიფო ტყის ფონდში არ შედის:

ხეები და ხეთა ჯგუფები, აგრეთვე სხვა ხე-ბუჩქოვანი მცენარეულობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე;





დაცვითი ნარკავები რკინიგზების, საავტომობილო გზებისა და არხების განსხვავების ზღვრულ შემთხვევებში;

ხეები და ხეთა ჯგუფები, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების გამწვანების მიზნით გაშენებული ნარკავები ქალაქის ტყეებით დაუკავებელ მიწებზე;

ხეები და ხეთა ჯგუფები საკარმიდამო, სააგარაკო და პაუზების ნაკვეთებზე. აღნიშნული ნარკავების გაშენება, მოვლა და გამოყენება ხდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

**მუხლი 7. სსრ კავშირის კომპეტენცია სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში.** სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში სსრ კავშირის გამგებლობას ექვემდებარება:

- 1) ერთიანი სახელმწიფო ტყის ფონდის განკარგვა სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ფარგლებში;
- 2) ტყეებით სარგებლობის, ტყის აღწარმოების, პროდუქტიულობის გადიდების, მოვლა-დაცვის ძირითადი დებულებების დადგენა;
- 3) სსრ კავშირის ტყეაფის ფონდის ოდენობის, მისი განაწილებისა და ზეზეური ხის კაცობის წესის დადგენა;

4) ქვეყნის სატყეო მეურნეობის განვითარების, ტყის რესურსებისა და ტყის სასარგებლო ბუნებრივი თვისებების გამოყენების ძირითადი მიმართულებებისა და პერსპექტიული გეგმების დადგენა;

5) ტყეების რაციონალური გამოყენების, აღწარმოების, პროდუქტიულობის გადიდებისა და მოვლა-დაცვის დარგში სერტო-საკავშირო ღონისძიებათა დაგეგმვა;

6) შესაბამისი ჯგუფებისათვის ტყეების მიკუთვნებისა და ერთი ჯგუფიდან მეორეში მათი გადაყვანის წესის დადგენა;

7) სსრ კავშირისათვის ტყეთმოწყობის, ტყეების აღრიცხვის ერთიანი სისტემებისა და სახელმწიფო ტყის კადასტრის წარმოების წესის დადგენა;

8) ტყეების მდგომარეობის, გამოყენების აღწარმოებისა და მოვლა-დაცვისადმი სახელმწიფოს კონტროლი და მისი განხორციელების წესის დადგენა.

**მუხლი 8. საქართველოს სსრ კომპეტენცია სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში.** სსრ კავშირის კომპეტენციის ფარგლებს გარეთ სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში საქართველოს სს რესპუბლიკის გამგებლობას ექვემდებარება: ერთიანი სახელმწიფო ტყის ფონდის განკარგვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე; ტყეებით სარგებლობის, ტყის აღწარმოების, პროდუქტიულობის გადიდების, მოვლა-დაცვის წესის დადგენა; სატყეო მეურნეობის განვითარების, ტყის რესურსებისა და ტყის სასარგებლო ბუნებრივი თვისებების გამოყენების პერსპექტიული გეგმების დადგენა; ტყეების რაციონალური გამოყენების, აღწარმოების, პროდუქტიულობის გადიდების, მოვლა-დაცვის დარგში რესპუბლიკური ღონისძიებების დაგეგმვა; ტყეების მდგომარეობის გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, აგრეთვე სატყეო ურთიერთობის სხვა საკითხების რეგულირება, თუ ისინი სსრ კავშირის კომპეტენციას არ განეკუთვნება.

**მუხლი 9. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კომპეტენცია სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში.** სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კომპეტენციის ფარგლებს გარეთ სატყეო ურთიერთობის რეგულირების დარგში აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ გამგებლობას ექვემდებარება: ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთიანი სახელმწიფო ტყის ფონდის განკარგვა; მონაწილეობა სატყეო მეურნეობის განვითარების, ტყის რესურსებისა და ტყის სასარგებლო ბუნებრივი თვისებების გამოყენების დაგეგმვაში; ტყეების მდგომარეობის, გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, აგრეთვე სატყეო ურთიერთობის სხვა საკითხების რეგულირება სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

თ ა ვ ი II

**სახელმწიფო მმართველობა ტყეების გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის დარგში. ტყის მდგომარეობის, გაიყვანვის აღწარმოებისა და მოვლა-დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლი**

**მუხლი 10. სახელმწიფო მმართველობა ტყეების გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის დარგში.** სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძველზე





ლებს შესაბამისად ტყეების გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის დარგში სახელმწიფო მმართველობას საქართველოს სს რესპუბლიკაში ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები და სხვა სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები არიან საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები. ტყეების გამოყენების, აღწარმოების და მოვლა-დაცვის დარგში საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების სახელმწიფო მმართველობის კომპეტენციას განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების, სსრ კავშირის სხვა კანონმდებლობის, ამ კოდექსისა და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 11. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის დარგში.** ტყეების გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის დარგში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გამგებლობას ექვემდებარება: მონაწილეობა სატყეო მეურნეობის განვითარების, ტყის რესურსებისა და ტყის სასარგებლო ბუნებრივი რესურსების გამოყენების დაგეგმვაში, ტყეების მოვლა-დაცვასა და ტყის ხანძრებთან ბრძოლის ღონისძიებათა ჩატარების უზრუნველყოფა, აგრეთვე ტყეების გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის დარგში სხვა იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით მათ კომპეტენციას განეკუთვნება.

**მუხლი 12. ტყეების მდგომარეობის, გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის ამოცანები.** ტყეების მდგომარეობის, გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა უზრუნველყოს, რომ ყველა სამინისტრომ, უწყებამ, სახელმწიფო, კოოპერაციულმა, საზოგადოებრივმა საწარმომ, ორგანიზაციამ, დაწესებულებამ და მოქალაქემ დაიცვას ტყეების გამოყენების დადგენილი წესები. სატყეო მეურნეობის გაძლიერების, ტყეების აღწარმოების, აღრიცხვისა და დაცვის წესები, აგრეთვე ტყის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წესები და ნორმები.

**მუხლი 13. ორგანოება, რომლებიც ახორციელებენ ტყეების მდგომარეობის, გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლს.** ყველა ტყის მდგომარეობის, გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, აგრეთვე სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები და სხვა სპეციალურად სამისოდ უზღავდამოსილი სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თ ა ზ ი I I I

**საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოქალაქეთა მომხმარებელთა ტყეების რაციონალური გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში**

**მუხლი 14. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა ხელის შეწყობა ტყეების რაციონალური გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში.** პროფესიული კავშირები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ბუნების დაცვის საზოგადოება, სამეცნიერო საზოგადოებები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქეები ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებსა და კოლმეურნეობებს ტყეების რაციონალური გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში.

**მუხლი 15. ტყეების რაციონალური გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოქალაქეთა მონაწილეობის წესი.** საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ ტყეების რაციონალური გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის უზრუნველსაყოფ საქმიანობაში მათი წესდებების (დეპუტატების), სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მოქალაქეები სახელმწიფო ორგანოებსა და კოლმეურნეობებს ტყეების რაციონალური გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში ხელს უწყობენ იმით, რომ უშუალოდ მონაწილეობენ საქირა სამუშაოებში, შეაქეთ წინადადებანი ტყეების





გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის გაუმჯობესების ზესახებ, ატყობინებენ ტყეში კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების მათთვის ცნობილ დარღვევებს.

სახელმწიფო ორგანოები მოვალენი არიან ყოველმხრივ გაითვალისწინონ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა წინადადებანი ტყეების რაციონალური გამოყენების, აღწარმოებისა და მოვლა-დაცვის ღონისძიებეთა განხორციელებისას.

**მუხლი 16. საზოგადოებრივი სატყეო ინსპექციები.** ხანძრის, უკანონოდ გაჩეხის, ტყისარგებლობის დაღვნილი წესის დარღვევებისა და ტყისათვის ზიანის მიმუხეხელი სხვა მოქმედებისაგან ტყის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის ხელის შეწყობის მიზნით იმ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვებიან, იქმნება საზოგადოებრივი სატყეო ინსპექციები.

დებულება საზოგადოებრივი სატყეო ინსპექციების შესახებ მტკიცდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

**მუხლი 17. სასკოლო სატყეოები.** ბუნებისადმი სიყვარულისა და მზრუნველი დამოკიდებულების სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდის, ბიოლოგიასა და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში ცოდნის გაფართოებისა და გაღრმავების მიზნით იქმნება სასკოლო სატყეოები.

სასკოლო სატყეოები: ეხმარებიან საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვებიან, ტყეების დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში, მონაწილეობენ ტყის დარგვისა და ოესვაში, სარგავი მასალის გამოყენებაში, სამკურნალო წამლო ნედლეულის, სოფო, კენკრის, ხისა და ბუჩქოვანთა თესლის შეგროვებაში, საკვები ბალსის დამზადებაში, გარეული ნადირ-ფრინველთა დაცვასა და გამოკვებაში და ა. შ.

დებულება სასკოლო სატყეოთა შესახებ მტკიცდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

თ ა ვ ი IV

**სახელმწიფო მუხრნეობის გაძლოლის ძირითადი მოთხოვნები. სახელმწიფო ორგანოების სახელმწიფო ორგანოების უფლება-მოვალეობანი მუხრნეობის გამოყენებისა და დაცვის დარგში**

**მუხლი 18. სატყეო მეურნეობის გაძლოლის ძირითადი მოთხოვნები.** სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ სატყეო მეურნეობის დაგეგმვას, ორგანიზაციასა და გაძლოლას, ტყის რესურსების გამოყენებას, ტყეების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობისა და ბუნებრივი პირიბების გათვალისწინებით, მოვალენი არიან უზრუნველყონ:

ტყეების წყალშემნახავი, დაცვითი, ჰავის მარეგულირებელი, გამაჩანსაღებელი და სხვა სასარგებლო ბუნებრივი თვისებების გაძლიერება ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის, გარემობუნების გაუმჯობესებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების მიზნით;

ტყეებით უწყვეტი, არაგამანადგურებელი და რაციონალური სარგებლობა მეტქანსა და ტყის სხვა პროდუქციოზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა გეგმაზომიერი დაკმაყოფილებისათვის;

ტყეების გაუაროებული აღწარმოება, ჯიშობრივი შედგენილობისა და ხარისხის გაუმჯობესება, პროდუქტიულობის გაძლიერება;

ტყეების მოვრთხილება, ხანძრისაგან, მანეხელ-დაავადებათაგან დაცვა;

სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებისა და ტყით დაკავებული სხვა მიწების რაციონალურად გამოყენება;

სატყეო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების საფუძველზე;

ტყის მოვლა, აგრეთვე მისი დაცვა მანეხელ-დაავადებათაგან უნდა ხორციელდებოდეს ისეთი ხერხებითა და მეთოდებით, რომლებიც არას ვნებენ ადამიანსა და გარემო ბუნებას.

**მუხლი 19. სატყეო მეურნეობის გაძლოლის ღონისძიებათა დაგეგმვა.** სატყეო მეურნეობის გაძლოლის ღონისძიებანი გათვალისწინებულია ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში ხანგრძლივი პერსპექტივით და მათ ახორციელებენ შესაბამისი სამინისტროები, უწყებები და სატყეო-სამეურნეო საწარმოები.

საკოლმეურნეო ტყეებში სატყეო მეურნეობის გაძლოლის ღონისძიებანი გათვალისწინებულია კოლმეურნეობის, მეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობის (სატყეოების) სა-





წარმო-საფინანსო გეგმებში სატყეო მეურნეობის გაძლიერების პერსპექტიული გეგმების შესა-  
ბამისად.

**მუხლი 20. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების უფლება-მოვალეობანი მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში.** სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები და მათი საქმეუწყებო სატყეო-სამეურნეო საწარმოები ორგანიზაციას უწევენ მიწების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებას და უზრუნველყოფენ ამ საწარმოთა სარგებლობაში არსებული მიწების დაცვას, ვანსაზღვრავენ ფართობებს, სადაც უნდა განხორციელდეს სხვადასხვა სახეობის ტყით-სარგებლობა და შესრულდეს ტყის აღწარმოებისა და მოვლის ღონისძიებანი. ამ კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად გადასცემენ მიწის ნაკვეთებს ტყითსარგებლობისა და მასთან დაკავშირებული საჭიროებებისათვის, გამოყოფენ ნაკვეთებს ტყის სანერგეების, პლანტაციებისა და სხვათა მოსაწყობად, აგრეთვე მათ შეიძლება ჰქონდეთ სხვა უფლება-მოვალეობანი აღნიშნული მიწების გამოყენებისა და დაცვის დარგში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობანი ვრცელდება აგრეთვე სხვა საწარმოებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვებიან, და მათ ზემდგომ ორგანოებზე.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო სატყეო მეურნეობის ორგანოები კონტროლს უწევენ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების გამოყენებას მათი მიზნობრივი დანიშნულებით და ამ მიწების დაცვას სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**თ ა ვ ი**

**სახელო მეურნეობის გაძლიერება სახელმწიფო მნიშვნელობის მხედველი**

**მუხლი 21. საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი, რომლებსაც ეკისრებათ სატყეო მეურნეობის გაძლიერება სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში.** სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში სატყეო მეურნეობის გაძლიერება ეკისრებათ:

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოებს (ქალაქის ტყეების, მიჩენილი ტყეებისა და ნაყრდელთა ტყეების გარდა);

ქალაქის ტყეებში — სატყეო-სამეურნეო და სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს. ქალაქის ტყეებში სატყეო მეურნეობის გაძლიერება შეიძლება ხორციელდებოდეს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოებთან ერთად;

მიჩენილ ტყეებში — სატყეო-სამეურნეო და სამინისტროებისა და უწყებების სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, რომელთაც მიჩენილი აქვთ ეს ტყეები;

ნაყრდელთა ტყეებში — ნაყრდელთა.

**მუხლი 22. იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მოვალეობანი, რომლებიც უძღვებიან სატყეო მეურნეობას სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში.** საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვებიან სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში, ეკისრებათ ტყეების აღწარმოება, მოვლა-დაცვა და სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება, ტყეების პროდუქტიულობისა და ტყის ნიადაგის ნაყოფიერების გაძლიერება, ტყით-სარგებლობის ორგანიზაცია, ტყეების აღრიცხვა და სატყეო მეურნეობის გაძლიერების სხვა მოვალეობანი, რომლებსაც ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

**მუხლი 23. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების წესების, ინსტრუქციებისა და მითითებების სავალდებულოობა.** სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების წესები, ინსტრუქციები და მითითებები სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილ უფლებათა ფარგლებში სავალდებულოა სამინისტროებისათვის, უწყებებისათვის, საწარმო-ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, რომლებსაც აკისრიათ სატყეო მეურნეობის გაძლიერება, ტყითსარგებლობებისათვის, აგრეთვე საწარმო-ორგანიზაციებისათვის, დაწესებულებებისა და მოქალაქეთათვის, რომლებიც ტყეში და სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე ეწევიან სამუშაოებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული სატყეო მეურნეობის გაძლიერებასთან და ტყითსარგებლობის განხორციელებასთან.



**მუხლი 24.** იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მითითებათა სავალდებულოობა, რომლებიც უძღვებიან სატყეო მეურნეობას სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მითითებანი, რომლებიც სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილ უფლებათა ფარგლებში უძღვებიან სატყეო მეურნეობას სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში, სავალდებულოა ყველა ტყითოსარგებლისათვის, აგრეთვე საწარმო-ორგანიზაციებისათვის, დაწესებულებებისა და მოქალაქეებისათვის, რომლებიც ამ ტყეებში და სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ შესაბამის მიწებზე ეწევიან სამუშაოებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული სატყეო მეურნეობის გაძღვრვასთან და ტყითოსარგებლობის განხორციელებასთან.

**მუხლი 25.** იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ტყითოსარგებლობის განხორციელების უფლება, რომლებიც უძღვებიან სატყეო მეურნეობას სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში. საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვებიან სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში, შეუძლიათ დადგენილი წესით განახორციელონ ამ კოდექსის 43-ე მუხლით გათვალისწინებული ტყითოსარგებლობა.

### თ ა 3 0 V I

#### სატყეო მეურნეობის გაძღვრა საკოლმეურნეო ტყეებში

**მუხლი 26.** საკოლმეურნეო ტყეები. კოლმეურნეობებისათვის უვადო სარგებლობაში გადაცემულ მიწებზე არსებული ტყეები, რომლებიც დადგენილია წესით რეგისტრირებულია მიწის სააღრიცხვო დოკუმენტებში, საკოლმეურნეო ტყეებად ითვლება.

საკოლმეურნეო ტყეები კოლმეურნეობებს უვადო სარგებლობაში აქვთ.

**მუხლი 27.** საკოლმეურნეო ტყეებში სატყეო მეურნეობის გაძღვრის წესი. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძველების შესაბამისად სატყეო მეურნეობას საკოლმეურნეო ტყეებში უძღვებიან კოლმეურნეობები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული საკოლმეურნეო ტყეების დებულების მიხედვით. კოლმეურნეობებს შეუძლიათ სატყეო მეურნეობას გაუძღვნონ სხვა კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და საწარმო-ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან ერთად სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკოლმეურნეო ტყეებში სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისა და გაძღვრის ხელმძღვანელობენ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები.

**მუხლი 28.** საკოლმეურნეო ტყეებში სატყეო მეურნეობის გაძღვრის საქმეში სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების დახმარება კოლმეურნეობებისადმი. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები კოლმეურნეობებს ესმარებიან სატყეო მეურნეობის გაძღვრის დაგეგმვა-ორგანიზაციაში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — ორგანიზაციის უწყევნ იმას, რომ მათადმი დაქვემდებარებულმა საწარმოებმა კოლმეურნეობებთან (ორგანიზაციებთან, რომლებიც უძღვებიან სატყეო მეურნეობას საკოლმეურნეო ტყეებში) დადებული ხელშეკრულებებით შესასრულონ სატყეო-სამეურნეო, სატყეო-საკულტურო და ტყის დაცვის სამუშაოები.

### თ ა 3 0 V I I

#### ტყეების ჯგუფები

**მუხლი 29.** სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებისა და საკოლმეურნეო ტყეების ჯგუფებად დაყოფა. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძველების თანახმად, ტყეების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის, ადგილმდებარეობისა და შესასრულებელი ფუნქციების შესაბამისად შემოღებულია ტყეების ჯგუფებად დაყოფა. სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეები იყოფა პირველ, მეორე და მესამე ჯგუფებად, ხოლო საკოლმეურნეო ტყეები — პირველ და მეორე ჯგუფებად.

პირველ ჯგუფს განეკუთვნება ტყეები, რომლებიც უპირატესად ასრულებენ ისეთ ფუნქციებს, როგორც არის:





წყალშემნახავი (მდინარეების, ტბების, წყალსაცავებისა და წყლის სხვა ობიექტების ნაპირებზე აკრძალული ტყის ზოლები. მათ შორის აკრძალული ტყის ზოლები, რომლებიც ძვირფასი სარეწაო თევზის საქმიანობებს იცავენ);

დაცვითი (ეროზიასწინააღმდეგო ტყეები, მათ შორის ციცაბო მთის ფერდობებზე შეფენილი ტყის უბნები, სახელმწიფო დაცვითა ტყის ზოლები, დაცვითი ტყის ზოლები რკინიგზების, საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების გასწვრივ, განსაკუთრებით ძვირფასი ტყის მასივები);

სანიტარიულ-პიციენტური და გამაჯანსაღებელი (ქალაქის ტყეები, ქალაქების, სხვა დასახლებული პუნქტებისა და სამრეწველო საწარმოების გარშემო მდებარე მწვანე ზონების ტყეები, წყალმომარაგების წყაროებისა და კურორტების სანიტარიული დაცვის ზონების ტყეები, სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად წყალმომარაგების წყაროების სანიტარიული დაცვის ზონის ტყეებში, რომლებიც პირველჯერად უნდა განეკუთვნოს, ივლისსმება წყალმომარაგების წყაროების სანიტარიული დაცვის ზონების პირველი და მეორე სარტყლების ტყეები);

პირველ ჯგუფს განეკუთვნება აგრეთვე ნაკრძალების, ეროვნული და ბუნებრივი პარკების ტყეები, ნაკრძალი ტყის უბნები, მეცნიერული ან ისტორიული მნიშვნელობის ტყეები, ბუნებრივი ძეგლები, ტყეპარკები, კავლოვანთა სარეწაო ზონების ტყეები, ტყის ხეხლის ნარგავები და სუბალპური ტყეები.

მეორე ჯგუფს განეკუთვნება ტყეები, რომლებიც მჭიდროდ დასახლებულ და სატრანსპორტო გზების განვითარებული ქსელის რაიონებშია და რომელთაც დაცვითი და შეზღუდული საექსპლუატაციო მნიშვნელობა აქვთ, აგრეთვე ხე-ტყის ნედლეულის არასაკმარისი რესურსების მქონე ტყეები, რომელთა დაცვითი ფუნქციების, უწყვეტი და არაგამანადგურებელი სარგებლობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ტყისსარგებლობის უფრო მკაცრი რეჟიმი.

მეორე ჯგუფის ტყეებს განეკუთვნება აგრეთვე ყველა საკოლმეურნეო ტყე, რომლებიც პირველ ჯგუფში არ შედის.

მესამე ჯგუფს განეკუთვნება მრავალტყიანი რაიონების ტყეები, რომლებსაც უპირატესად საქსპლუატაციო მნიშვნელობა აქვთ და განეკუთვნილია იმისათვის, რომ განუწყვეტლევ კაყოფილიყოფდეს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებები მერქანზე ამ ტყეების დაცვითი თვისებებისათვის ზიანის მიუყენებლად.

მესამე ჯგუფის ტყეები აყოფა ათვისებულ და სარეზერვო ტყეებად.

სარეზერვო ითვლება ტყე, რომელსაც საქსპლუატაციოდ არ იყენებენ სატრანსპორტო გზებიდან ზიზორისა და სხვა მიზეზების გამო.

შესაბამისი ჯგუფებისათვის ტყეების მიკუთვნებასთან ერთად განისაზღვრება ყოველი ჯგუფის ტყეებით დაცვებული მიწის საზღვრები.

პირველი და მეორე ჯგუფების ტყეებში და ყველა ჯგუფის მთის ტყეებში შეიძლება გამოიყოს განსაკუთრებული დაცვითი უბნები, სადაც ტყისსარგებლობის შეზღუდული რეჟიმი.

**მუხლი 30.** ტყეების ჯგუფის მიხედვით მეურნეობის გაძღოლის, ტყეებისა და შესაბამისი მიწების გამოყენების წესის დადგენა. ტყეების ჯგუფის მიხედვით დადგენილია ამ ტყეებში მეურნეობის გაძღოლის, ტყეებისა და შესაბამისი მიწების გამოყენების, აგრეთვე ამ მიწების სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკირიფებისათვის გადასაცემად ჩამორთმევის წესი.

**მუხლი 31.** ამა თუ იმ ჯგუფისათვის ტყეების მიკუთვნების. მათი ერთი ჯგუფიდან მეორეში გადაყვანის, აკრძალული და დაცვითი ზონების სიგანის დადგენისა და განსაკუთრებული დაცვითი უბნებისათვის ტყის უბნების მიკუთვნების წესი. ამა თუ იმ ჯგუფებისათვის ტყეების მიკუთვნება, მათი ერთი ჯგუფიდან მეორეში გადაყვანა, აკრძალული და დაცვითი ზონების სიგანის დადგენა, ციცაბო მთის ფერდობებზე შეფენილი ტყის უბნების მიკუთვნება დაცვითი ტყეებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული დაცვითი ტყის უბნების გამოყოფა წარმოებს ტყეების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის, ადგილმდებარეობის, შესასრულებელი ფუნქციებისა და ეკონომიური დასახულების საფუძველზე, სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით. მსხვილი სახალხო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით ტყეების ერთი ჯგუფიდან მეორე ჯგუფში გადაყვანა ობიექტის მშენებლობის დაწყებამდე უნდა განხორციელდეს.

**მუხლი 32.** საქართველოს სსრ შინასტრთა საბჭოს კომპეტენცია შესაბამისი ჯგუფებისათვის ტყეების მიკუთვნებისა და მათი ერთი ჯგუფიდან მეორეში გადაყვანის საქმეში. სსრ კავშირის კანონმდებლობის მიხედვით შესაბამისი ჯგუფებისათვის ტყეების მიკუთვნებას და მათს გადაყ-





ვანას ერთი ჯგუფიდან მეორეში ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შიშის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

თ ა ვ ი I I

სახელო ფართობების გადაყვანა არასატყეო ფართობებზე

მუხლი 33. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების შემადგენლობა. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების შემადგენლობაში გამოიყოფა:

სატყეო ფართობები (ტყით დაფარული, აგრეთვე ტყით დაუფარავი — გაუტყევებელი ნაკვეთები, ნახანძრალეები, გამეჩხერებული კორომები, ყალბადები, ცარიელი ადგილები და ა. შ.). არასატყეო ფართობები (სასოფლო-სამეურნეო სავარგულეები, ვეები, განაკაფები და ა. შ.).

მუხლი 34. სატყეო ფართობების არასატყეო ფართობებად გადაყვანის წესი მათს გამოსაყენებლად იმ მიზნებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის სატყეო მეურნეობის გაძღოლასთან. სატყეო ფართობების გადაყვანა არასატყეო, ფართობებად მათს გამოსაყენებლად იმ მიზნებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის სატყეო მეურნეობის გაძღოლასთან და ტყითსარგებლობის განხორციელებასთან, წარმოებს:

პირველი ჯგუფის ტყეებში — გამოჩაკლის შემთხვევებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით;

მეორე და მესამე ჯგუფების ტყეებში — სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

იმ მიზნებისათვის გამოსაყენებლად, რომლებიც დაკავშირებული არ არის სატყეო მეურნეობის გაძღოლასთან და ტყითსარგებლობის განხორციელებასთან, სატყეო ფართობების არასატყეო ფართობებად გადაყვანის შესახებ შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის წესს ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 35. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ტყით დაკავებული მიწის ნაკვეთების ჩამორთმევისას ტყის გამოყენების წესი. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ტყით დაკავებული მიწის ნაკვეთების ჩამორთმევისას ჩამორთმევის გადაწყვეტილების მიმდებმა სახელმწიფო ორგანოებმა ამასთანავე უნდა გადაწყვიტონ ტყის შენარჩუნების თუ გაჩეხისა და ამ დროს მიღებული მერქნის გამოყენების წესის საკითხი. საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებსაც გადაეცათ მიწის ნაკვეთები ტყის გაჩეხის უფლების გარეშე, მოვალენი არიან უზრუნველყონ ამ ნაკვეთებზე ხე-ბუჩქნარის დაცვა და მოვლა.

თუ შემდგომში საჭირო გახდება ტყის გაჩეხა, ტყის გაჩეხისა და ამ დროს მიღებული მერქმის გამოყენების წესის საკითხს გადაწყვეტს სახელმწიფო ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის თაობაზე.

თ ა ვ ი I X

მიწების გაყოფილება სახელო მეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული საწარმოო ობიექტების მშენებლობისათვის

მუხლი 36. სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში სატყეო მეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული საწარმოო ობიექტების მშენებლობა. საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც სატყეო მეურნეობის უძღვებიან სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში, შეუძლიათ დადგენილი წესით აშენონ ტყეებში და სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე სატყეო მეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული საწარმოო ობიექტები და საჭიროების შემთხვევაში (იმ ორგანოების ნებართვით, რომლებსაც ექვემდებარებიან ეს საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებანი) გადაიყენონ სატყეო ფართობები არასატყეო ფართობებად.

მუხლი 37. საკომმუნალური ტყეებში სატყეო მეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული საწარმოო ობიექტების მშენებლობა. კომმუნალურებს, რომლებსაც სარგებლობაში აქვთ ტყეები, შეუძლიათ მათთვის უვადო სარგებლობაში გადაცემულ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე სახალხო დებუტატთა რაიონული ან საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ნებართვით აშენონ სატყეო მეურნეობის გაძღოლასთან დაკავშირებული საწარმოო ობიექტები.





თ ა ვ ი X

იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგება, დაპროექტება, მშენებლობა და სამკსალუბათციოდ გადაცემა, რომლებიც გავლენას ახდენენ ტყეების მდგომარეობასა და აღწარმოებაზე

მუხლი 38. იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობისა და სამკსალუბათციოდ გადაცემის პირობები, რომლებიც გავლენას ახდენენ ტყეების მდგომარეობასა და აღწარმოებაზე. ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობისა და სამკსალუბათციოდ გადაცემისას, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისას, რომლებიც გავლენას ახდენენ ტყეების მდგომარეობასა და აღწარმოებაზე, გათვალისწინებულ და განხორციელებულ უნდა იქნეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ტყეების დაცვას ჩამდინარე წყლების, ქიმიური ნივთიერებების, სამრეწველო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ნაგვის, ამონაფრქვევისა და ნარჩენების მავნე ზემოქმედებისაგან.

მუხლი 39. იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის ადგილებისა და პროექტების შეთანხმება, რომლებიც გავლენას ახდენენ ტყეების მდგომარეობასა და აღწარმოებაზე. იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის ადგილების განსაზღვრა, რომლებიც გავლენას ახდენენ ტყის მდგომარეობასა და აღწარმოებაზე, უნდა შეუთანხმდეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებსა და სხვა ორგანოებს, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის პროექტები უნდა შეუთანხმდეს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებსა და სხვა ორგანოებს სსრ კავშირის კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესით.

მუხლი 40. იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების სამკსალუბათციოდ გადაცემის პირობები, რომლებიც მავნე გავლენას ახდენენ ტყეების მდგომარეობა და აღწარმოებაზე აკრძალულია ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოების, საამქროების, ავრგაბების, სატრანსპორტო გზების, კომუნალური და სხვა ობიექტების სამკსალუბათციოდ გადაცემა, თუ ისინი არ არის აღჭურვილი მოწყობილობით, რომელიც უზრუნველყოფს ტყის მდგომარეობას და აღწარმოებაზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებას.

თ ა ვ ი X I

აქვეყნებენ იმ სამუშაოთა წარმოების წესი, რომლებიც დაკავშირებული არ არის სატყეო მეურნეობის გაძღვლასთან და ტყითსარგებლობის განხორციელებასთან

მუხლი 41. ტყეებში იმ სამუშაოთა წარმოების წესი, რომლებიც დაკავშირებული არ არის სატყეო მეურნეობის გაძღვლასთან და ტყითსარგებლობის განხორციელებასთან. ტყეებში, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით, დაუფარავ მიწებზე სამშენებლო და ასაფეთქებელი სამუშაოები, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, კაბელების, მილსადენებისა და სხვა კომუნიკაციების გაყვანა, საბურღი და სხვა სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებული არ არის სატყეო მეურნეობის გაძღვლასთან და ტყითსარგებლობის განხორციელებასთან, წარმოებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებთან და სხვა ორგანოებთან შეთანხმებით სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

აღნიშნული სამუშაოები უნდა ხორციელდებოდეს ისეთი ხერხებით, რომლებიც არ გამოიწვევს ტყეების ხანძარსაფინანსდებულ და სანიტარიული მდგომარეობისა და მათი აღწარმოების პირობების გაუარესებას.

კ ა რ ი I I

თ ა ვ ი X I I

ტყითსარგებლური, ტყითსარგებლობის სახეობანი და ვადები

მუხლი 42. ტყითსარგებლური, საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ტყითსარგებლური შეიძლება იყვნენ სახელმწიფო, კოოპერატიული და სოციალიზირებული საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებანი, აგრეთვე სსრ კავშირის მოქალაქენი.





სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ტყითმოსარგებლენი შეიძლება იყვნენ აგრეთვე სხვა ორგანიზაციები და პირები.

**მუხლი 43.** ტყითსარგებლობის სახეობანი. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ტყეებში, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პირობების დაცვის პირობით, შეიძლება განხორციელდეს ტყითსარგებლობის შემდეგი სახეობანი:

1) მერქნის დამზადება;

2) ფისის დამზადება;

3) მეორეხარისხოვანი ტყის მასალის (ჭირკის, ლაფნის, ქერქისა და სხვათა) დამზადება;

4) არაპირდაპირი ტყითსარგებლობა — თიბვა, პირუტყვის ძოვება, სევისა და საფუტკრეების მოწყობა, ხის წვენების დამზადება, ველური ხილის, კაკლოვანთა, სოკოს, კენკრის, სამკურნალო მცენარეებისა და ტექნიკური ნედლეულის დამზადება და შეგროვება. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების შემადგენლობაში შემავალ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე თიბვა და პირუტყვის ძოვება ხორციელდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მიწის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, სატყეო მეურნეობის ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს არაპირდაპირი ტყითსარგებლობის სხვა სახეობანიც;

5) ტყითსარგებლობა სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის;

6) ტყითსარგებლობა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებისათვის;

7) ტყითსარგებლობა სამონადირეო მეურნეობის საქაროებებისათვის.

**მუხლი 44.** ტყითსარგებლობის ვადება. ტყითსარგებლობის ვადებს აწესებს:

მერქნისა და ფისის დამზადებისათვის — სსრ კავშირის კანონმდებლობა;

ტყითსარგებლობის სხვა დონისძიებათა განხორციელებისათვის — სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

## თ ა ვ ი X I I I

### ტყითსარგებლობის განხორციელების უფლებაზე მინიჭების წესი

**მუხლი 45.** ტყითმოსარგებლეთათვის ნაკვეთების მიცემა ტყითსარგებლობის განხორციელებლად. საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებანი, რომლებიც უძღვებიან სატყეო მეურნეობას, ტყითმოსარგებლეს დადგენილ წესით აძლევენ ნატურით უბნებს მერქნის, ფისისა და მეორეხარისხოვანი ტყის მასალის დამზადებისათვის, თიბვისათვის, პირუტყვის ძოვებისა და სხვა სახეობათა ტყითსარგებლობისათვის.

**მუხლი 46.** ტყითსარგებლობის განხორციელების უფლების დამატარებელი დოკუმენტები. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ტყითსარგებლობა (ამ კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ტყითსარგებლობის გარდა) დაიშვება მხოლოდ სპეციალური ნებართვით — ტყესაჭრელი ბარათით (ორდერით) ან ტყის ბარათით, რომელთა ფორმა მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილ წესით. ტყესაჭრელი ბარათი (ორდერი) ან ტყის ბარათი იძლევა ტყითსარგებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლებას. ტყითმოსარგებლეს უფლება აქვთ შესაბამისი ფართობები გამოიყენონ მხოლოდ ისეთ სახეობათა ტყითსარგებლობისათვის, რომელთა შესრულებასზე მიეცათ ტყესაჭრელი ბარათი (ორდერი) ან ტყის ბარათი.

ტყესაჭრელ ბარათს (ორდერს) ან ტყის ბარათს გასცემენ საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები; რომლებიც უძღვებიან სატყეო მეურნეობას.

**მუხლი 47.** იმ საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ ტყითსარგებლობის განხორციელება, რომლებიც უძღვებიან სატყეო მეურნეობას. საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც უძღვებიან სატყეო მეურნეობას, ტყითსარგებლობის განხორციელებისას მოვალენი არიან საერთო საფუძველზე გააფორმონ ტყითსარგებლობის უფლება.

**მუხლი 48.** ტყეებში ტურისტული ბანაკების, დასასვენებელი ბაზებისა და სხვა მსგავსი ობიექტების განლაგების ნებართვის მიცემის წესი. ტყეებში და სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე ტურისტული ბანაკების, დასასვენებელი ბაზებისა და სხვა მსგავსი ობიექტების განლაგების, ამასთან არაკაპიტალური ტიპის ნაგებობების აგების ნებართვის მიცემის წესს ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.





სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ტყითმოსარგებლობის შექმნა იძლევა იყენენ აგრეთვე სხვა ორგანიზაციები და პირები.

**მუხლი 43. ტყითსარგებლობის სახეობანი.** სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ტყეებში, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებისა და პირობების დაცვის პირობით, შეიძლება განხორციელდეს ტყითსარგებლობის შემდეგი სახეობანი:

- 1) მერქნის დამზადება;
- 2) ფისის დამზადება;
- 3) მეორეხარისხოვანი ტყის მასალის (ჯირკის, ლაფნის, ქერქისა და სხვათა) დამზადება;
- 4) არაპირდაპირი ტყითსარგებლობა — თიბვა, პირტუყვის ძოვება, სკებისა და საფურტურების მოწყობა, ხის წვენების დამზადება, ველური ხილის, კაკლოვანთა, სოკოს, კენკრის, სამკურნალწამლო მცენარეებისა და ტექნიკური ნედლეულის დამზადება და შეგროვება. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების შემადგენლობაში შემავალ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე თიბვა და პირტუყვის ძოვება ხორციელდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მიწის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, სატყეო მეურნეობის ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს არაპირდაპირი ტყითსარგებლობის სხვა სახეობანიც;
- 5) ტყითსარგებლობა სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის;
- 6) ტყითსარგებლობა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებისათვის;
- 7) ტყითსარგებლობა სამონადირეო მეურნეობის საქაროვებისათვის.

**მუხლი 44. ტყითსარგებლობის ვადება.** ტყითსარგებლობის ვადებს აწესებს: მერქნისა და ფისის დამზადებისათვის — სსრ კავშირის კანონმდებლობა; ტყითსარგებლობის სხვა ღონისძიებათა განხორციელებისათვის — სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

თ ა ვ ი X I I I

ტყითსარგებლობის განხორციელების უფლების მინიშნების წესი

**მუხლი 45. ტყითმოსარგებლეთათვის ნაკვეთების მიცემა ტყითსარგებლობის განხორციელებლად.** საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებანი, რომლებიც უძღვებიან სატყეო მეურნეობას, ტყითმოსარგებლებს დადგენილი წესით აძლევენ ნატურით უზენეს მერქნის, ფისისა და მეორეხარისხოვანი ტყის მასალის დამზადებისათვის, თიბვისათვის, პირტუყვის ძოვებისა და სხვა საქმეობათა ტყითსარგებლობისათვის.

**მუხლი 46. ტყითსარგებლობის განხორციელების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები.** სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ტყითსარგებლობა (ან კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ტყითსარგებლობის გარდა) დაიშვება მხოლოდ სპეციალური ნებართვით — ტყესაჭრელი ბარათით (ორდერით) ან ტყის ბარათით, რომელთა ფორმა მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით. ტყესაჭრელი ბარათი (ორდერი) ან ტყის ბარათი იძლევა ტყითსარგებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლებას. ტყითმოსარგებლებს უფლება აქვთ შესაბამისი ფართობები გამოიყენონ მხოლოდ ისეთ სახეობათა ტყითსარგებლობისათვის, რომელთა შესრულებაზე მიეცათ ტყესაჭრელი ბარათი (ორდერი) ან ტყის ბარათი.

ტყესაჭრელ ბარათს (ორდერს) ან ტყის ბარათს გასცემენ საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები; რომლებიც უძღვებიან სატყეო მეურნეობას.

**მუხლი 47. იმ საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ ტყითსარგებლობის განხორციელება, რომლებიც უძღვებიან სატყეო მეურნეობას.** საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც უძღვებიან სატყეო მეურნეობას, ტყითსარგებლობის განხორციელებისას მოვალენი არიან საერთო საფუძველზე გააფორმონ ტყითსარგებლობის უფლება.

**მუხლი 48. ტყეებში ტურისტული ბანაკების, დასასვენებელი ბაზებისა და სხვა მსგავსი ობიექტების განლაგების ნებართვის მიცემის წესი.** ტყეებში და სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე ტურისტული ბანაკების, დასასვენებელი ბაზებისა და სხვა მსგავსი ობიექტების განლაგების, ამასთან არაკანონმდებლობით ტიპის ნაკვეთების აგების ნებართვის მიცემის წესს ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.



**მუხლი 49.** სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის ტყითსარგებლობის უფლების მინიჭების წესი. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის ტყითსარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

**მუხლი 50.** სამონადირეო მეურნეობის საქირებებისათვის ტყითსარგებლობის უფლების მინიჭების წესი. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სამონადირეო მეურნეობის საქირებებისათვის ტყითსარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

თ ა შ ი X I V

მერქნის დამზადების წესი

**მუხლი 51.** ტყის ჭრის წესები მერქნის დამზადების დროს. ტყეებში მერქნის დამზადება ხდება მთავარი სარგებლობის ჭრის (ერქოდ, ტყის აღდგენითი ჭრის) წესით, რაც მწიფე კორთ-გებში წარმოებს.

მერქანი მზადდება აგრეთვე შუალედური სარგებლობის ჭრის (ტყის მოვლითი ჭრა, სანიტარული და ისეთი ჭრა, რაც დაკავშირებულია მცირე ღირებულების ტყის კორთების რეკონსტრუქციასთან) და სხვაგვარი ჭრის დროს (სატყეო ფართობების გაწმენდა ჰიდროკვანძების, მილსადენების, გზების მშენებლობასთან დაკავშირებით, აგრეთვე განაკადების, ხანძარსაწინააღმდეგო განაკადების შექმნის დროს და ა. შ.) მერქნის დამზადება შუალედური სარგებლობის ჭრისა და სხვაგვარი ჭრის დროს ხორციელდება ყველა ჯგუფის ტყეებში.

**მუხლი 52.** ჯგუფების მიხედვით ტყის ჭრის წესები და ხანობანი. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად მესამე ჯგუფის ტყეებში მთავარი სარგებლობის ჭრა ხდება წესებით, რომელთა მიზანია ტყეების ეფექტიანი ექსპლუატაცია, და რომელიც ხელს უწყობენ მათ აღდგენას ძვირფასი სამეურნეო მნიშვნელობის ხის ჯიშებით.

მეორე ჯგუფის ტყეებში მთავარი სარგებლობის ჭრა ხდება წესებით, რომელთა მიზანია ტყეების აღდგენა ძვირფასი სამეურნეო მნიშვნელობის ხის ჯიშებით, ტყეების დაცვით და წყალშემნახავი თვისებების შენარჩუნება, და რომელიც ამასთან მათი ეფექტიანი ექსპლუატაციის საშუალებას იძლევიან.

პირველი ჯგუფის ტყეებში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით, ტყის აღდგენითი ჭრა ხდება იმ წესებით, რომელთა მიზანია ტყის გარემოს, კორთების მდგომარეობის, ტყის წყალშემნახავი, დაცვითი და სხვა თვისებების გაუმჯობესება და მწიფე მერქნის დროული და რაციონალური გამოყენება.

ნაკრძალების, ეროვნული და ბუნებრივი პარკების ტყეებში, ნაკრძალ ტყის უბნებში, მეცნიერული ან ისტორიული მნიშვნელობის ტყეებში, ბუნებრივ ძეგლებში, ტყეპარკებში, კაკლოვანთა სარეწაო ზონების ტყეებში, ტყის ხეხილის ნარგავებში, ქალაქის ტყეებში, მწვანე ზონების ტყეპარკის ნაწილებში, წყალმომარაგების წყაროებისა და კურორტების სანიტარიული დაცვის ზონების ტყეებში, სახელმწიფო ტყის ზოლებში, ეროზიასაწინააღმდეგო ტყეებსა და განსაკუთრებით ძვირფას ტყის მასივებში დიშვება მხოლოდ ტყის მოვლითი ჭრა და სანიტარიული ჭრა. სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად ეს წესი ვრცელდება წყალმომარაგების წყაროების სანიტარიული დაცვის ზონების ტყეების მიმართ — მხოლოდ პირველი და მეორე სარტყელების ტყეებზე, ხოლო კურორტების სანიტარიული დაცვის ზონების ტყეების მიმართ — ამ კურორტების პირველი და მეორე ზონების ტყეებზე.

ტყეების აკრძალულ ზოლებში, რომლებიც ძვირფასი სარეწაო თევზის საქვირითეებს იცავს, ხდება ტყის მოვლითი ჭრა და სანიტარიული ჭრა, აგრეთვე დიშვება ტყის აღდგენის შერჩევითი ჭრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მთის ტყეებში გამოიყენება ჭრის წესები, რომლებიც ითვალისწინებენ ამ ტყეების განსაკუთრებულ დაცვას, ეროზიასაწინააღმდეგო და წყალმარეგულირებელ მნიშვნელობას.

ტყის განსაკუთრებულ დაცვას უზენაესი უნებლება მოლიანად ან ნაწილობრივ აკრძალვის პირწმინდა ტყესაკადი ჭრა, ხოლო საჭირო შემთხვევებში — აგრეთვე მთავარი სარგებლობის ჭრის სხვა წესების გამოყენება.

**მუხლი 53.** მერქნის დამზადებისა და ტყის ჭრის წესების აღდგენა. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად მერქნის დამზადე-





ბის წესი განისაზღვრება სსრ კავშირის ტყეებში ზეზეური ხის გაცემის წესებით, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

ტყის ჭრის წესები მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

თ ა ვ ი X V

მთავრის დამზადების ოდენობის განსაზღვრა

**მუხლი 54. მთავარი სარგებლობის ჭრის წესით მერქნის დამზადების ოდენობის განსაზღვრა.** მთავარი სარგებლობის ჭრის წესით მერქნის დამზადება იგეგმება და ეწყობა მერქანზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გათვალისწინებით, საინგარიშო ტყეკაფის ფარგლებში.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლებს შესაბამისად მთავარი სარგებლობის ჭრა ისეთი ოდენობით, რომელიც საინგარიშო ტყეკაფს აღმატება, საჭირო შემთხვევებში დასაშვებია მესამე და მეორე ჯგუფის ტყეებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

**მუხლი 55. შუალედური სარგებლობის ჭრის და სხვაგვარი ჭრის წესით მერქნის დამზადების ოდენობის განსაზღვრა.** შუალედური სარგებლობის ჭრის დროს მერქნის დამზადების ოდენობა განისაზღვრება იმ საფუძველზე, რომ გაუმჯობესდეს ტყეების ჯიშობრივი შედგენილობა და ხარისხი, ხოლო სხვაგვარი ჭრის დროს მერქნის დამზადების ოდენობას განსაზღვრავს სატყეო ფართობების ვაჭმენდის, განაკაფების შექმნის და სხვა სამუშაოთა მოცულობა.

თ ა ვ ი X V I

ტყეკაფის ფონდი

**მუხლი 56. ტყეკაფის ფონდი.** ტყეკაფის ფონდს ქმნის მერქნის დასამზადებლად განკუთხეული მწიფე კორომების მარაგი.

ყოველწლიურად გამოსაყოფი ტყეკაფის ფონდის ოდენობა განისაზღვრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში ცალ-ცალკე ტყეების ჯგუფების მიხედვით.

**მუხლი 57. ტყითმოსარგებლეთათვის ტყეკაფის ფონდის გადაცემა.** ტყითმოსარგებლებს (ტყის დამამზადებლებს) ტყეკაფის ფონდს ნატურით გადასცემენ (ტყეკაფს გამოუყოფენ) საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც სატყეო მეურნეობის უძღვებიან.

ტყითმოსარგებლეთათვის ტყეკაფის ფონდის გადაცემის წესი განისაზღვრება სსრ კავშირის ტყეებში ზეზეური ხის გაცემის წესებით.

თ ა ვ ი X V I I

ხე-ტყის დამამზადებელი საწარმოებისათვის ზემოთხი ხის მარაგის მიჩენა

**მუხლი 58. ხე-ტყის ნედლეულის ბაზები და ხანგრძლივი სარგებლობის ტყეკაფის ფონდი.** სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლებს შესაბამისად ტყეების გეგმაზომიერი და ხანგრძლივი სამრეწველო ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად ხე-ტყის დამამზადებელ საწარმოებს მესამე და მეორე ჯგუფების ტყეებში მიჩენილი აქვთ ეკონომიკურად დასაბუთებული ვადით ზეზეური ხის მარაგი გარკვეულ ფართობზე (ხე-ტყის ნედლეულის ბაზები), აგრეთვე ხანგრძლივი სარგებლობის ტყეკაფის ფონდი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში ზეზეური ხის მარაგი ხანგრძლივი სარგებლობის ტყეკაფის ფონდის სახით ხე-ტყის დამამზადებელ საწარმოებს გადაეცემა აგრეთვე პირველი ჯგუფის ტყეებში (ნაკრძალების ტყეების, ეროვნული და ბუნებრივი პარკების, მეცნიერული ან ისტორიული მნიშვნელობის ნაკრძალი ტყეების უბნების, ბუნებრივი ძეგლების, ტყეპარკების, კაკლოვანთა სარეწაო ზონების ტყეების, ტყის ხეხილის ნარგავების, ქალაქის ტყეების, მწვანე ზონების ტყეპარკის ნაწილების, წყალმომარაგების წყაროების და კურორტების სანიტარიული დაცვის ზონების ტყეების, სახელმწიფო ტყის ზოლების, ეროვნულ-წინააღმდეგო ტყეების, განსაკუთრებით ძვირფასი ტყის მასივებისა და ტყეების იმ აკრძალული ზოლების გარდა, რომლებიც იცავენ ძვირფასი სარეწაო თევზის საქვირთვებს).





**მუხლი 59. ზეზეური ხის მარაგის მიჩენისა და ათვისების წესი.** ხე-ტყის ნედლეულის ბაზები და ხანგრძლივი სარგებლობის ტყეკაფის ფონდი უწინარეს ყოვლისა გადაეცემათ ხე-ტყის მრეწველობის ხე-ტყის დამამზადებელ საწარმოებს.

ზეზეური ხის მარაგის მიჩენისა და ათვისების წესი განისაზღვრება ტყეების ჯგუფების მიხედვით.

ხე-ტყის დამამზადებელი საწარმოებისათვის ზეზეური ხის მარაგის მიჩენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მერქანზე ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ხე-ტყის დამამზადებელი საწარმოები მათთვის მიჩენილ ხე-ტყის ნედლეულის ბაზებსა და ხანგრძლივი სარგებლობის ტყეკაფის ფონდში მერქნის დამზადებას ეწევიან ამ კოდექსის 45-47-ე და 51-57-ე მუხლების შესაბამისად.

ხე-ტყის ნედლეულის ბაზებისა და ხანგრძლივი სარგებლობის ტყეკაფის ფონდის მიჩენა, გადანიშნობა და ჩამორთმევა ხდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

### თ ა ვ ი X V I I I

#### ზეზეური ხის ბაცემა

**მუხლი 60. ზეზეურად გაცემული ხის საფასურის ანაზღაურება.** ტყეებში ზეზეური ხე გაიცემა დადგენილი ნიხრით გათვალისწინებულ ფასად. საკოლმეურნეო ტყეებში კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის საქაროებისათვის ზეზეური ხე უფასოდ გაიცემა.

საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვევიან, თავისუფლდებიან იმ მერქნის საფასურის გადახდისაგან, რომელსაც ტყის მოვლის, სანიტარული და სხვა სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა განხორციელებისას იღებენ.

**მუხლი 61. ზეზეურად გაცემული ხის საფასურის გადახდის წესი.** ზეზეურად გაცემული ხის საფასურის გადახდის, ნიხრის დადგენის, ცალკეულ შემთხვევებში ზეზეური ხის საფასურის გადახდისაგან სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმო-ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოქალაქეების ნაწილობრივი ან სრული განთავისუფლების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

### თ ა ვ ი X I X

#### ფისის დამზადების წესი

**მუხლი 62. ფისის დამზადების წესი.** სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლებს შესაბამისად ტყეებში ფისის დამზადება შეუძლიათ მხოლოდ სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს. ფისის დამზადებისათვის საფასურის გადახდის წესს ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

აგრძალულია მოთავარი სარგებლობის ჭრა გამოფისვის ვადების გადასვლამდე იმ წიწვოვან კორომებში, რომლებიც დადგენილი წესით განუთვნილია ფისის დასამზადებლად. აღნიშნული კორომების ჭრა მათ გამოფისვამდე, აგრეთვე კორომებში გამოფისვის ვადამდე შეწყვეტა, გამოწვევისა და დასაშვებია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

### თ ა ვ ი X X

#### მეორეხარისხოვანი ხე-ტყის მასალების დამზადების წესი

**მუხლი 63. მეორეხარისხოვანი ხე-ტყის მასალების დამზადების წესი.** სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლებს შესაბამისად სამრეწველო ვადამუშაებისათვის, ტყის სარეწების განვითარებისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის მეორეხარისხოვანი ხე-ტყის მასალების დამზადება უნდა ხდებოდეს ტყისათვის ზიანის მიუყენებლად.

მეორეხარისხოვანი ხე-ტყის მასალების დამზადების, ამ მასალებზე ნიხრის დამტკიცების ან მათი საფასურის გადახდისაგან განთავისუფლების წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.





ტ ა ვ ი X X I

არაპირდაპირი ტყითსარგებლობის წესი

მუხლი 64. არაპირდაპირი ტყითსარგებლობის საერთო პირობები. არაპირდაპირი ტყითსარგებლობა უფასოა, ხის წვევნების, ველურა ხილის კაკლოვანთა, სოკოს, კენკრისა და ტექნიკური ნედლეულის სარეწაო დამზადების გარდა, ამ პროდუქციის ნიხრს აწესებს საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვებიან, ყოველგვარ არაპირდაპირ ტყითსარგებლობას უფასოდ ახორციელებენ.

ყოველგვარი არაპირდაპირი ტყითსარგებლობა უნდა ხორციელდებოდეს ტყისათვის ზიანის მიუყენებლად.

არაპირდაპირი ტყითსარგებლობის წესსა და პირობებს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

მუხლი 65. თიბვა და პირუტყვის ძოვება. ტყეებში და სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე თიბვა და პირუტყვის ძოვება აკრძალულია ისეთ უბნებზე, სადაც ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს ტყეს.

სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში სათიბ-საძოვრები, რომლებიც არ გამოიყენება სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამამზადებელი მრეწველობის საქიროებისათვის, ეძლევათ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა საწარმო-ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს დროებითი სარგებლობისათვის, თუ ასეთი სარგებლობა შეესაბამება სატყეო მეურნეობის ინტერესებს. სათიბ-საძოვრების გადაცემისას დაცული უნდა იყოს მიწის კანონმდებლობის მოთხოვნები.

მუხლი 66. სკებისა და საფუტკრებისათვის უბნების გამოყოფა. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს ტყეებში და სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე შეიძლება გამოეყოთ უბნები სკებისა და საფუტკრებისათვის, ტყის ჭრის, სატყეო ფართობების გაწმენდის, მიხვნისა და კაპიტალური ტიპის ნაგებობათა აშენების უფლების გარეშე.

უბნებს სკებისა და საფუტკრებისათვის დადგენილ წესით გამოეყოფენ საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვებიან.

მუხლი 67. ველური ხილისა და კაკლოვანთა სარეწაო დამზადება. ტყეებში ველური ხილისა და კაკლოვანთა სარეწაო დამზადებისათვის ველური ხეხილისა და კაკლოვანთა ნარგავების ნაკვეთებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დებუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით 10 წლამდე ვადით გამოეყოფენ იმ სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც დავალებული აქვთ ასეთი პროდუქციის დამზადება.

ორზე მეტი სეზონით უბნების გამოყოფისას მოსარგებლებს ევალებათ ხეხილისა და კაკლოვანთა ხეებისა და ბუჩქების მოვლის, მოსაგლიანობას გადაღების ღონისძიებათა განხორციელება და ხეებისა და ბუჩქების ბუნებრივი განახლებისა ან დარღვისათვის ხელის შეწყობა.

მუხლი 68. სოკოს, კენკრის, სამკურნალწამლო მცენარეებისა და ტექნიკური ნედლეულის სარეწაო დამზადება. სოკოს, კენკრის, სამკურნალწამლო მცენარეებისა და ტექნიკური ნედლეულის სარეწაო დამზადებას ეწვევიან ის საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებსაც დავალებული აქვთ მათი დამზადება.

ამ მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დებუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით აღნიშნულ საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ტყისა და სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე 5 წლამდე ვადით გამოეყოფენ შესაბამის უბნებს.

მოსახლეობის მიერ სამკურნალწამლო მცენარეების არასარეწაო შეგროვება წდება ამ კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.





თ ა ვ ი X X I I

სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის ტყითსარგებლობის წესი

მუხლი 69. სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის ტყითსარგებლობის წესი ტყეებში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოთა შესასრულებლად შესაბამის საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შეაძლება გამოეყოს სპეციალური უბნები. გამოყოფილ უბნებში შეიძლება შეეზღუდოს ან მოლიანად აეკრძალოს ტყითსარგებლობა სხვა საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, აგრეთვე მოქალაქეებს, თუ ეს შეუთავსებელია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიზნებთან. გადაწყვეტილებას შეზღუდვის ან აკრძალვის შესახებ იღებენ ის ორგანოები, რომლებმაც ვასცეს სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის ტყითსარგებლობის ნებართვა.

სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის ტყითსარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

თ ა ვ ი X X I I I

კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებისათვის ტყითსარგებლობის წესი

მუხლი 70. მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელება ტყეებში. მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციის მიზნით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოები, აგრეთვე მათთან შეთანხმებით სხვა საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები მწვანე ზონის ტყეებსა და მოსახლეობის დასასვენებლად გამოყენებულ სხვა ტყეებში ახორციელებენ ტყის უბნების კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ღონისძიებებს ტყის ვარგმოსა და ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნების საჭიროების გათვალისწინებით სავარეუბნო ზონების არქიტექტურული დაგეგმარებისა და სანიტარიულ მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 71. ტყითსარგებლობა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებისათვის. კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებისათვის ტყითსარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

ტყის უბნებზე, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფარავ მიწებზე მოსახლეობის მასობრივი დასვენების ადგილების ორგანიზაციის, გამოყენებისა და მოვლის წესებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

თ ა ვ ი X X I V

სამონადირეო მეურნეობის საჭიროებისათვის ტყითსარგებლობის წესი

მუხლი 72. ნადირის ბინადრობისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა და მისი რაოდენობის რეგულირება. ტყეებში ტყითსარგებლობა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები უნდა ხორციელდებოდეს ნადირის ბინადრობისათვის ხელშემწყობი პირობების შენარჩუნების აუცილებლობის გათვალისწინებით.

ტყეებში ნადირის რაოდენობის რეგულირება ხდება ტყის სავარგულებისათვის დასაშვები სიმჭიდროვის ფარგლებში, რათა ნადირი ზიანს არ აყენებდეს ტყისა და სოფლის მეურნეობას.

ნადირის რაოდენობის ნორმებს აწესებს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 73. სამონადირეო-მეურნეობის გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელება. სახელმწიფო, კომპერატიულ და სასოფლოეზო საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც მიჩენილი აქვთ სამონადირეო სავარგულები, უფლება აქვთ იმ საწარმო-ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან შეთანხმებით, რომლებიც უძღვებიან სატყეო მეურნეობას, დათესონ საკვები და დამცავი მცენარეები და განახორციელონ სამონადირეო მეურნეობის გაძლიერების სხვა ღონისძიებები.





**მუხლი 74. სამონადირეო მეურნეობის საქართვებისათვის ტყითსარგებლობის წესი.** სამონადირეო მეურნეობის საქართვებისათვის ტყითსარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

თ ა ზ ი X X V

ტყითმოსარგებლეთა უფლება-მოვალეობანი

**მუხლი 75. ტყითმოსარგებლეთა უფლებები.** ტყითმოსარგებლებს უფლება აქვთ და მოვა-  
ლენი არიან განახორციელონ მხოლოდ მათთვის ნებადართული ტყითსარგებლობა.

მერქნის დამამზადებელ ტყითმოსარგებლებს უფლება აქვთ დადგენილ ვადაში მიიღონ ტყე-  
კაფის ფონდი იმ მოცულობით, რომელიც საჭიროა ეკონომიკური და სოციალური განვითარე-  
ბის სახელმწიფო გეგმების დავალებათა შესასრულებლად.

ტყითმოსარგებლებს ტყითსარგებლობის სახეობისდა მიხედვით უფლება აქვთ დადგენილი  
წესით გაიყვანონ გზები, მოაწყონ მოედნები ტყის პროდუქციის შესანახად, ააშენონ საწარმოო  
და სამეურნეო ნაგებობანი, დადგან მერქნის დასამორი და გადასამუშავებელი მოწყობილობა და  
სამარჯვები, მოაწყონ ტრანსპორტის სადგომები და ა. შ.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში  
ტყითმოსარგებლეთა უფლებები შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფო ინტერესების, აგრეთვე,  
სხვა ტყითმოსარგებლეთა ინტერესების სასარგებლოდ.

აგრძალულია ტყითსარგებლობა არაშრომითი შემოსავლის მისაღებად.

ტყითმოსარგებლეთა დარღვეული უფლებები აღდგენილ უნდა იქნეს, ხოლო მათთვის მიყე-  
ნებული ზარალი — ანაზღაურებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონ-  
მდებლობის საფუძვლებით, სსრ კავშირის სხვა კანონმდებლობით, ამ კოდექსით და საქართ-  
ველოს სსრ სხვა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 76. ტყითმოსარგებლეთა მოვალეობანი.** ტყითსარგებლობის სახეობის და მიხედვით  
ტყითმოსარგებლები მოვალენი არიან:

რაც შეიძლება სრულად და რაციონალურად გამოიყენონ მათთვის გადაცემული ტყეკაფები,  
გამოფისებისათვის გამოყოფილი ტყის ნარგავები, ტყის სათიბები და ტყის სხვა სავარგულები;

არ დატოვონ ჭრადაწყებული ტყეკაფები, აგრეთვე დამზადებული მერქანი ჭრის ადგილზე  
და ტყეში მისი დამზადებისა და გაზიდვის იმ ვადების გასვლის შემდეგ, რომლებიც დადგენილია  
სსრ კავშირის ტყეებში ზეზეური ხის გაყვების წესებით;

აწარმოონ სამუშაოები ისეთი ხერხებით, რომლებიც არ გამოიწვევენ ნიადაგის ეროზიას და  
გამორიცხავენ ან შესულადევენ ტყითსარგებლობის უარყოფით გავლენას ტყეების მდგომარეობა-  
სა და აღწარმოებაზე აგრეთვე წყალსატევებისა და სხვა ბუნებრივი ობიექტების მდგომარეობაზე.

დაიცვან სახანძრო უსაფრთხოების წესები, განახორციელონ სამუშაოთა მოწყობის ადგი-  
ლებში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, ხოლო ტყის ხანძრის გაჩენის შემთხვევაში — ჩააქ-  
რონ იგი;

არ დაუშვან მერქნის დანაქარები, სამასალე მერქნის შესად გამოყენება, აგრეთვე სამასა-  
ლე მერქნის არადანიშნულებისამებრ ხარჯვა;

გაწინდონ ტყეკაფები ჭრის ნარჩენებისაგან და თავიანთი სახსრებით მოიყვანონ დანიშნუ-  
ლებისამებრ გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში ტყითსარგებლობის შედეგად დაზიანებუ-  
ლი მიწის ნაკვეთები;

შეასრულონ სსრ კავშირის ტყეებში ზეზეური ხის გაყვების წესებით და ტყის ჭრის წესე-  
ბით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

**მუხლი 77. ტექნიკური პოლიტიკის განსაზღვრა მერქნის დამამზადების დროს.** სსრ კავშირისა  
და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის  
ხე-ტყის მრეწველობის სახელმწიფო ორგანო, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის  
კანონმდებლობის საფუძვლებს მოთხოვნათა დაცვით, ყველა ხე-ტყის დამამზადებლისათვის  
განსაზღვრავს სავალდებულო ტექნიკურ პოლიტიკას, რომელიც ემყარება პროგრესული ტექნი-  
კოლოგიური პროცესების, მანქანებისა და მექანიზმების გამოყენებას.





თ ა შ ი X X V I

მოქალაქეთა ყოფნა ტყეში

მუხლი 78. მოქალაქეთა ტყეში ყოფნის უფლება. მოქალაქეებს უფლება აქვთ თავისუფლად იარონ ტყეში, მოკრიფონ ველური ხილი, კაკლოვანები, სოკო, კენკრა და ა. შ.

მოქალაქეებს უფლება აქვთ ტყეები გამოიყენონ დასვენების, ტურისტებისა და ესთეტიკურ მოთხოვნებთან დაკმაყოფილებისათვის.

მუხლი 79. ტყეში მყოფ მოქალაქეთა მოვალეობანი. მოქალაქეები მოვალენი არიან გაუფრთხილდნენ ტყეს, დაიცვან მისი სიმდიდრე.

მოქალაქეები მოვალენი არიან დაიცვან ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების წესები, არ დაუშვან ხეებისა და ბუჩქნარების მტვრევა და გაჩეხა, ტყის კულტურების დაზიანება, ტყის დანაგვიანება, ჰიანჭველისა და ჩიტის ბუდეების გაჩანაგება და ა. შ.

მუხლი 80. მოქალაქეთა ტყეში ყოფნის პირობები. მოქალაქეთა ტყეში ყოფნა, ველური ხილის, კაკლოვანთა, სოკოს, კენკრისა და ა. შ. შეგროვება შეიძლება შეიზღუდოს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სახანძრო უსაფრთხოების, კაკლოვანთა სარეწაო, ტყის ხილის ან ტყის სათესლე მეურნეობის გაძღოლის ინტერესებისათვის, ხოლო ნაკრძალების ტყეებსა და სხვა ტყეებში — ამ ტყეებში მოქმედი სარგებლობის სპეციალურ წესის შესაბამისად.

თ ა შ ი X X V I I

ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტა

მუხლი 81. საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები. საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ტყითსარგებლობის უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ წყდება შესაბამისად შემდეგ შემთხვევებში:

- 1) თუ საჭირო აღარ არის ტყითსარგებლობა;
- 2) თუ გავიდა ტყითსარგებლობის ვადა;
- 3) თუ გაუქმდა საწარმო-ორგანიზაცია ან დაწესებულება;

საწარმო-ორგანიზაციებს და დაწესებულებებს ტყითსარგებლობის უფლება შეიძლება შეუწყდეთ აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები ან ტყით დაკავებული სხვა მიწები ჩამორთმევით სხვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, ან იმ შემთხვევაში, თუ ტყითსარგებლობა არ შეესაბამება ტყესაპურელი ბარათით (ორდერით) ან ტყის ბარათით გათვალისწინებულ მიზნებს ან მოთხოვნებს.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს აგრეთვე საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძვლებს.

მუხლი 82. მოქალაქეთა ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები. მოქალაქეთა ტყითსარგებლობის უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ წყდება შესაბამისად შემდეგ შემთხვევებში:

- 1) თუ მოქალაქემ თავისი ნებით თქვა უარი ტყითსარგებლობაზე;
- 2) თუ გავიდა ტყითსარგებლობის ვადა;
- 3) თუ ტყითსარგებლობა არ შეესაბამება ტყესაპურელი ბარათით (ორდერით) ან ტყის ბარათით გათვალისწინებულ მიზნებს ან მოთხოვნებს.

მოქალაქეებს ტყითსარგებლობის უფლება შეიძლება აგრეთვე შეუწყდეთ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები ან ტყით დაკავებული სხვა მიწები გადაიცა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს აგრეთვე მოქალაქეთა ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძვლებს.

მუხლი 83. ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტის წესი. საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ტყითსარგებლობის უფლება ამ კოდექსის 81-ე მუხლით (ამ მუხლის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტის გარდა) გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხოლო მოქალაქეთა ტყითსარგებლობის უფლება ამ კოდექსის 82-ე მუხლით (ამ მუხლის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტის გარდა) გათვალისწინებულ შემთხვევებში შეწყდება იმ საწარმო-ორგანიზაციების, დაწესებულებების





გების მიერ ტყესაჭრელი ბარათის (ორდერის) ან ტყის ბარათის გაუქმების გზით, რომლებსაც გასცეს ტყესაჭრელი ბარათი (ორდერი) ან ტყის ბარათი.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების ან ტყით დაკავებული სხვა მიწების ჩამორთმევის შემთხვევაში ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტისას, ტყითსარგებლობა შეიძლება ნებადართულ იქნეს სხვა უბნებში.

ტყითსარგებლობის უფლების შეწყვეტა ტყითმოსარგებლებს არ აბაიისუფლებს პასუხისმგებლობისაგან ტყითსარგებლობის წესების დარღვევისათვის.

თ ა შ ი X X V I I I

ქალაქის ტყეებში ტყითსარგებლობის თანისმეპყრეები

მუხლი 84. ქალაქის ტყეების ძირითადი დანიშნულება. ქალაქის ტყეები გამოიყენება უბირველეს ყოვლისა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნებისა და მოსახლეობის დასვენებისათვის.

მუხლი 85. ქალაქის ტყეებში მთავარი სარგებლობის ჭრის წესით მერქნის დამზადებისა და ზოგიერთი სხვა ხანძრის ტყითსარგებლობის აკრძალვა. ქალაქის ტყეებში მერქნის დამზადება მთავარი სარგებლობის ჭრის წესით, ფისისა და ხის წვენების დამზადება და პირუტყვის ძოვება აკრძალულია.

საქართველოს სსრ კანონმდებლობით ქალაქის ტყეებში შეიძლება აკრძალოს ტყითსარგებლობის სხვა სახეობები, თუ ისინი შეუთავსებელია კულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებასა და მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციასთან.

მუხლი 86. ტყითსარგებლობა ქალაქის ტიბის დაბებზე კატეგორიის მიკუთვნებული დასახლებული პუნქტების ტყეებში. ამ კოდექსის 84-ე და 85-ე მუხლების დებულებები ვრცელდება აგრეთვე იმ დასახლებული პუნქტების ტყეებზე, რომლებიც საქართველოს სსრ კანონმდებლობით ქალაქის ტიბის დაბების კატეგორიის მიკუთვნება.

თ ა შ ი X X I X

მიჩენილ ტყეებში ტყითსარგებლობის თანისმეპყრეები

მუხლი 87. იმ სამინისტროებისა და უწყებების საწარმო-ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ტყითსარგებლობის უპირატესი უფლება, რომლებსაც მიჩენილი აქვთ ტყეები. სამინისტროებისა და უწყებების საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც მიჩენილი აქვთ ტყეები დაკისრებული სამეცნიერო, სასწავლო და სხვა ამოცანების შესასრულებლად, უპირატესი უფლება აქვთ დადგენილი წესით განახორციელონ ამ ტყეებში შესაბამის სახეობათა ტყითსარგებლობა.

მიჩენილ ტყეებში შეიძლება შეიზღუდოს ან მთლიანად აკრძალოს სხვა საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა, აგრეთვე მოქალაქეთა ტყითსარგებლობა, თუ ეს შეუთავსებელია ტყეების მიჩენის მიზნებთან.

მიჩენილ ტყეებში სხვა საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა, აგრეთვე მოქალაქეთა ტყითსარგებლობის შეზღუდვის ან მთლიანად აკრძალვის წესს ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, თუ სსრ კავშირის კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 88. ტყეების მიჩენისა და ტყითსარგებლობის წესი. ტყეების მიჩენის წესს, აგრეთვე მიჩენილ ტყეებში ტყითსარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

იმ საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა აქტებით, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვებიან, მიჩენილი ტყეები გადაეცემათ საწარმო-ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომლებსაც მიჩენიათ ტყეები. ტყის მიჩენის აქტის ფორმას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ამტკიცებს.

თ ა შ ი X X X

ტყითსარგებლობის შეზღუდვა ნაკრძალების ტყეებში

მუხლი 89. ტყითსარგებლობის შეზღუდვა ნაკრძალების ტყეებში. ნაკრძალების ტყეებში აკრძალულია მთავარი სარგებლობის ჭრა, ფისის დამზადება, აგრეთვე ნაკრძალის მიზნებთან შეუთავსებელი სხვა სახეობათა ტყითსარგებლობა.





**მუხლი 90. ჩაქრძალების ტყეებში ტყითსარგებლობის წესის ნაკრძალების ტყეებში ტყითსარგებლობის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.**

თ ა ვ ი X X X I

**საკოლმეურნეო ტყეებში ტყითსარგებლობის თანხმებულობის**

**მუხლი 91. ტყითსარგებლობა საკოლმეურნეო ტყეებში.** ტყითსარგებლობას საკოლმეურნეო ტყეებში ახორციელებენ უპირველეს ყოვლისა კოლმეურნეობები და კოლმეურნეები.

კოლმეურნეობები, სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობები (სატყეობი) საკოლმეურნეო ტყეებში ყველა სახეობის ტყითსარგებლობას საზოგადოებრივი მეურნეობის საქართველოსათვის უფასოდ ახორციელებენ. კოლმეურნეობის წევრები ამ ტყეებში ტყითსარგებლობას ახორციელებენ შეღავათიანი პირობებით ან უფასოდ.

**მუხლი 92. სხვა ტყითსარგებლეთა ტყითსარგებლობა საკოლმეურნეო ტყეებში.** მერქანისა და ტყის სხვა პროდუქტებზე კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის მოთხოვნებისა და კოლმეურნეთა საქირთების დაცვაოფილების შემდეგ კოლმეურნეობას შეუძლია ტყითსარგებლობის უფლება მისცეს სხვა ტყითსარგებლებებს. საკოლმეურნეო ტყეებში ამ ტყითსარგებლეთა მიერ დამზადებული პროდუქციის ღირებულებას კოლმეურნეობები გადაახდეინებენ სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებისათვის დადგენილი ნიხრის მიხედვით. საკოლმეურნეო ტყეებში ტყითსარგებლობით მიღებული თანხები ხბარდება სატყეო მეურნეობის გაძლოლას.

**მუხლი 93. საკოლმეურნეო ტყეების გადაცემა სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეების შედგენილობაში.** კოლმეურნეობის წევრთა სავრთო კრების ან რწმუნებულთა კრების თანხმობით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე საკოლმეურნეო ტყეები შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცეს სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეების შედგენილობაში.

თ ა ვ ი X X X I I

**სასაზღვრო ზონაში ტყითსარგებლობის თანხმებულობის**

**მუხლი 94. სასაზღვრო ზონაში ტყითსარგებლობის წესი.** სასაზღვრო ზონაში ტყითსარგებლობა ხორციელდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძველებით და სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 95. სასაზღვრო ზონაში ტყითსარგებლობის თავისებურებანი.** სასაზღვრო ზონაში ტყითსარგებლობის თავისებურებებს აღდგენენ კომპეტენტური ორგანოები სასაზღვრო ჯარების სარდლობასთან შეთანხმებით.

თ ა ვ ი X X X I I I

**ტყითსარგებლობის ბაზო დავის გადაწყვეტის წესი**

**მუხლი 96. ტყითსარგებლობის გამო დავის გადაწყვეტი ორგანოები.** ტყითსარგებლობის გამო საწარმო-ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს შორის წამოჭრილ დავას წყვეტენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები და სხვა საამისოდ სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 97. სატყეო ურთიერთობასთან დაკავშირებული ქონებრივი დავა.** სატყეო ურთიერთობასთან დაკავშირებული ქონებრივი დავა განიხილება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.





პ ა რ ი მ ი

ტყევის აღწარმოება და პროდუქტიულობის გადიდება

თ ა ვ ი X X X I V

ტყევის აღდგენა და გაუმჯობესება

მუხლი 98. ტყის აღდგენისა და გაუმჯობესების წესი. განაკაფებში, ნახანძრალეში და სხვა ნატყევიარ ფართობებზე ხორციელდება ტყეების აღდგენა, ხოლო ახალი ტყეების შესაქმნელად განკუთვნილ სხვა მიწებზე — ტყეების გაშენება.

ტყეების აღდგენისა და გაუმჯობესების სამუშაოთა მოცულობა გათვალისწინებულია ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებით.

ტყეების აღდგენას და გაუმჯობესებას, ტყის თესლის დამზადებას და სარგავი მასალის გამოყენას ეწევიან სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოები. აგრეთვე სხვა საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც სატყეო მეურნეობას უძღვებიან. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით აღნიშნული სამუშაოების შესრულება შეიძლება დაეკისროს სხვა ორგანიზაციებსაც. ეს ორგანიზაციები, იმ შემთხვევებში, როდესაც მათ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დაკისრებული აქვთ ტყეების გაშენების სამუშაოთა შესრულება საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, მოვალენი არიან სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებს შეეთანხმონ ტყეების აღდგენის სამუშაოთა მათთვის დადგენილი მოცულობის ტერიტორიული განლაგება, დროულად გადასცენ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმებს მათ მიერ შექმნილი ტყის კულტურები.

მუხლი 99. ტყის აღდგენის სამუშაოთა შესრულების ხერხები. ტყის აღდგენის სამუშაოები წარმოებს იმ ხერხებით, რომლებიც უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფენ ძვირფასი სამეურნეო ჯიშის ხეებით მაღალპროდუქტიული ტყეების გაშენებას სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 100. ხე-ტყის დამამზადებლების მოვალეობა — დაიცვან ნაკაფში ტყის აღდგენისათვის ხელშემწყობი პირობების შენარჩუნების მოთხოვნები. მერქნის დამზადებისა და მორთვეის დროს ხე-ტყის დამამზადებლები მოვალენი არიან დაიცვან მოთხოვნები, რომელთა მიზანია ნაკაფში ტყის აღდგენის ხელშემწყობი პირობების შენარჩუნება. ეს მოთხოვნები გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე მერქნის დამზადებისა და მორთვეის ახალი ტექნიკის შემუშავების დროს.

მუხლი 101. სხვა კატეგორიათა მიწების გადაცემა განატყეველად სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების შედგენილობაში. ობტიმალური ტყიანობის, მდინარეების, წყალსატევების ნაპირების გატყევების უზრუნველსაყოფად და სხვა საჭირო შემთხვევებში სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების შედგენილობაში შეიძლება გადაიცეს სხვა კატეგორიათა მიწები, უწინარეს ყოვლისა მიწის ნაკვეთები, რომლებიც უვარგისია სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად (ხეცები, ღელები, ქვიშრობები და ა. შ.), აგრეთვე ხე-ბუჩქნარით დაფარული სახელმწიფო მარაგის მიწები. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების შედგენილობაში სხვა კატეგორიათა მიწების გადაცემა წარმოებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მიწის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თ ა ვ ი X X X V

ტყევის პროდუქტიულობის გადიდება და ტყის მოვლა

მუხლი 102. ტყეების პროდუქტიულობის გადიდებას ღონისძიებანი. ტყეების თვისებრივი შედგენილობის გაუმჯობესების მიზნით უნდა წარმოებდეს ტყის მოვლითი ჭრა, სანტიარიული ჭრა და ნაკლებ მნიშვნელოვანი ტყის ნარგავების რეკონსტრუქციისთან დაკავშირებული ჭრა, უნდა ხორციელდებოდეს ტყის ასაკობრივი შედგენილობის გაუმჯობესების ღონისძიებანი, მათ შორის გადაბერებელი ნარგავების დაგროვების თავიდან აცილების ღონისძიებანი, აგრეთვე ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისა და სხვა სამუშაოები, რომლებიც ხელს უწყობენ ტყეების პროდუქტიულობის გადიდებას.

მუხლი 103. იმ საწარმო-ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მოვალეობანი ტყის პრო-





დუქტიულობის გადიდებისა და მოვლის საქმეში, რომლებიც უძღვებიან სატყეო მეურნეობას. სახელმწიფო სატყეო მეურნეობის ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოები, სხვა საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც უძღვებიან სატყეო მეურნეობას, მოვა-ლენი არიან:

მოუარონ ტყეს, განახორციელონ სელექციის, ტყის მეთესლეობისა და სამეურნეო თვალ-საზრისით განსაუხრებელი ძვირფასი ჯიშის ხეთა ჯიშთვამოცდის სამუშაოები, ნიადაგის ნაყო-ფიერების გადიდების, ჭარბტენიანი მიწების დაშრობის, ნიადაგის წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის, დაჭაობების, დამლაშების და სხვა ისეთი პროცესების თავიდან აცილების ღონის-ძიებანი, რომლებიც აუარესებენ ნიადაგის მდგომარეობას, აგრეთვე განახორციელონ სხვა ღო-ნისძიებანი, რომელთა მიზანია ტყეების ჯიშობრივი შედგენილობისა და ხარისხის გაუმჯობესე-ბა, მათი პროდუქტიულობისა და დაცვითი თვისებების ამაღლება; ამასთან უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ძვირფასი ხის ჯიშების დაცვა-მოვლა და დროული აღწარმოება;

მიიღონ ზომები სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების რაც შეიძლება სრულად და ეფექტია-ნად გამოყენებისათვის, რათა აღდგენილ იქნეს და შეიქმნას ახალი ტყეები საამისოდ განკუთვ-ნილ ფართობებზე.

**პარი IV**

**ტყეების მოვლა-დაცვა**

**თ ა ვ ი X X X V I**

**ტყეების მოვლა-დაცვა**

**მუხლი 104.** ტყეების მოვლა-დაცვა. ყველა ტყე დაცულ უნდა იქნეს ხანძრებისაგან, უკა-ნონო ჭრისაგან, ტყითსარგებლობის დადგენილი წესების დარღვევისა და სხვა მოქმედებისაგან, რომელიც ზიანს აყენებს ტყეს, აგრეთვე მავნებელ-დაავადებებისაგან.

**მუხლი 105.** ტყეების მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელება. ტყეების მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელება ეკისრებათ:

სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში — სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოებს, სხვა საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომ-ლებსაც აკისრიათ სატყეო მეურნეობის გაძღოლა ამ ტყეებში, აგრეთვე შესაბამის სამინისტ-როებსა და უწყებებს და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომი-ტეტებს;

საკოლმეურნეო ტყეებში — კოლმეურნეობებს, სხვა ორგანიზაციებს, რომლებსაც აკისრიათ ამ ტყეებში სატყეო მეურნეობის გაძღოლა, აგრეთვე შესაბამის სასოფლო-სამეურნეო ორგა-ნოებს.

აღნიშნული საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები:

აწყოებენ ტყეების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვას, ახორციელებენ ტყის ხანძრის თავიდან აცილების, ხანძრის დროულად გამოვლენისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს;

იცავენ ტყეებს, უკანონო ჭრისაგან, დაზიანებისაგან, ტყითსარგებლობის წესების დარღვე-ვისა და სხვა ისეთი მოქმედებისაგან, რაც აზიანებს ტყეს და ზარალს აყენებს სატყეო მეურ-ნეობას, აგრეთვე იცავენ სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებს;

ახორციელებენ სატყეო ბათილოგიურ ზედამხედველობას ტყეებზე და აწარმოებენ ბრძო-ლას მავნე მწერებისა და ტყის დაავადებების წინააღმდეგ.

**მუხლი 106.** სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მოვალეობანი ტყეების მოვლა-დაც-ვისა და ტყის ხანძრებთან ბრძოლის საქმეში. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭო-ების აღმასრულებელი კომიტეტების სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფენ ტყეების მოვლა-დაცვას, ტყის ხანძრების წინააღმდეგ ბრძო-ლის ღონისძიებათა განხორციელებას, ხანძრის ჩაქრობაში აბამენ მოსახლეობას, იყენებენ ხან-ძარსაწინააღმდეგო ტექნიკასა და სატრანსპორტო საშუალებებს, ხანძრის მომეტებული საშიშ-როების დროს საჭიროების შემთხვევებში კრძალავენ ტყეში მოსახლეობის შეცვლას და სატ-რანსპორტო საშუალებათა შეყვანას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბ-





კოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დემუტატა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სახალხო დემუტატა რაიონული, სქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ტყის ხანძრის წარმოშობის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის მიზნით:

ყოველწლიურად უზრუნველყოფენ, რომ საწარმო-ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, რომლებიც უძღვებიან სატყეო მეურნეობას, აგრეთვე ტყითმოსარგებლებმა შეიმუშაონ და განახორციელონ ტყეებში ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკისა და ხანძარსაშიმი სეზონისათვის მზადების ღონისძიებანი; ყოველწლიურად ხანძარსაშიმი სეზონის დაწყებამდე ამტკიცებენ ტყის ხანძრებთან ბრძოლის ოპერატიულ გეგმებს, რომლებიც ითვალისწინებენ კონკრეტულ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს;

აღგევენ ტყის ხანძრის ჩაქრობაში საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშებისა და მოსამსახურეების, კოლმეურნეების და მოსახლეობის, აგრეთვე საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკის, სატრანსპორტო თუ სხვა საშუალებების გამოყენებისა და ჩაბმულ პირთა მიმოსვლის საშუალებებით, კვებითა და სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის წესს; ითვალისწინებენ ხანძრის განსაკუთრებით მომეტებული საშიშროების დროს ამ საქმიანობაში ჩაბმულ პირებისა და საშუალებებისაგან სახანძრო ქვეგანყოფილების შექმნას, უზრუნველყოფენ მათ მზადყოფნას ტყის ხანძრის გაჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გასვლისათვის;

ხელს უწყობენ ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულების გზების, აეროდრომებისა და ტყის საავიაციო დაცვისათვის, გამოსაყენებელ თვითმფრინავებისა და ვერტმფრინავების დასაჯდომი მოედნების მშენებლობას, ტყის საავიაციო დაცვის მოქმედების რაიონში საწვავი და საპონი მასალების შეზიდვას, აგრეთვე ხანძარსაშიმი სეზონში სახელმწიფო სატყეო მეურნეობის განკარგულებაში მორიგი ტრანსპორტის სახით გამოყოფენ საჭირო რაოდენობის ავტომობილებს, კატარალებსა და სხვა სატრანსპორტო საშუალებებს საწვავის მარაგით;

ორგანიზაციას უწყევენ ფართო ხანძარსაწინააღმდეგო პროპაგანდას, ტყეების მოვლა-პატრონობის, ტყეებში ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვის საკითხების რეგულარულ გაშუქებას პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით; უზრუნველყოფენ რესპუბლიკის, ოლქის, რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე ტყის ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ღონისძიების კოორდინაციას და საჭირო შემთხვევებში ამ მიზნით ქმნიან სპეციალურ კომისიებს.

**მუხლი 107.** იმ საწარმო-ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მოვალეობანი, რომელთა საქმიანობა გავლენას ახდენს ტყეების მდგომარეობასა და აღწარმოებაზე. საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომელთა საქმიანობა გავლენას ახდენს ტყეების მდგომარეობასა და აღწარმოებაზე, მოვალენ არიან სატყეო მეურნეობას სახელმწიფო ორგანოებთან, სახალხო დემუტატა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის, შესაბამისად განახორციელონ ტექნოლოგიური, სანიტარო-სადაცვალო და სხვა ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ ტყეების დაცვა.

**მუხლი 108.** მინდორსაცავი ტყის ზოლებისა და სხვა იმ დაცვითი ან გამწვანების მიზნით გაშენებული ხე-ბუჩქნარის მოვლა-დაცვა, რომლებიც არ შედიან სახელმწიფო ტყის ფონდში. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწებზე მინდორსაცავი ტყის ზოლები და სხვა იმ დაცვითი ან გამწვანების მიზნით გაშენებული ხე-ბუჩქნარის მოვლა-დაცვას, რომლებიც არ შედიან სახელმწიფო ტყის ფონდში, უზრუნველყოფენ მიწათმოსარგებლები, შესაბამისი სამინისტროები და უწყებები და სახალხო დემუტატა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

**მუხლი 109.** წახალისების ღონისძიებანი, რომლებიც სტიმულს აძლევენ სატყეო მეურნეობის რაციონალურად გაძღოლის, ტყითმოსარგებლობის გაუმჯობესების, მათი მოვლა-დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელებას. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით სატყეო მეურნეობის გაძღოლსთან დაკავშირებული საწარმო-ორგანიზაციების და დაწესებულებებისათვის და ტყითმოსარგებლებისათვის შეიძლება დაწესდეს მატერიალური და მორალური წახალისების ღონისძიებანი, რომლებიც სტიმულს აძლევენ სატყეო მეურნეობის რაციონალური გაძღოლის, ტყითმოსარგებლობის გაუმჯობესების, მათი მოვლა-დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელებას.



თ ა შ ი X X X V I I

ს ა ტ ე ი დ ა ც ვ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა შ ი

**მუხლი 110. სატყეო დაცვა საქართველოს სს რესპუბლიკაში.** სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ტყეების მოვლა-დაცვის საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ახორციელებენ: სსრ კავშირის სახელმწიფო სატყეო დაცვა; იმ მინისტროებისა და უწყებების სატყეო დაცვა, რომელთა სისტემაში შემავალი საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები უძღვებიან სატყეო მეურნეობას, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სატყეო დაცვა; კოლმეურნეობების სატყეო დაცვა.

**მუხლი 111. სატყეო დაცვის უფლებები.** სსრ კავშირის სახელმწიფო სატყეო დაცვას, მინისტროებისა და უწყებების, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სატყეო დაცვას, აგრეთვე კოლმეურნეობების სატყეო დაცვას სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად უფლება ეძლევა: აღკვეთონ და თავიდან აიცილონ ტყეების მოვლა-დაცვის წესების, ტყისსარგებლობის დადგენილ წესისა და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების წესების დარღვევები, აგრეთვე აღკვეთონ და თავიდან აიცილონ ტყისათვის საზიანო სხვა მოქმედება.

**მუხლი 112. სრატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების მოვალეობანი ტყის მოვლა-დაცვისადმი კონტროლის განხორციელებაში.** სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოებს ეკისრებათ გაუწიონ კონტროლი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა ტყის მოვლა-დაცვის საქმის მდგომარეობას.

კ ა რ ი V

ტყეების სახელმწიფო აღრიცხვა და სახელმწიფო ტყის კადასტრი. ტყეთმოწყობა

თ ა შ ი X X X V I I I

ტყეების სახელმწიფო აღრიცხვა და სახელმწიფო ტყის კადასტრი

**მუხლი 113. ტყეების სახელმწიფო აღრიცხვისა და სახელმწიფო ტყის კადასტრის წარმოება.** სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ტყეების რაციონალურად გამოყენების, მათი აღწარმოების, მოვლა-დაცვის, სატყეო მეურნეობის განვითარების დაგეგმვისა და ტყეკაფის ფონდის განლაგების ორგანიზაციისათვის სახელმწიფოს ხარჯზე წარმოებს ტყეების სახელმწიფო აღრიცხვა და სახელმწიფო ტყის კადასტრი სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემით.

ტყეების სახელმწიფო აღრიცხვა და სახელმწიფო ტყის კადასტრი წარმოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

**მუხლი 114. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების დარგობრივი აღრიცხვის წარმოება.** სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების მდგომარეობისა და გამოყენების დარგობრივი აღრიცხვა წარმოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

თ ა შ ი X X X I X

ტყეთმოწყობა

**მუხლი 115. ტყეთმოწყობის შანაარსი.** ტყეთმოწყობა მოიცავს იმ სახელმწიფო ღონისძიებათა სისტემას, რომელთა მიზანია უზრუნველყოს ტყეების რაციონალური გამოყენება, პროდუქტიულობის გადიდება, აღწარმოება, მოვლა-დაცვა, აგრეთვე სატყეო მეურნეობის ვაჭრობის კულტურის ამაღლება.

ტყეთმოწყობა მოიცავს შემდეგ ტყეთმოწყობის მოქმედებას:

სატყეო-სამეურნეო საწარმოების ტერიტორიის საზღვრების დადგენა, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოების სატყეო-სამეურნეო საწარმოების ტერიტორიის, აგრეთვე ტყით დაკავებულ ტერიტორიის შიდასამეურნეო ორგანიზაცია, სადაც სატყეო მეურნეობის გაძლიერება დაკისრებული აქვთ სხვა საწარმო-ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

ტყის რესურსების ტყეების ჯიშობრივი და ასაკობრივი შედგენილობის გარსაზღვრა მთა-





ვარი სარგებლობის ჭრის მიხედვით საანგარიშო ტყეკაფისა და სხვა სახეობათა ტყისსარგებლობის ოდენობის, აგრეთვე ჭრის წესების დასადგენად;

იმ უბნების გამოვლენა, სადაც საჭიროა მოკლითი ჭრა, სანიტარიული ჭრა, მცირე ღირებულების ტყის ნარგავების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული ჭრა, დაშრობისა და სხვა სატყეო-სამეურნეო დონისძიებების განხორციელება;

ტყეების აღდგენისა და ტყის გაწინებისათვის განკუთვნილი ფართობების დაზუსტება და ტყეების აღწარმოების ხერხების განსაზღვრა;

ტყეების დაცვითი კატეგორიების განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში ერთი ჩვეუდიან მეორეში ტყეების გადაყვანის დასაბუთება;

ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური, სატყეო-ბიოლოგიური და სხვა გამოკვლევებისა და ძიების, აგრეთვე ტყეთმოწყობის სხვა მოქმედების განხორციელება.

**მუხლი 116. ტყეთმოწყობის მასალების მიხედვით შედგენილი პროექტები.** ტყეთმოწყობის მასალების მიხედვით სატყეო მეურნეობის გაძლიერებასთან დაკავშირებული საწარმო-ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოები ან მათთან შეთანხმებით სხვა სახელმწიფო ორგანოები ადგენენ და ამტკიცებენ შესაბამის პროექტებს, რომლებიც სატყეო მეურნეობის გაძლიერებასა და ტყისსარგებლობის განხორციელების საფუძველია და პერსპექტიული და მიმდინარე დეგემგის საწყის მონაცემებს წარმოადგენენ.

**მუხლი 117. საანგარიშო ტყეკაფი.** სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საანგარიშო ტყეკაფი ხანგრძლივი პერიოდის მთავარი სარგებლობის ჭრის მიხედვით გამოიანგარიშება სატყეო მეურნეობის ყოველ საწარმო-ორგანიზაციასა და დაწესებულებაში ტყეთმოწყობის დროს, ცალ-ცალკე ტყეების ჯგუფებისა და მეურნეობების (წიწვოვანი, მავარ მერქნიანი და რბილ მერქნიანი) მიხედვით და განისაზღვრება საქართველოს სსრ, ავღანეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მიხედვით. საანგარიშო ტყეკაფის დამტკიცების წესს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

**მუხლი 118. ტყეთმოწყობის განხორციელება.** ტყეთმოწყობას ყველა ტყეში ეწევიან სახელმწიფო ტყეთმომწყობი საწარმოები სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემით, რომელსაც სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანო ადგენს.

**პ ა რ ო V I**

**პასუხისმგებლობა ტყის კანონმდებლობის დარღვევისასთვის**

**მუხლი 119. ტყის სახელმწიფო საკუთრების უფლების დამრღვევ ვარიებზეა ბათილობა.** ტყისსარგებლობის უფლების თვითნებური გადაცემა, აგრეთვე სხვა ვარიებანი, რომლებიც აშკარად თუ ფარულად არღვევენ ტყის სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ბათილად ითვლება.

**მუხლი 120. სინჯლისამართლებრივი, აღმინისტრაციული და სხვა პასუხისმგებლობა** ტყის კანონმდებლობის დარღვევისათვის. პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით აღნიშნულ ვარიებზეა დადებაში, აგრეთვე იმაში, რომ:

უკანონოდ გაჩენეს და დააზიანეს ხეები და ბუჩქნარი;

მოსპეს ან დააზიანეს ტყეები ცეცხლის გაჩენის ან ცეცხლისადმი დაუღვევრობის შედეგად;

დაარღვიეს ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები;

დააზიანეს, ტყეები ჩამდინარე წყლებით, ქიმიური ნივთიერებებით, სამარწყველო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ნაგვით, ამონაფრქვევებითა და ნარჩენებით, რომლებიც ტყის გასწობას ან დაავადებას იწვევს;

მოსპეს ან დააზიანეს ტყის კულტურები, ნათესარები ან ნერგები ტყის სანერგეებსა და პლანტაციებში, აგრეთვე ბუნებრივი წარმოშობის მოზარდი და აღმონაცენი ტყის აღდგენისათვის განკუთვნილ ფართობებზე;

გამოიყენეს სახელმწიფო ტყის ფონდის მიწის ნაკვეთები ამოძირკვისათვის, ნაგებობათა აშენებისათვის, მერქნის გადამუშავებისათვის, საწყობების შექმნისა და სხვა მიზნებისათვის ამ ნაკვეთების გამოყენებაზე სათანადო ნებართვის მიუღებლად;

თვითნებურად გაითიბეს და აძოვეს პირუტყვი ტყეებსა და სახელმწიფო ტყის უონდის ტყით დაუფარავ მიწებზე;





ფეოფანტურად მოკრიფეს ველური ხილი, კაკლოვანები, სოკო, კენკრა და ა. შ. უბნებში, სადაც ეს აკრალულია ან დასაშვებია მხოლოდ ტყის ბარათებით;

დაარღვეს ტყეჯადის ფონდის გამოყენების, მერქნის დამზადებისა და გამოზიდვის და ფისის დამზადების დადგენილი წესი;

მოსპეს და დაზიანეს სამიჯნე ნიშნები ტყეებში;

გაანადგურეს ტყისათვის სასარგებლო ფაუნა;

დააზიანეს ტყეებსა და სახელმწიფო ტყის ფონდის ტყით დაუფთავებ მიწებზე სათიბი და საძოვარი სავარგულები;

მოსპეს ან დაზიანეს ტყის დასაწრობი თხრილები, აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე არსებული სადრენაჟო სისტემები;

საექსპლუატაციოდ გადასცეს ისეთი ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოები, საამქროები, ავრეგატები, სატრანსპორტო გზები, კომუნალური და სხვა ობიექტები, რომლებიც აღჭურვილი არ არიან ტყეებს მდგომარეობასა და აღწარმოებაზე, მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის საჭირო მოწყობილობით;

ეკისრებათ სისხლისამართლებრივი ადმინისტრაციული ან სხვა პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს პასუხისმგებლობა ტყის კანონმდებლობის სხვა დარღვევებისათვისაც;

**მუხლი 121.** მატერიალური პასუხისმგებლობა ტყის კანონმდებლობის დარღვევით გამოწვეული ზარალისათვის. საწარმო-ორგანიზაციები, დაწესებულებები და მოქალაქეები მოვალენი არიან აანაზრდადურთონ ტყის კანონმდებლობის დარღვევით გამოწვეული ზარალი იმ რაოდენობით და იმ წესით, რომლებსაც სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა აღგენს.

**მუხლი 122.** უკანონოდ მოპოვებული მერქნისა და ტყის სხვა პროდუქციის ჩამორთმევა. უკანონოდ მოპოვებული მერქანი და ტყის სხვა პროდუქცია უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს შესაბამის საწარმო-ორგანიზაციას ან დაწესებულებას, რომელიც უძღვება სატყეო მეურნეობას, ან ტყითმოსარგებლეს, თუ დარღვეულია მისი უფლებები. უკანონოდ მოპოვებული პროდუქციის ჩამორთმევის შეუძლებლობის შემთხვევაში უნდა გადახდებინონ მისი ღირებულება.

**მუხლი 123.** ტყითსარგებლობის წესების დარღვევისას ტყითსარგებლობის შეჩერება. თუ ტყითსარგებლობები არღვევენ ტყითსარგებლობის დადგენილ წესს, ტყითსარგებლობა შეიძლება შეჩერდეს იმ შემთხვევაში და იმ წესით, რომლებსაც განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

**მუხლი 124.** ტყის მდგომარეობისა და აღწარმოებისათვის საშ.ს.ს. სამუშაოთა შეჩერება. სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით შეიძლება შეჩერდეს სა-სამუშაოები, რომლებსაც საწარმო-ორგანიზაციები და დაწესებულებები ეწევიან, თუ ეს სამუშაოები საფთხეს უქმნის ტყეების მდგომარეობასა და აღწარმოებას, იმის გამო, რომ ამ სამუშაოთა დროს არ სრულდება ტექნიკოლოგიური, სანიტარული და სხვა ღონისძიებები, რომლებიც უზუენველყოფენ ტყეების დაცვას ხანძრისაგან და ტყეების მდგომარეობასა და აღწარმოებაზე მავნე ზემოქმედების აღკვეთას.

**მუხლი 125.** პასუხისმგებლობა დაცვითი და გამოწვანების მიზნით გაშენებული ხე-ბუჩქნარის განადგურების ან დაზიანებისათვის, რომლებიც არ შედიან სახელმწიფო ტყის ფონდში. პირებს, რომელთაც ბრალი მიუძღვით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწებზე მინდორსაცავი ტყის ზოლების ან სხვა დაცვითი თუ გამოწვანების მიზნით გაშენებული ხე-ბუჩქნარის უკანონო განადგურებასა ან დაზიანებაში, რომლებიც სახელმწიფო ტყის ფონდში არ შედის, ეკისრებათ პირებში ჯგუფის განსაკუთრებით დაცული ტყეების განადგურების ან დაზიანებისათვის კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობა, თუ ამ მოქმედებისათვის სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი არ არის უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა.

**მუხლი 126.** პასუხისმგებლობა ტყეების აღდგენის, მათი მდგომარეობისა და ჯიშობრივი შედგენილობის გაუმჯობესების, პროდუქტიულობის გაღვივების აგრეთვე მწიფე მერქნის რესურსების გამოყენების სავალდებულო ღონისძიებათა შეუსრულებლობისათვის. პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ტყეების აღდგენის, მათი მდგომარეობისა და ჯიშობრივი შედგენილობის გაუმჯობესების, პროდუქტიულობის გაღვივების, აგრეთვე მწიფე მერქნის რესურსების გამოყენების სავალდებულო ღონისძიებათა შეუსრულებლობაში, ეკისრებათ პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.



## კ ა რ ი   V I I

## საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები

მუხლი 127. საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები იმ შემთხვევებში, როცა საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით, რომელშიც სსრ კავშირი მონაწილეობს, დადგენილი წესები განსხვავდება იმ წესებისაგან, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა ტყის კანონმდებლობა, იყენებენ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილ წესებს.

იგივე დებულება გამოიყენება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით, რომელშიც საქართველოს სსრ მონაწილეობს, დადგენილი წესები განსხვავდება იმ წესებისაგან, რომლებსაც შეიცავს საქართველოს სსრ ტყის კანონმდებლობა.



## ცნობები ავტორთა შესახებ

**ბაზიანი ანჟორ ალექსანდრის ძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის პროფესორი, დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, 24 შრომის და 3 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

**მილნიკოვა ოლღა გორისის ასული** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

**მაყაშვილი ვლადიმერ გიორგის ძე** — ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სამართლის ჯგუფის ხელმძღვანელი, 60-ზე მეტი შრომის, მათ შორის 4 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

**კვირიკაშვილი ბენიკ ირაპლის ძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

**ბაღაბაძე ნიკოლოზ ალექსანდრის ძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, მეორედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

**ნადარეიშვილი გიორგი ნესტორის ძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი. 51 შრომისა და 6 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

**მარკოზაშვილი შალვა იროდენის ძე** — ი. ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

---

«САВЧОТА САМАРТАЛИ» № 4, 1979 (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

---

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

---

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



661/86



ՅՆՆՈ 50 ՅՅՅ.

ИНДЕКС 70185